ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№041 (12720) 20 თებერვალი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი

ჩქომაგეთ ლამაზ ფეხბურთს

ინტერვიუ რობერტო ბაჯოსთან » 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსას პრეზიდენტი

ლაპორტა საქართველოს საპატიო კონსული გახდება

» 2

ვან ბასტენის იისფერი გამარჯვება, შახტარმა ტოტენჰემი თითქმის გააგდო

ტექნიკური შედეგები » 15

დანგრეულ კიევში მხოლოდ მარკოიშვილი დაიტოვეს

» 12

მოდი, ვნახოთ ახალი ავაზა!

საჩუქარი ბავშვთა ფეხბურთს

» 5

ეტოო: მილანი თუ მანჩესტერი?

მსოფლიო ფეხბური

» 6-10

საკუთარი თავის შეცვლა მიჭირს

ინტერვიუ კახა შენგელიასთან

» 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

უცნაური კავშირები

ლაპორტა საქართველოს საპატიო კონსული გახდება

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა **მიხეილ სააკაშვილის** კატალონიური ვიზიტის დეტალები. როგორც გუშინ გამცნეთ, „ბარსელონას“ ბოსმა **ჟოან ლაპორტამ** სამეცნიერო კონფერენციაზე ჩასული საქართველოს პრეზიდენტი დიდი პატივით მიიღო. მსოფლიო გრანდის ხელმძღვანელმა სააკაშვილს გუნდის მაისურა გადასცა. მასზე არის წარწერა - „მიხეილ სააკაშვილი“, რაც ადასტურებს იმას, რომ ვიზიტი არა სპონტანური, არამედ დაგეგმილ-მომზადებული იყო.

ქართველებმა და კატალონიელებმა „კამპ ნოუზე“ სიმბოლურად წაითამაშეს კიდეც, სააკაშვილმა ბურთიც აკენწლა. ვერ გეტყვით, მრავლისმნახველი კატალონიელები რამდენად მოხიბლნენ ამით. უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რაც „ლელომ“ სანდო წყაროსგან შეიტყო და რომელიც სახელისუფლებო წრეებშიც დაგვიდასტურეს - „ბარსელონას“ პრეზიდენტი თანახმაა, საქართველოს საპატიო კონსული გახდეს. თურმე, ლაპორტამ კატალონიურ პრესაში ჩვენი ქვეყანა რამდენჯერმე მოიხსენია გამორჩეული სიყვარულით, ესპანეთში საქართველოს ელჩს **ზურაბ პოლოლიკაშვილს** კი მეგობრად მიიჩნევს. სხვათა შორის, ლაპორტა „ბარსელონაში“ წასული „საბურთალოს“ ფეხბურთელ **გია ჭანტურიას** ამბებითაც ხშირად ინტერესდებოდა...

მოკლედ, ლაპორტა თანახმაა, გახდეს საქართველოს საპატიო კონსული, თუმცა, ჯერჯერობით, ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავენ. კატალონიელებმა, დროებით, ქართულ მხარეს ამ პოსტზე ლაპორტას ნდობით აღჭურვილი პირის კანდიდატურა შესთავაზეს. თუმცა ლაპორტა კონსულობაზე პრინციპულად თანახმაა. ეგ არის, რომ ჯერაც „ბარსას“ პრეზიდენტია...

მერაბ მამულაშვილი

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

ხმაური და მძვინვარება

როგორც ერთხელ აკა მორჩილაძემ თქვა, ჟურნალისტობა გვარიანად რთული ხელობაა. ამ საქმეს მართლაც მრავალმხრივი უნარი სჭირდება, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც არის ცუდი ტრადიციებიც და მიმართული მონაკვეთებიც, ანუ ვექტორები, რითიც უნდა გადარჩეს ეს ქვეყანა.

ბევრი რამ ახია ჩვენზე, იმ ხალხზე, ვინც საკუთარ თავს ჟურნალისტს უწოდებს. მაგალითად, ქართველ ჟურნალისტს არასდროს უცდია, გამოეძიებინა და დაემტკიცებინა ნამდვილი ამბები - ჩაწყობილი თამაშები, გაყიდული მსაჯები, მწვრთნელები და ფეხბურთელები; არასდროს უცდია, გამოძიება ჩაეტარებინა იმაზე, თუ რატომ იწვევდნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ისეთ ფეხბურთელებს, რომელთა სანაკრებო რეპუტაცია ძალიან დიდ ეჭვს იწვევდა; ქართველ ჟურნალისტს არასდროს უთქვამს ნარკომან და ძველ ბიჭ ფეხბურთელზე, რომ ის ნარკომანი და ძველი ბიჭია...

ეს საქართველოა, აქ ამის გაკეთება შეუძლებელია - ასეთი არგუმენტი უსაფუძვლო როდია, მაგრამ... ხომ გახსოვთ, მავანის ნათქვამიც - სანამ ქუთაისის ავტოქარხანა „მერსედესს“ არ გამოუშვებს, საქართველოს ნაკრებმა გერმანიისას როგორ უნდა მოუგოსო?! კი, მაგრამ თუ ქუთაისმა ვერასდროს გამოუშვა „მერსედესი“, მაშინ რა უნდა ვქნათ?..

ქართველ ჟურნალისტს არასდროს გამოუძიებია სხვა ცუდი ამბებიც, თუნდაც ის, თბილისში, დიღმის მასივში როგორ ჩაჰქონდათ ფული კეისებით თუ ცელოფანის პარკებით, რათა შვილი კარგ გზაზე დაეყენებინათ... ჰოდა, ბევრმა არც იცის, ვინ როგორ დაიწყო თავბრუდამხვევი კარიერა, როგორი ფინტებით გაჭრა გზა წარმატებისკენ. ბავშვის კარიერისთვის ათასობით დოლარის გადახდა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ყოფილი თუ მოქმედი ფეხბურთელები კონკრეტულ თანხებსაც დაგისახელებენ, ვის რამდენი დაუჯდა ამა თუ იმ გუნდში მოხვედრა. მაგრამ ეს საუბარი ყოველთვის არასაგაზეთოა, ამ ამბების მომყოლმა იცის, რომ შენ ამას მაინც არ დაწერ გაზეთში...

საერთო ჯამში, ყველას ყველაფერი ხახვივით უნდა შერჩეს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვარი აქაც არსებობს - ჟურნალისტობა რაღაც დონეზე მაინც შესაძლებელია საქართველოში. ჟურნალისტობის ერთ-ერთი ყველაზე უწყინარი, თუმცა ერთობ საინტერესო საქმეა უცხოური პრესის მიმოხილვა, როცა გადმოაქართულებ, თუ რას წერენ უცხოეთში მყოფ ჩვენებურებზე. ახლახან, „მილანმა“ „ინტერთან“ 1:2 წააგო და იტალიელმა ჟურნალისტმა კახა კალაძე გააკრიტიკა - „კალაძის საშინელი შოუ“ ვიხილეთო. ყოველივე ეს „ლელოში“ გადმოვბეჭდეთ და იმავე ნომრისთვის სპეციალურად კალაძესაც შევეხმიანეთ...

მეორე დღეს რედაქციაში დარეკეს - ეს რა დაგიწერიათო! გავიდა კიდევ ერთი დღე და სტუმარიც გვეწვია, თავი კახა კალაძის მამის, კარლო კალაძის წარმომადგენლად გაგვაცნო, შემდეგ ჩვენს თანამშრომელ ნიკოლოზ ნეფარიძეს (კალაძის მაკრიტიკებელი იტალიელი ჟურნალისტის სიტყვები სწორედ ნეფარიძემ გადმოაქართულა) მობილური ტელეფონი მიაწოდა, ბატონ კარლოს სურს შენთან საუბარიო... და ტელეფონი ყურთან რომ მიიტანა... არ გვგონია, ვინმეს ზუსტად აინტერესებდეს, თუ რაოდენ უწმაწური სიტყვებით გამოლანძღეს „ლელოს“ თანამშრომელი. ამის მერე კარლო კალაძის შიკრიკმა ნეფარიძეს ხელი ჩამოართვა და უთხრა - აქ (რედაქციაში) რომ არ ვიყო, სულ სხვანაირად დაგელაპარაკებოდიო...

გუშინ ამ ყველაფერს გაგრძელებაც მოჰყა. ნეფარიძეს მობილურ ტელეფონზე ესაუბრა მავანი გელა, რომელმაც თავი კახა კალაძის დაცვის უფროსად გააცნო და უთხრა - არაფერ შუაში ხარ, თუმცა კალაძეზე აწი ნულარაფერს დაწერ, ეს მუქარა არ არის, მაგრამო...

რა გაეწყობა... თურმე, უსამა ბინ ლადენის აჩრდილი საქართველოშიც დადის. დიდად მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი, რამეთუ კახა კალაძე რვა წელია, „მილანში“ თამაშობს და ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ისიც ძნელად დასაჯერებელია, თავად კახას „ლელოს“ ჟურნალისტის მიმართ ასეთი მოქცევა მოსწონებოდა. რა ხანია, კალაძე მილანური ბომონდის კაცია და ძალიან კარგად იცის, რომ აგრესია უნიჭობისა და უვიცობის ნიშანია. „ლელოს“ იმავე ნომერში მან გვითხრა კიდეც - როცა იცი, რომ შეცდი, კრიტიკა უნდა მიიღოო. ის კარგი მაგალითია ქართველი ახალგაზრდობისთვის - მან სპორტსმენობით დაალწია თავი წუმპეს, წავიდა „მილანში“, სადაც საკლუბო დონეზე ყველაფერი მოიგო, აქვს საკუთარი ბიზნესი, არის საქართველოს ნაკრების კაპიტანი... და უცბად, ასეთი რაღაც ხდება „ლელოს“ რედაქციაში...

დრო მართლაც ბევრ რამეს ცვლის და ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, რესპექტაბელობას მხოლოდ ფულით ვერ მოიპოვებ. უბრალოდ, ყოველივე ეს ყველას ჯერ არ ესმის...

P.S. გუშინ გვიანობამდე ვცდილობდით კახა კალაძესთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ - მობილურზე ავტომოპასუხე იყო ჩართული...

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

ლევან მელქაძე

აღარც კი მახსოვს, გოლი როდის გავიტანე

ახლა უფრო მეტი შანსი მაქვს

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში „ზესტაფონმა" „ბორჯომი" 1:0 დაამარცხა, გოლი კი **ლევან მელქაძემ** შეაგდო. როგორ გგონიათ, ახსოვს ვინმეს, რამდენი ხანი არ ჰქონდა გოლი გატანილი მელქაძეს? ეს თავდამსხმელი „ზესტაფონში" წლეულს ჩაირიცხა, მანამდე კი რამდენიმე თვე უგუნდოდ იყო. მელქაძის ზესტაფონური ტრანსფერი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** მოისურვა. შეიძლება ითქვას, მელქაძე გეგუჩაძის ჯილაა და ფეხბურთელი მწვრთნელთან ვალშია, ნდობა კიდევ ერთხელ უნდა დაუფასოს.

„ბორჯომელებთან სამი ქულა მოვიპოვეთ და მით უფრო გახარებული ვარ, რომ ეს ჩემი გოლით მოვახერხეთ. ეს გოლი ჩემთვის იმითიც იყო მნიშვნელოვანი, რომ კარგა ხანი ბურთი არ მქონდა გატანილი. ბოლოს ეს დაახლოებით ერთი წლის წინ მოვახერხე, როცა ყარალანდის „შახტიორში" ვიყავი მოსამზადებელ შეკრებაზე. რაც შეეხება ბოლო ოფიციალურ მატჩში გატანილ გოლს, აღარც კი მახსოვს, ეს როდის იყო", - გულახდილად გვითხრა მელქაძემ.

„ბორჯომთან" ის თავდასხმაში **ნიკა გელაშვილის** მეწყვილე გახლდათ და გვითხრა, 4-4-2 სქემით ვმოქმედებდით, გოლის გატანას კი ის გვირთულებდა, რომ „ბორჯომი" ათი კაცით იცავდა თავს, წინ მხოლოდ ერთი, ეულად მყოფი ფეხბურთელი ჰყავდაო.

მელქაძემ ისიც მოგვახსენა, უკვე ნორმალურ ფორმაში ვარ და მწვრთნელის გადასაწყვეტია, მათამაშებს თუ არაო. ფიზიკური კონდიციები მართლაც მნიშვნელოვანია - კუნთი, გული და ფილტვი თუ არ მოარგე სპორტსმენის რეჟიმს, რომელ თამაშზეა ლაპარაკი? თუმცა მელქაძეს არ ესწავლება, რომ ფეხბურთელს სხვანაირი წვრთნაც სჭირდება, მოედანზე კარგად რომ წარმოაჩინოს თავი.

„რამდენიც უნდა ვილაპარაკო, ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული-მეთქი, სათამაშო პრაქტიკა სულ სხვაა. არის ბევრი ნიუანსი, რასაც მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა განაპირობებს. თურქულ შეკრებაზე საკონტროლო მატჩები ვითამაშე და ეს ძალზე წამადგა, ვფიქრობ, უკვე მზად ვარ იმისთვის, რომ თამაშში სრულფასოვნად გავისარჯო", - ამბობს მელქაძე.

25 თებერვალს მე-16 ტურის გამოტოვებული შეხვედრა გაიმართება: „დინამო"-"ზესტაფონი". მელქაძეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ესეც რომ არა, ძალიან მაგარი შეხლა-შემოხლა უნდა გამოვიდეს - ორივე გუნდი მაღალი ადგილებისთვის იბრძვის და ეს მატჩი, ცხადია, ბევრს გადაწყვეტს სატურნირო მდგომარეობის მხრივ.

„რა თქმა უნდა, „დინამო" „დინამოა", თუმცა მანამდე, 21 თებერვალს, „გაგრას" ვეთამაშებით და ახლა მხოლოდ ამ მატჩზე ვფიქრობთ. „გაგრა" და „დინამო" - ორივე თამაში უნდა მოვიგოთ", - შემართულია მელქაძე, რომელმაც ესეც გვითხრა: *„ლიდერ „ვიტ ჯორჯიას" 10 ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ „ზესტაფონში" ისეთი კონტინგენტია, არც უეფას თასის საგზურის მოპოვება უნდა წარმოადგენდეს პრობლემას და ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც არ ვაპირებთ ფარ-ხმლის დაყრას".*

გეგუჩაძე უფრო 4-3-3 განლაგებისკენ იხრება და მელქაძეს ვკითხეთ, რომელ სქემაში გრძნობს თავს კომფორტულად: 4-4-2-ის დროს, როცა თავდასხმაში მეწყვილე ჰყავს თუ 4-3-3-ის დროს, როცა მეწყვილე არ ჰყავს და გარემარბები უნდა დაეხმარონ.

„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორი სქემით ვითამაშებთ. 4-3-3-ის შემთხვევაში ფლანგზე მოთამაშე შემტევები ცოტათი შეზღუდულები კი არიან, მაგრამ მაინც შეუძლიათ გამოკვეთილი ცენტრფორვარდის დახმარება. სხვათა შორის, თურქულ შეკრებაზე ამ საკითხზე საკმაოდ ვიმუშავეთ, 4-3-3-ის გარდა, სხვა ვარიანტებიც დავამუშავეთ", - გვამცნო მელქაძემ.

ეროვნულ ნაკრებში მელქაძეს სულ 4 მატჩი ჩაუტარებია, თუმცა 2004-05 წლებში ისეთ ფორმაში იყო, ალბათ, მეტ ყურადღებას იმსახურებდა ნაკრების მაშინდელ მწვრთნელ **ალენ ჟირესისგან**, რომელიც ამ თავდამსხმელზე უარს ამბობდა. არადა, იმ სეზონში ლევანი საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ბოლოს კი ის ვკითხეთ, მაშინდელ მელქაძეს ახლანდელს როგორ შეადარებდა.

„ის პერიოდი მართლაც კარგი იყო ჩემთვის, თუმცა მას მერე გამოცდილებაც მომემატა და პასუხისმგებლობაც. ახლა უფრო ჩამოყალიბებული ფეხბურთელი მეთქმის და შესაბამისად, მეტი შანსი მაქვს, რომ უკეთ ვითამაშო".

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

რევაზ თევდორაძე

რაკი უარესს ავცდით, იმედი არ უნდა გადავიწუროთ...

დავამტკიცოთ, რომ ჩვენი თაობა ქართული ფეხბურთის ტრადიციების გამგრძელებელია

„გაგრა" ჩვენი ფეხბურთის ლიდერი არ არის, თუმცა მისი თამაში ჩემპიონატის ფავორიტებზე არანაკლებ ინტერესს იწვევს. მიზეზი - არასტანდარტული პრეზიდენტი და ნიჭიერ ფეხბურთელთა სიმრავლეა. და კიდევ: „გაგრა" ათასგვარ უცხოურ ტურნირში მონაწილეობს, ემეგობრება იოჰან ბოსკამპს, პარტნიორობს სოლიდური კლუბებთან და მოთამაშეებს არა რუსეთში, არამედ ევროპის სოლიდურ კლუბებში უშვებს („ლე მანი", კიევის „დინამო" და ა.შ). ამიტომაცაა, რომ „გაგრასგან" გაცილებით მეტს ველით. ანთალიაში შეკრების ჩატარება დღეს ორიოდე კლუბისთვისაა ფუფუნება და როცა „გაგრამ" საქართველოს ჩემპიონატი განაახლა, გვეგონა, ახლა მაინც მოახერხებდა აუტსაიდერთა ზონიდან თავის დაღწევას. თუმცა გუნდი ჯერჯერობით თავის შესაძლებლობებს ვერ ავლენს - ორ ტურში მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა და მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა. ამის თაობაზე „გაგრას" კაპიტანი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძე გვესაუბრება...

- რევაზ, „გაგრამ" სეზონი ცუდად განაახლა. რა ხდება თქვენს თავს?

- დამიჯერეთ, საგანგაშო არაფერია. „ლოკომოტივთან" თამაში ვერ აგვეწყო, რუსთავის „ოლიმპმა" კი ორ წუთში ორჯერ გაგვიტანა და ავირიეთ. მოკლედ, ჯერჯერობით, თამაში არ მიგვდის, მაგრამ 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მალე მდგომარეობას გამოვასწორებთ. შეკრებაზე ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, წარმოუდგენელია, ლიგიდან გავვარდეთ და არ მოვუმატოთ. „გაგრას" გაცილებით მეტი პოტენციალი გააჩნია. საკმარისია ერთი წარმატება და მერე ყველაფერი აეწყობა. გუნდი გაიხსნება, რადგან ამ შეკრებაზე ძლიერი ფუნდამენტი ჩაიყარა... თუმცა ახლა ცოტა მძიმედ ვართ, შეთამაშებაც გვაკლია და მოედნების ფაქტორიც მოქმედებს. ანთალიის მშვენიერი მინდვრების შემდეგ, აქაურზე გადაწყობა გაგვიჭირდა. აბსოლუტურად განსხვავებული ხარისხია - იქ რომ ვთამაშობდით, აქ ანალოგიურ ფეხბურთს ვერ ითამაშებ. შეკრების შემდეგ პირველი შეხვედრაც რთული ჩასატარებელია. თუმცა ჩავარდნას მხოლოდ ამას არ დავაბრალებ, ძლიერი მეტოქეებიც გვყავდა. ლიდერების წასვლის შემდეგ, თბილისის „ლოკომოტივი" მაინც კარგად ათამაშდა და ძალიან მომეწონა. რუსთავის „ოლიმპს" კი ჩემი დახასიათება არ სჭირდება, თუმცა წაგების აცილება მაინც შეგვეძლო. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა და დარწმუნებული ვარ, ასე აღარ გაგრძელდება. ახლა „ზესტაფონს" შინ, „მესხეთს" კი გასვლაზე ვხვდებით და მჯერა, უკეთ ვითამაშებთ.

რევაზ თევდორაძე

- ფეხბურთი განწყობის თამაშია და გამოდის, ანთალიურმა გარემომ თქვენზე უარყოფითად იმოქმედა?

- პროფესიონალმა თავი ნებისმიერ გარემოში უნდა გამოავლინოს, ნებისმიერ სიტუაციაში უნდა გაწყო თამაშისთვის და მოემზადო. თუ ხასიათსა და განწყობილებას აჰყევი, თამაში გაგიჭირდება. პროფესიონალი ყოველთვის ვალდებულია, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს.

- ადრე ნაკრებში გიწვევდნენ, ახლა კი კუპერი აღარ გწყალობს...

- ეს ჩემზეა დამოკიდებული, დავიმსახურებ და მიმიწვევს, ალბათ. ჯერ 20 წლის ვარ და ნაკრებში მოხვედრის იმედი არ დამიკარგავს. კუპერი ისეთი მწვრთნელი არ ჩანს, შრომა დამიკარგოს და შანსი არ მომცეს.

- ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები გაირკვა, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი ძალზე პესიმისტი გახდა, აღარ სჯერა, რომ რაღაცას მივაღწევთ...

- იმედი არ უნდა გადავიწუროთ. წინა ციკლში გამოკვეთილი ფავორიტი ესპანეთი იყო, ახლა ჯგუფში ასეთი მეტოქე არ გვყავს, ყველაზე ძლიერებს ავცდით და ეს ჩვენს შანსს ზრდის. ირლანდია, თურქეთი და შვეიცარია ისეთი ძლიერი გუნდები არ არიან, უიმედოდ რომ ვიყოთ. ესტონეთი და სომხეთი კი თავადაც იცით, რომ გრანდები არ არიან. თანაც, საქართველოს 1988-89 წლებში დაბადებულთა ძლიერი თაობა ჰყავს. ჩვენ ლენიანოს ოლიმპიური ფესტივალი მოვიგეთ და ორჯერ ელიტრაუნდში გავედით. ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი თაობა ქართული ფეხბურთის ტრადიციების გამგრძელებელია.

- მეტისმეტად დაიმედებული ხომ არ ხარ?

- ამ გუნდების უმეტეს ნაწილთან მოგებული გვაქვს და რატომ უნდა ვიყო უიმედოდ? შოტლანდიაში გამართულ ელიტრაუნდში თურქებთან 1:1 ვითამაშეთ, არადა, ბოლო წუთზე ნაღდი საგოლე მომენტი გავაფუჭეთ. სლოვაკურ ელიტრაუნდში კი ირლანდიას 3:2 მოვუგეთ, შვეიცარიას ლენიანოს ოლიმპიურ ფესტივალზე 2:1 ვძლიეთ, ხოლო შესარჩევ ციკლში ესტონელებს - 3:0. მათ ნაკრებებში იყვნენ 1988-89 წელს დაბადებული ფეხბურთელები, რომლებიც ახლა ახალგაზრდულ ნაკრებებს დააკომპლექტებენ. მხოლოდ სომხებთან არ გვითამაშია. ასე რომ, არ არის ძალიან რთული ჯგუფი.

- კი, მაგრამ ამ მოგებებიდან მინიმუმ ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ის დამარცხებული თურქი, შვეიცარიელი თუ ირლანდიელი ფეხბურთელი კლასს იმაღლებს, ვითარდება, ქართველი ახალგაზრდები კი ერთ ადგილს ტკეპნით, რადგან შესაფერისი პირობები არ გაქვთ...

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ გულხელდაკრეფილი არც ჩვენც ვმსხდარვართ. საერთოდ, ვინ გაიზარდა და ვინ - ერთ ადგილს ტკეპნის, ამას უშუალოდ შეხვედრები გამოაჩენს. მართალია, ახლა ქართულ ფეხბურთს უჭირს, ჩემპიონატიც არ გვაქვს სასწაული დონის, მაგრამ არა მგონია, თამაში დავიწყებული გვქონდეს.

- დაბოლოს, ცოტა დაუჯერებელი ამბავი გავიგე და მართალია, რომ ერთი ხანობა სეიშელის კუნძულზე ცხოვრობდი?

- კი, მართალია, მაგრამ ძალიან მცირე ხნით...

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

თურქეთში, იტალიასა და ესპანეთში...

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო" თურქულ ბელექში ემზადება, სადაც ამხანაგურ მატჩში ტაშკენტის „პახტაკორს" შეხვდა და 5:1 მოუგო. ამ მატჩში „დნიპროს" შემადგენლობაში მხოლოდ ერთმა ქართველმა, **ჯაბა კანკავამ** ითამაშა. მან მე-16 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. **სანდრო კობახიძე** და **ბექა გოცირიძე** არ გამოჩენილან.

რომში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი მოსკოვის „ლოკომოტივი" „რომას" ახალგაზრდულ შემადგენლობას ეთამაშა და 5:0 გაანადგურა. **დავით მუჯირმა** რკინიგზელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა. ის 63-ე წუთზე შეცვალეს. მუჯირს სპარინგმატჩში თავი არ გამოუჩენია.

თურქეთში მყოფმა ნალჩიკის „სპარტაკმა" ერთ დღეში ორი მატჩი გამართა. პირველში ნალჩიკელები უკრაინულ „ტავრიასთან" 0:1 დამარცხდნენ, შემდეგ კი პირველი დივიზიონის „ურალს" დაუზავდნენ - 0:0. „ტავრიასთან" მატჩში **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო თავად „ტავრიაში" მეორე ტაიმში გამოჩნდა **ვასილ გიგიაძე**, 77-ე წუთზე კი თამაშში **ლადო ბურდულიც** ჩაერთო. „ურალთან" შეხვედრაში პირველი ტაიმი ითამაშა **გოგიტა გოგუამ**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელის ბედი საქართველოში

გიორგი განუგრავა

რას ერჩოდნენ განუგრავას?

20 წლის **გიორგი განუგრავა** უგუნდოდ დარჩა, ჩეხურმა „მლადა ბოლესლავმა“ მასთან კონტრაქტი გაწყვიტა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტის შეჩერება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თავად განუგრავას ისტორია არ არის ჩვეულებრივი. განუგრავა არ იყო ნაცრისფერი ფეხბურთელი, როცა ის თბილისის „ამერში“ თამაშობდა. „ამერი“ პირველ ლიგაში გამოდიოდა, როცა 16 წლის განუგრავა უკვე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ. ნახევარდაცვის ცენტრში გამოცდილი ფეხბურთელივით ირჯებოდა. „ამერი“ მაშინ მეტწილად ასაკოვანი და 1988 წელს დაბადებული ჯეელების ნაზავი იყო. მომიწია მაშინდელი „ამერის“ პირველლიგურ მატჩებზე დასწრებამ და რომ არა განუგრავა, მშრალ, ტრივიალურ რეპორტაჟებს ვერ გავცდებოდი. **გიორგი ჩიხრაძე, გიორგი კილასონია, გიორგი ლუდუშაური**... ასეთ თანაგუნდელებთან განუგრავა არ გამოიყურებოდა მორიდებული ბავშვივით, მისი სითამამე კარგი თამაში იყო – საბოლოო ჯამში განუგრავა სხვებზე მეტი გამოდგა „ამერში“. მე თუ მკითხავთ, იმ დროისთვის პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელიც კი იყო.

„ამერის“ საკლუბო პოლიტიკას მნიშვნელოვნად განაპირობებდა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გაიოზ დარსაძე**. საქართველოში „ამერს“ ყველასგან მკვეთრად განსხვავებული გზა ალმოაჩნდა. 16 წლის ფეხბურთელებზე გათვლას ხომ ყველა ერიდება, თანაც, დარსაძის ყმაწვილების აბსოლუტური უმრავლესობა - 1988 წელსაა დაბადებული...

დარსაძისა და „ამერის“ გზები მალე გაიყარა და დადგა დრო, დარსაძის ჯილებიც წასულიყვნენ „ამერიდან“. განუგრავა, **ბექა გოცირიძე** და **რატი წინამძღვრიშვილი** - „ამერის“ 1988 წელს დაბადებულებში ეს სამეული დანარჩენებისგან გამორჩეული იყო - განუგრავა და გოცირიძე გუნდიდან წავიდნენ, წინამძღვრიშვილის გადაბირება კი ვერ მოხერხდა. „ამერს“ გაშორებული განუგრავა რამდენიმე თვე უგუნდოდ იყო, ის და გოცირიძე მათმა პროტექტორმა თბილისის „დინამოში“ მიიყვანა, მაგრამ ტრანსფერი არ გამოვიდა, რადგან „დინამოს“ პირობა წაუყენეს - თუ ამ ბიჭებს აიყვანთ, მყის პირველ გუნდში უნდა ათამაშოთო...

ამასობაში, ასპარეზზე გამოჩნდა „ზესტაფონი“, რომელმაც უმაღლეს ლიგაში ადგილი წყალტუბოს „სამგურალისგან“ იყიდა. ცოტა ხანში კი ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტი შეეცვალა - **მერაბ ჟორდანიას** ადგილზე **ნოდარ ახალკაცი** მოიყვანეს. აქედან გამოიკვეთა სამკუთხედის კონტურებიც. ახალკაცის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მხარდამჭერი „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** გახლდათ. ახალკაცების ოჯახის მეგობრად მიიჩნეოდა დარსაძე, რომელიც უმცროსმა ნოდარმა საქართველოს ეროვნული და ყველა ასაკობრივი ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნა. განუგრავა და გოცირიძე უკვე „ზესტაფონის“ ფეხბურთელები იყვნენ, დარსაძე კი ამ კლუბის ფაქტობრივი მრჩეველი იყო...

...და დაიწყო - განუგრავა თამაშობდა ეროვნულ, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებში, ხოლო „ზესტაფონში“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად იქცა და სათადარიგოთა სკამზე ვინ დასვამდა?! 17 წლის ფეხბურთელი დიდ დატვირთვებს შეეჭიდა. ზოგ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და რომ 17 წლის ჭაბუკმა მხოლოდ ასაკის შესაფერის ნაკრებში უნდა ითამაშოს, თუ ის, რა თქმა უნდა, ვუნდერკინდი არ არის. ასეთ დროს **ლუის მენოტის** საქციელს იხსენებენ ხოლმე, როცა მან 17 წლის **დიეგო მარადონა** 1978 წლის მუნდიალის მიღმა დატოვა. ზოგი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ შეხედულება - თუ ყმაწვილს კარგი მონაცემები აქვს და ჯანიც არ აკლია, რატომ არ უნდა ითამაშოს ეროვნულ ნაკრებში? - უფრო პროგრესულია.

ვინძლო, განუგრავას კუნთები გამძლე იყო იმ ყველაფრისთვის, მაგრამ ტვინი სულ სხვაა - ჭაბუკის ნერვული სისტემა ხომ სათუთია. ეროვნულ ნაკრებს არ ჰქონდა შედეგი და დარსაძეს იმის გამოც აკრიტიკებდნენ, რომ 17 წლის ყმაწვილებს ათამაშებდა - განუგრავას გარდა, გოცირიძესა და წინამძღვრიშვილსაც. როგორ ფიქრობთ, ყოველივე ეს არ იმოქმედებდა თინეიჯერულ ფსიქიკაზე? და განუგრავაც თითქოს იფიტებოდა. რაც ხდებოდა, დიდი ხნით აღარ გაგრძელდა - დარსაძე ნაკრებებს ჩამოაშორეს, ახალკაცი-კოკაია-დარსაძის სამკუთხედი დაინგრა და განუგრავაც, ფაქტობრივად, მის ნანგრევებში მოყვა.

„ზესტაფონშიც“ ძველებურად ვეღარ ბრწყინავდა განუგრავა. ის უკვე აღარ იყო ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი და ავტომატურად ველარ იქნებოდა იმ მომენტში სატრანსფეროდ საინტერესო. დრო გადიოდა, გიორგის საქმეები კი დაღმა მიდიოდა, ბოლო დროს საერთოდ აღარ ჩანდა „ზესტაფონში“, მაგრამ მაინც მოხვდა ევროპაში - ჩეხურ „მლადა ბოლესლავში“, სადაც ის თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. გახსოვთ, ალბათ, ამის მერე „ზესტაფონმა“ წერილობით რომ განაცხადა - საქართველოს ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან გავდივართო, რამდენიმე დღის შემდეგ კი ასეთი სერიოზული და სკანდალური გადაწყვეტილება შეცვალა და „დაბრუნდა“...

ირონია სათქმელს ლაზათს მატებს. ქართულ ფეხბურთში რა აღარ მომხდარა... განუგრავას ამბავი კი გულწრფელ სინანულს იწვევს - რას ერჩოდნენ ამ ყმაწვილს?

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

გოგა გახოკიძე

კუპერი პიდინკივით იღბლიანი რომ იყოს...

ეროვნული ნაკრების წინა თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას, გოგა გახოკიძეს ჩვენი წარდგენა არ სჭირდება. რუსთავის „გორდა“, თბილისის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“, „ეინდჰოვენი“, ჰაიფას „მაკაბი“, „ტვენტე“ - ასეთია მისი საკლუბო კარიერა. გახოკიძეს კიდევ შეეძლო გაგრძელება, მაგრამ ტრავმების გამო იძულებული გახდა, „ტვენტესთან“ კონტრაქტი ვადაზე ადრე გაეწყვიტა და კარიერა ნაადრევად დაესრულებინა...

მაგრამ გოგა ფეხბურთიდან არ წასულა. შარშან მან ფიფას ლიცენზირებული აგენტის სტატუსი მიიღო. დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე სწორედ მისი დახმარებით აღმოჩნდნენ უნგრულ „დიორი ეტოში“. გახოკიძე ახლა სხვა ტრანსფერებზე მუშაობს. გოგას გუშინ დავუკავშირდით და ვფიქრობთ, საინტერესო ინტერვიუც გამოგვივიდა...

- გოგა, საუბარი ჩვენი ნაკრების ბოლო მატჩის ანალიზით დავიწყოთ. ირლანდიაში თამაშს ვიგებდით, მაგრამ ისევ დავმარცხდით...

- ჩვენმა ნაკრებმა კარგად დაიწყო თამაში, გოლიც გაიტანა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში უპირატესობასაც ფლობდა... თუმცა მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა, ფინელმა არბიტრმა მე-12 ფეხბურთელის როლი მოირგო და ისეთი პენალტი დანიშნა, მსგავსი არსად მინახავს. იმ 11-მეტრიანმა გაგვტეხა სწორედ, ჩვენი გუნდი აირია, კუპერმა კი შეცვლებით სცადა ვითარების დალაგება, მაგრამ... სამწუხაროდ, მეორე გოლიც მივიღეთ და საბოლოოდ დავმარცხდით.

- როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ წაგების მიზეზი?

- რამდენიმე ფაქტორი, ხოლო მათ შორის მთავარი, არბიტრი იყო. ჩვენს მარცხში ლომის წილი სწორედ მას უდევს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სხვა ფაქტორების დასახელებაც შეიძლება, მაგალითად, ტრავმები... დუბლინში აშკარად გამოჩნდა, რომ ყენია და მჭედლიძე ჩვენი ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები არიან. ისინი რომ ყოფილიყვნენ, ირლანდიელებს მეორესაც გავუტანდით. გარდა ამისა, ერთი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი - ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა თამაშობს ინგლისში, სადაც პაუზა ფაქტობრივად არ აქვთ. ამიტომ, მათი მოთამაშეები ჩვენებზე ფიზიკურად უკეთ იყვნენ მომზადებულნი. სხვათა შორის, დუბლინის მატჩში ისიც დავინახე, რომ ირლანდია ჩვენი ნაკრებისგან ასეთ თამაშს არ ელოდა და დასაწყისში, ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც.

- არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ ჩვენს ფეხბურთელს ბოლომდე არ სჯეროდა გამარჯვების...

- თავად ვთამაშობდი ეროვნულ გუნდში და ახლოს ვიცნობ მათ დიდ ნაწილსაც, ვინც ახლა თამაშობს ნაკრებში... ვერ ვიტყვი, რომ ვინმე ბოლომდე არ დაიხარჯა...

- შეიძლება, ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯოს, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭირო ფსიქოლოგიური განწყობილება არ ჰქონდეს. თუ არ გჯერა, რომ მოიგებ, ვერც მოიგებ. არ მეთანხმებით?

- ასეა, მაგრამ არ მგონია, ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვების რწმენა არ ჰქონოდათ.

- სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის შედეგებში წაგება ჭარბობს. შესაძლოა, ქვეცნობიერად ესეც თრგუნავს ჩვენს ფეხბურთელებს...

- არ ვიცი... ცოტა ძნელი სათქმელია. ახლა ნაკრებისგან შორს ვარ და არ ვიცი, რა ხდება გუნდში.

- ექტორ კუპერზე რა აზრის ხართ?

- კუპერის კარიერას ყველა იცნობს და არავინ შემედავება, რომ მაღალი დონის სპეციალისტია. ის საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ეს უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ ხომ ნახეთ, ანთალიაშიც კი წავიდა, სადაც ქართული კლუბების ამხანაგურ მატჩებს დაესწრო. ჩადის ბოლნისში, გორში, ზესტაფონში, ზუგდიდში... ასეთ დროს, შესაძლოა, ისეთ ფეხბურთელსაც კი წააწყდეს, მანამდე რომ არავის შეუნიშნავს. ასე მოხვდნენ ნაკრებში რაზმაძე და ხმალაძე... მოკლედ, კუპერი ძალზე მონდომებულია და მე მგონი, მისი ძალისხმევა უშედეგოდ არ ჩაივლის.

- ზოგი მიიჩნევს, რომ ნაკრებს კუპერის ხელი ეტყობა და გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- მიმაჩნია, რომ ნაკრები მართლაც უმატებს, პროგრესი ჩანს, თუმცა არ არის სტაბილურობა. ეს კი დრომ უნდა მოიტანოს. მანამდე ჩავარდნები იქნება, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს და ამის გამო ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ. ჩანს, რომ კუპერი აქ ფულის საშოვნელად არ ჩამოსულა.

- არსებობს აზრი, რომ კუპერი უიღბლო მწვრთნელია, რაც მისი საკლუბო კარიერიდანაც ჩანს. იღბალი მწვრთნელისთვის ბევრს ნიშნავს?

- იღბალი ბევრ რამეს წყვეტს არა მარტო მწვრთნელისთვის, არამედ მთლიანად ფეხბურთისთვის. შეიძლება, ისე აჯობო მეტოქეს, მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდეს, მაგრამ გავიდეს 90 წუთი და ერთი გოლიც ვერ გაიტანო... თუნდაც გუუს ჰიდინკის მაგალითი ავიღოთ - ის საოცრად იღბლიანი მწვრთნელია. ჰოლანდიაში მას ხუმრობით „ჯადოქარსაც“ კი უწოდებენ. კუპერი ჰიდინკივით იღბლიანი რომ იყოს, ახლა ჯგუფში უფრო მაღალ საფეხურზე ვიქნებოდით...

- არ მიგაჩნიათ, რომ ნაკრებში ცქიტიშვილს, ამისულაშვილსა და გოგუასაც უნდა იძახებდნენ?

- ეს მწვრთნელის კომპეტენციაა, თუმცა მეც ვიზიარებ იმათ მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, რომ ცქიტიშვილი ნაკრებს სჭირდება. ჩამოთვლილთაგან ყველაზე უკეთ სწორედ მას ვიცნობ. ლევანი მაღალი კლასის მოთამაშეა, ბურთს იჭერს, შეტევების ორგანიზებაც კარგად იცის, გამოზომილი და ზუსტი პასი აქვს... ერთი სიტყვით, ნებისმიერი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია... უთამაშებელი იყო, ტრავმა აწუხებდა, ფორმაში არ იყო და ეტყობა, ამიტომ არ გამოიძახა კუპერმა. დარწმუნებული ვარ, ახალ კლუბში ათამაშდება და ნაკრებშიც გამოიძახებენ... თუმცა ვნახოთ, კუპერმა უკეთ იცის თავისი საქმე.

- ახლა თქვენს ახალ საქმიანობაზე ვისაუბროთ. ფიფას ლიცენზირებული აგენტი გახდით და პირველი ტრანსფერებიც განახორციელეთ...

- ფიფას სპეციალურ კომისიაში ორი გამოცდა ჩავაბარე და აგენტი გავხდი. სხვათა შორის, ჩემთან ერთად ვახტანგ ხვადაგიანმაც მიიღო აგენტის სტატუსი. რაც შეეხება ტრანსფერებს, როგორც იცით, „დიორი ეტოში“ დათო ოდიკაძე და რატი ალექსიძე გადავიყვანე. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი მეგობრის ლაშა ოდილაძის გარეშე ეს ტრანსფერები არ შედგებოდა. 9 წელია ის ამ კლუბში მუშაობს, ტრანსფერებსა და ფინანსებს უძღვება. უყვარს თავისი საქმე, იმ დონის პროფესიონალია, გესიამოვნება მასთან თანამშრომლობა...

- რამდენადაც ვიცით, ამჟამად ერთი ქართველი ჭაბუკი ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობთ...



გოგა გახოკიძე

- დიახ, გიორგი ხარლამოვია ასეთი... ის სამჯერ მყავდა ჩაყვანილი „ტვენტეში“. ძალიან მოსწონთ და ამიტომაც მთხოვეს, კიდევ ერთხელ ჩამოიყვანეო. გიორგიმ ბოლოს „ტვენტეში“ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა, სადაც „რეალი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „აიაქსი“, „ეინდჰოვენი“ და სხვა ცნობილი კლუბები მონაწილეობდნენ. „ტვენტემ“ მესამე ადგილი დაიკავა. ხარლამოვმა თავადაც არაერთი ბურთი გაიტანა და სხვებსაც გაატანინა. ძალზე ლამაზი გოლი გაუტანა „აიაქსს“, „რეალთან“ კი საოცარი გადაცემა შეასრულა, რასაც გოლიც მოჰყვა... თუმცა გიორგი ჯერ არ არის სრულწლოვანი და ამის გამო „ტვენტეში“ მისი გადაყვანა ვერ ხერხდება. ამ დღეებში ჰოლანდიაში მისი საკითხის მოსაგვარებლად მივდივარ და იმედია, საქმეს წინ წავწევთ.

- კიდევ რომელი ფეხბურთელების ტრანსფერებზე მუშაობთ?

- ჯერ არ მინდა გვარების დასახელება. ამას გარდა, მინდა კონტაქტები და სამოქმედო არეალიც გავაფართოო. ბელგიელ და ჰოლანდიელ აგენტებთან ვთანამშრომლობ, ვცდილობ, რუსულ, უკრაინულ და საერთოდ, აღმოსავლეთევროპულ კლუბებთანაც დავამყარო კავშირები.

- საქართველოს ჩემპიონატის მატჩებსაც ესწრებით. იმ დროიდან, როცა თავად თამაშობდით ეროვნულ პირველობაზე, დონემ მოიმატა თუ დაიკლო?

- ვხედავ, არის მცდელობა, რომ ჩემპიონატის დონე ამაღლდეს, თუმცა ინვესტიციების გარეშე არაფერი გამოვა. ძალიან მინდა, ჰოლანდიის ჩემპიონატის დონის პირველობა მაინც გვქონდეს... აქ ბევრია სამუშაო...

- მაინც საიდან უნდა დავიწყოთ?

- პირველ რიგში, ბავშვთა ფეხბურთს უნდა მივხედოთ, აქ ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ბავშვთა და ჭაბუკთა მატჩებსაც ვესწრები და ვხედავ, რაც ხდება. გვყავს შესანიშნავი მწვრთნელებიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბავშვები სწორად უნდა გავზარდოთ, მოედნებს, საფეხბურთო ინფრასტრუქტურას უნდა მივხედოთ... ეს ყველაფერი პარალელურ რეჟიმში უნდა გაკეთდეს. ამასთან, ეროვნულ ჩემპიონატს ბიზნესიც მხარში უნდა დაუდგეს. საერთო ძალისხმევაა საჭირო და ვფიქრობ, სწორი მუშაობის შემთხვევაში შედეგს აუცილებლად მივიღებთ.

დავით ცაბძე

ბავშვთა ფეხბურთი

ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

ავაზას შთამბეჭდავი სახეცვლილება



ასე გამოიყურება ავაზას საფეხბურთო სკოლა დღეს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

შარშან „ვისოლმა" საფეხბურთო სკოლა „ავაზას" ტერიტორია შეიძინა. მაშინვე გაჩნდა შიში, რომ ბენზინის იმპორტიორი ცნობილი კომპანია დიღომში რაიმე ბიზნესპროექტს წამოიწყებდა და **მიხეილ მესხის** სახელგანთქმული საფეხბურთო სკოლიდან მხოლოდ მოგონებები დაგვრჩებოდა.

საბედნიეროდ, შიში არ გამართლდა და გუშინ კომპანია „ვისოლმა" განახლებული „ავაზას" სანახავად მიგვიწვია. მიწაყრილიანი და დაძველებული სკოლის ნაცვლად, მოწესრიგებული, თანამედროვე და კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი წამოიჭიმა. „ავაზას" სრული რეაბილიტაცია ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საფეხბურთო ცენტრი „ვისოლმა" თბილისის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში განახორციელა. რა თქმა უნდა, მშენებლობის დროს უეფას სტანდარტებიც იყო გათვალისწინებული.

სარეკონსტრუქციო სამუშაო „ვისოლის" შვილობილმა კომპანია „ველაჯომ" აწარმოა. „ავაზას" ტერიტორიაზე სამი ახალი ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგო, რომელთაგან ერთი სტანდარტული (100X68) ზომისაა, დანარჩენი ორი კი მცირე, თუმცა ისეთი, პატარა ასაკის ბავშვებისა და ფიზიკური მომზადებისთვის რომ გამოდგებოდა (70X35, 40X20).

ხელოვნურსაფრიანი მოედნები მეხუთე თაობისაა. ასეთ ხალიჩაზე უეფას ეგიდის თითქმის ყველა რანგის ტურნირის გამართვა შეიძლება და მით უფრო სასურველია ჩვენი ბავშვებისთვის, რომლებიც ხრიოკზე თამაშს არიან შეჩვეულები.

რაც მთავარია, მშენებლობის დროს მაქსიმალურად იყო დაცული ყველა რეკომენდაცია: უეფას სტანდარტების შესაბამისად მოეწყო მოედნების სადრენაჟო სისტემაც, რომელიც მის სათამაშო ვარგისიანობას უზრუნველყოფს ნებისმიერ ამინდში, მათ შორის, დიდი ნალექის პირობებშიც.

გარდა იმისა, რომ მოედნები მოეწყო, სტადიონზე განათების სისტემაც დამონტაჟდა, რაც ვარჯიშებისა თუ ტურნირების ღამით ჩატარების საშუალებას იძლევა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ადმინისტრაციული კორპუსი, მწვრთნელების ოთახები, გასახდელები და საშხაპეები. ერთგვარ კოლორიტს „ავაზას" ისიც მატებს, რომ ფეხბურთელები მოედანზე გასახდელიდან გვირაბის გავლით გადიან. თითქოს დეტალია, მაგრამ დაგვეთანხმებით, ფეხბურთი სწორედ ასეთი წვრილმანი დეტალებისგან შედგება. კომპანია „ვისოლმა" „ავაზას" რეკონსტრუქციაზე დახარჯული ინვესტიციის მოცულობაც დაასახელა - 900 000 ლარზე ოდნავ მეტი.

„ავაზა" ლეგენდარულმა მიხეილ მესხმა 1970 წელს დააარსა. ამ ხნის განმავლობაში სკოლამ არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი აღზარდა - **რევაზ, არჩილ** და **შოთა არველაძეები, ვაჟა ჟვანია, ლევან კობიაშვილი, ზაზა ზირაქიშვილი, გიორგი განუგრავა, სანდრო კობახიძე, იაგო ჟორჟიკაშვილი**... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

დღეისთვის, იქ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სამასამდე ბავშვი ვარჯიშობს. სკოლაში „ვისოლის" შესვლის შემდეგ კომპანია მოსწავლეებს უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო მომსახურებით, საჭირო სპორტული ფორმებითა და ინვენტარით, საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში საწევრო გადასახადებით...

სოსო ფხაკაძე, „ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: *„ჩვენ საკუთარ ვალად მივიჩნევთ ქართული სპორტის თანადგომას, რასაც ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველი - „ვისოლის" თანამშრომლები თავადაც სპორტული წესით ვცხოვრობთ. კომპანიაში შექმნილია თანამშრომლებით დაკომპლექტებული ფეხბურთის 12 გუნდი, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ და შიდა ჩემპიონატებსაც ვაწყობთ. მეორეც - ახალგაზრდები სწავლითა და სპორტით უნდა იყვნენ დაკავებულნი. პირად თუ პროფესიულ ასპარეზზე წარმატებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესს გადამწყვეტი როლი ენიჭება".*

როგორც აღვნიშნეთ, „ავაზა" „ვისოლის" შვილობილმა კომპანია „ველაჯომ" ააშენა. მისი წარმომადგენლის, **არჩილ ტვილდიანის** თქმით, „ავაზას" რეკონსტრუქციასთან ერთად „ვისოლი" კიდევ სხვა სპორტულ კომპლექსებსაც აშენებს - დიდ დიღომში რაგბისა და ველოსპორტის სპეციალიზებულ სპორტულ კომპლექსს, სოფელ დიღომში ჭიდაობის სხვადასხვა სახეობისთვის ასევე სპორტული კომპლექსს; თბილისში, სანზონაში, შუამთის ქუჩაზე კი სარაგბო კომპლექსის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კომპანიას მორაგბეთა ჩემპიონატში საკუთარი გუნდი, „ვისოლი-ყოჩებიც" ჰყავს.

დიდ დიღომში ჰოლანდიელი სპეციალისტები უახლესი ტექნოლოგიებით ველოტრეკს აშენებენ. სულ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის „ვისოლ ჯგუფმა" სამ მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა.

რაც შეეხება ბავშვების გადასახადებს, მერია ბავშვებს დაურიგებს ვაუჩერებს, რომელსაც ისინი თანხის მაგივრად გადაიხდიან.

ვასილ ხორავა, „ვისოლის" გენერალური დირექტორი: *„ბევრს ეგონა, რომ ამ ტერიტორიაზე ბიზნესპროექტს განვახორციელებდით. თუმცა ჩვენ სოციალურ პროექტებსაც ვაკეთებთ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს თავად კომპანიის, მისი ბრენდის იმიჯის განმტკიცებასაც უწყობს ხელს და მომავალი თაობების გაზრდასაც. ძალიან მიხარია, რომ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა".*

პაატა ბურჯალიანი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი: *„ასეთ რთულ ვითარებაში „ვისოლის" მიერ საფეხბურთო სკოლის რეკონსტრუქცია საშვილიშვილო საქმეა. ამისთვის კომპანიის ხელმძღვანელებს - სოსო და ლევან ფხაკაძეებს, ასევე ვასილ ხორავას მადლობა მინდა გადავუხადო. ბავშვთა ფეხბურთში ისეთი ინვესტიცია განხორციელდა, რომელზეც დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში ვერც ვიოცნებებდით. „ვისოლი" ეროვნული ჩემპიონატის მთავარი სპონსორი და საერთოდაც, სპორტის ერთ-ერთი გამორჩეული ქომაგია. „ავაზას" რეკონსტრუქცია სწორედ ამაზე მეტყველებს".*

მერაბ მამულაშვილი

გორელები

შერიფ ვაჟას დილის ძილი

ის, რომ გორში ჭიდაობის ილეთს საფეხბურთო ფინტზე ბევრად უკეთ ასრულებენ, ნამდვილად არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ ქალაქში ფეხბურთი ჭიდაობაზე ნაკლებად უყვართ. სულ ცოტა ხნის წინ ადგილობრივი „დილა" საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი კოლორიტული გუნდი გახლდათ, მისთვის დამახასიათებელი ხელწერითა და თვისებებით. გორში მოგებაზე ფიქრი ნებისმიერი გუნდისთვის ფრიად რთულ საქმედ მიიჩნეოდა. ესეც არ იყოს, ამჟამინდელ უმაღლეს ლიგაში „დილას" დარი სტაჟიანი გუნდიც ორიოდე თუ მოინახება.

საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატების პირველ ეტაპზე გორელთა უპირველეს კოლექტივს სეზონის მრისხანედ დაწყება ახასიათებდა - დააგროვებდა გარკვეული რაოდენობის ქულებს და შემდეგ უკვე მშვიდად მიჰყავდა სეზონი ფინიშამდე. მომდევნო წლებში გორელებისთვის უკვე ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრი გახდა პროგრამამინიმუმიცა და მაქსიმუმიც. დღეს „დილა" ქვედა ლიგაშია და იქიდან უმზერს ზედა ეშელონში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა გორელი ფეხბურთელები და გულშემატკივრები შინაურ საქმედ მიიჩნევენ ტირასპოლის (მოლდოვა) „შერიფში" მიმდინარე მოვლენებსაც, რომლის ეპიცენტრშიც გორელი **ვაჟა თარხნიშვილია**.

ან „შერიფის" კაპიტანი, გუნდის სიმბოლოდ ქცეული 37 წლის თარხნიშვილი შიდა ქართლის მთავარი გუნდის წევრი იყო მაშინ, როცა „დილას" ღირსება შეულახავი ჰქონდა და ბოლო წლებში უკვე ტრადიციად ქცეული დაშლის საშიშროება დღის წესრიგში ჯერ არ დასდგომოდა. გორელების საყვარელი გუნდიდან მოლდოვაში გადასული ვაჟა თარხნიშვილი მალევე გახდა „შერიფის" უპირველესი იმედი და კაპიტანი. მას საუკეთესო ევროპულ ლიგებში არ უთამაშია და არც ძველი კონტინენტის რომელიმე გამორჩეული ჯილდო ალუმართავს, მაგრამ მოლდოვის რამდენიმეგზის ჩემპიონობა და დსთ-ის ორი თასი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი ტიტულები.

მიუხედავად იმისა, რომ თარხნიშვილი საიმედო მცველად მიიჩნეოდა, ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელები მას მაინც ნაკლებად სწყალობდნენ. ის საქართველოშიც კარგად თამაშობდა, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობები უფრო უკეთ, რა თქმა უნდა, „შერიფში" აჩვენა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თარხნიშვილის შესახებ ახალი ინფორმაციებით გორში მუდამ განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ და მერე ეს ამბები გულშემატკივრებში ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა. მაგალითად, ადგილობრივი ქომაგი დღესაც დაულალავად ლაპარაკობს იმაზე, რომ რამდენიმე წლის წინათ, მათი საყვარელი ფეხბურთელის გამოსახულებით მოლდოვაში მონეტაც კი მოჭრეს.

დღეს უკვე გორელები თარხნიშვილის ბოლო წარმატებაზე ლაპარაკობენ ძველებური ენთუზიაზმით - იანვარში „შერიფმა" თანამეგობრობის თასი მოიგო, რითიც 2003 წლის მიღწევა გაიმეორა. და ვაჟა ხომ მაშინაც გუნდის ლიდერი იყო...

აღსანიშნავია, რომ თარხნიშვილი იმ დროს ერთადერთი გორელი ლეგიონერი გახლდათ. მაშინდელისგან განსხვავებით, ამჟამად ამ ქალაქს რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს, მაგრამ არც მასზე უკეთეს ლიგაში წასულა ვინმე და არც ტიტულით მიახლოებია ვეტერან გორელს. გარდა იმისა, რომ თარხნიშვილივით სხვა მისი თანაქალაქელი ლეგიონერები ვერ ახარებენ გორელებს, მისი წარმატება იმიტომაც იქცა ორმაგად სასიხარულოდ, რომ ადგილობრივ ფეხბურთში აქაურებს საქომაგო თითქმის აღარაფერი დარჩათ. ერთია, რომ „დილა" პირველ ლიგაშია და აღზევებისთვის ბრძოლა არ ძალუძს, ამასთან, ტრადიციულად ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდში ახლა ორიოდე გორელი თუ აგორებს ბურთს. მათი უმეტესობა წლების განმავლობაში უჯიგროდ, ან ეტაპობრივად გასტუმრებულმა ხელფასებმა დაღალა და როცა გუნდი დაქვეითდა, ქვედა ლიგაში აღარ გაჰყვა - ნაწილი საერთოდ შეეშვა ფეხბურთს, ნაწილმა კი უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებს მიაშურა.

ბოლო ორი წელია, გორელი ფეხბურთელებისთვის „დისლოკაციის" მთავარ ადგილად ახალციხის „მესხეთი" და „ბორჯომი" მიიჩნევა. გასულ წელს ყოფილი დილელი **ვახტანგ აკოფიანის** რეკომენდაციით ძმებმა **ხანიშვილებმა** სომხეთისკენ გაიკვლიეს გზა და, როგორც ჩანს, მათ მალე კიდევ ერთი თანაქალაქელი დაემატება...

მიმდინარე სეზონში გორელებს საშუალება აქვთ, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენასა და „ქართლზე" უმაღლესი ლიგის მატჩებს („ვიტ ჯორჯიასა" და „სპარტაკის" მონაწილეობით) ადევნონ თვალი, თუმცა გორის ორივე სტადიონზე მაინც მცირე რაოდენობით მიდის გულშემატკივარი. შესაძლოა, მავანმა თქვას, რომ მაყურებლის სიმცირე საერთო ქართული სენია, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე ჩანს, თითქოს გორელი გულშემატკივარი მათი თანაქალაქელების საქომაგოდ დადის სტადიონზე. „ვიტ ჯორჯიას" თამაშებს ორი თუ სამი ასეული მაყურებელი ესწრება, და პირველ რიგში იმიტომ, რომ **ლუკა რაზმაძე** და **ამირან ყველაშვილი** „მოინახულოს". ამას გვაფიქრებინებს „ვიტ ჯორჯიას" მატჩებზე გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფების შეძახილებიც, რომელიც სწორედ მათი თანაქალაქელი ფავორიტის მიერ ბურთის მიღებას ეხმიანება. ამ თვალსაზრისით მეორე წრეში ერთგვარ „გარღვევას" „ქართლის" სტადიონზეც ვნახავთ, ალბათ, სადაც **დიმიტრი სანაკოევის** ინიციატივით განახლებული ცხინვალის „სპარტაკი" ირჯება. მისი განახლებიდან დღემდე აქ გორელი ფეხბურთელი არ ჩარიცხულა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კი ბორჯომიდან ყოფილი დილელი **გივი ქარქუზაშვილი** და ასევე, გორის „დილაში" მოასპარეზე **დავით ტლაშაძე** დაიმატეს.

...და იმ დროს, ვიდრე უკვე სტაჟიანი „შერიფის", ვაჟა თარხნიშვილის მშობლიური „დილა" ძილს მისცემია, ტრიბუნებზე ჩვეული ბობოქრობის ნაცვლად მისი გულშემატკივრები ორთქლს ქუჩაში უშვებენ. ზოგი იმის თვლითაც იქცევს თავს, თუ ვაჟას გამოსახულებიანი რამდენი მონეტა დასჭირდებოდა გორის „დილას" გამოსაფხიზლებლად...

თარხნიშვილის მიერ ხავსშეპარული დსთ-ის თასის მოპოვებამ გორელი გულშემატკვრები ყველაფერთან ერთად იმიტომაც გაახარა, რომ გასულ ზაფხულს მათი ქალაქის დამრბევ ქვეყანაში გამარჯვების თასი სწორედ აქაურმა აღმართა.

არის ამაში რაღაც სიმბოლურიც და საამაყოც!

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინული ფეხბურთი

შახტარის კოლოსალური ნაგება

დინამო ხელფასებს არ შეამცირებს

დონეცკის „შახტარი" ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის საკუთრებაა. **რინატ ახმეტოვის** ქონება შრავალ მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ რამდენად შემცირდა მისი კაპიტალი, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ უმდიდრესთა შორის ისევ რომ იქნება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მართალია, „შახტარის" წლიური ბიუჯეტი ევროპული გრანდებისას ვერ უტოლდება, მაგრამ ის მაინც საკმაოდ სერიოზულ თანხას, დაახლოებით 60-65 მილიონ დოლარს შეადგენს. ამას ადასტურებს კლუბის გენერალური მენეჯერი **სერგეი პალკინიც**, თუმცა აღნიშნული თანხიდან 26.5 მილიონი დოლარი სუფთა ნაგებაა, რაც უკრაინის ეროვნულ ვალუტაში 220 მილიონ გრივნას უდრის. შარშან კლუბმა გრივნებში დაახლოებით 215 მილიონი იზარალა.

საერთოდ უკრაინაში ფეხბურთი ბიზნესი არ არის. მაგალითისთვის გეტყვით, რომ „შახტარი" 2002 წლიდან წამგებიანი კომპანიაა. ერთადერთი გამონაკლისი 2006 წელი გამოდგა, როცა სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების კლუბში მოსვლით წლიურმა მოგებამ 40 მილიონი გრივნა (8 მილიონ დოლარზე ნაკლები შეადგინა). მაღაროელებს წელს ნამდვილად მოუწევთ რამდენიმე მარკეტინგულ პროექტზე უარის თქმა, შემცირდება სარეკლამო ბიუჯეტი, სეკვესტრი შეეხება ბავშვთა აკადემიის ხარჯებსაც. კლუბი შეწყვეტს უკრაინის ჩემპიონატის გასვლით თამაშებზე გულშემატკივართა მგზავრობის დაფინანსებას.

„შახტარის" მუდმივი მეტოქე კიევის „დინამოს" თავისი მესაკუთრეებისთვის მოგება ნამდვილად არ მოაქვს, მაგრამ არც ისეთი წამგებიანია, როგორიც დონეცკური კლუბი. 2008 წლის მონაცემებით „დინამოს" საბიუჯეტო დანაკლისმა სულ რაღაც 18 მილიონი გრივნა, დაახლოებით 2.15 მილიონი დოლარი შეადგინა. „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტის **ვიტალი სივკოვის** თქმით: *„კლუბი წინა წლების მსგავსად, ახლაც წამგებიანია. მოგება მხოლოდ იმ თვეებში გვქონია, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ვასპარეზობდით"*. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, პრეზიდენტ **იგორ სურკისს** ბიუჯეტის შემცირებაზე არც უფიქრია: *„ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმძიმეს ჟამს „დინამოს" ბიუჯეტს არ შევამცირებთ და შესაბამისად, ფეხბურთელების ხელფასებსაც არავინ შეეხება. თუმცა შეიძლება, საკლუბო პერსონალის შემცირება მოგვიხდეს"*.

„თეთრ-ცისფრების" ბიუჯეტი 2009 წლისთვის უკვე დაგეგმილია და ის 51 მილიონ ევროს შეადგენს, თუმცა სატრანსფეროდ აუცილებელი ფული ამ თანხაში გათვალისწინებული არ არის. გასულ წელს „დინამოს" ბიუჯეტმა 41 მილიონი შეადგინა. დამატებით 20 მილიონი მას სპონსორებმა გამოუყვეს.

ახალი რეკორდის მოლოდინში

ედვინმა ევროპას შეუტია

ევროპის შემდეგ, შეიძლება მსოფლიოს რეკორდიც დაემხოს...

ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ფულჰემთან" გამოტოვებული მატჩი ჩაატარა და სამი უპასუხო გოლი შეაგდო. „ეშმაკებმა" უახლოესი მდევარი „ლივერპული" ხუთი ქულით ჩამოიტოვეს. **ედვინ ვან დერ სარმა** მშრალი სერია 90 წუთით გააგრძელა. ჰოლანდიელ მეკარეს 1 302 წუთია, გოლი არ გაუშვია. ის უკანასკნელად პრემიერლიგის მე-12 ტურში დაამწუხრეს (გოლი **სამირ ნასრიმ** გაიტანა), როდესაც „მანჩესტერმა" სტუმრად „არსენალთან" წააგო.

პრემიერლიგის რეკორდის დამხობის შემდეგ ვარ დერ სარი ევროპულ რეკორდს უტევს. მისი ავტორია ბელგიური „ბრიუგეს" მეკარე **დენი ვერლინდენი**. მან შორეულ 1990 წელს კარი 1 390 წუთის განმავლობაში მშრალად შეინახა. დიდი ხნის განმავლობაში რეკორდს მადრიდის „ატლეტიკოს" მეკარე **აბელ რესინოს** ფლობდა. მან 1977-78 წლებში 1 275-წუთიანი მშრალი სერია გამოაცხო. ვერლინდენის გაცილებით შთამბეჭდავი მიღწევა ოფიციალურ სტატისტიკაში სულ ახლახან შეიტანეს.

აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს რეკორდი 1 816 წუთია. ის ბრაზილიელ მეკარე **მაზაროპის** ეკუთვნის. ეს ფეხბურთელი „ვასკო და გამას" ღირსებას იცავდა. მან უპრეცედენტო მშრალი 1977 წლის მაისიდან 1978 წლის სექტემბრამდე გამოაცხო. აღსანიშნავია, რომ სულ ახლო წარსულამდე ბრაზილიის პირველობა ქაოტური ტურნირი იყო. მაზაროტისა და „ვასკოს" სხვადასხვა ლიგაში მოთამაშე ძალიან სუსტ გუნდებთანაც უხდებოდათ თამაში. ამ პირობებში 1 816 წუთის განმავლობაში კარის მშრალად შენახვა გასაკვირი არ უნდა იყოს. რეკორდი ის იქნება, თუ მის მიღწევას ვან დერ სარი გაიმეორებს.



ედვინ ვან დერ სარი

რივერ პლეიტი

ხოსე მარია აგილარი რივერის მაისურებს გადასცემს ენცო ფრანჩესკოლისა და ზინედინ ზიდანს

განა რივერი მარტო ფეხბურთია?

მილიონარიოსის პრეზიდენტი კრიზისს არ აღიარებს

„რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა **ხოსე მარია აგილარმა** ჟურნალ „კლარინს" ინტერვიუ მისცა, სადაც ის კლუბში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობასა და იქიდან გამოსავლის გზებზე ლაპარაკობს. მოგეხსენებათ, **არიელ ორტეგა** იჯარით არგენტინის ქვედა ლიგის კლუბ „ინდეპენდიენტე რივადავიაში" თამაშობს. კლუბმა ფეხბურთელის დაბრუნება მოინდომა, მაგრამ „ინდეპენდიენტეს" ბოსებმა იმხელა თანხა მოითხოვეს, რომ აგილარმა ტრანსფერი შეუძლებლად მიიჩნია: *„ არიელ ორტეგას დაბრუნება ორჯერ ვცადეთ - დეკემბერში და სამი კვირის წინ, მაგრამ ორჯერვე 800 ათასი დოლარი მოგვთხოვეს. ეს ჩვენთვის უზარმაზარი ფულია. თანაც რატომ უნდა დავხარჯოთ ამხელა თანხა, როცა არიელის საიჯარო ხელშეკრულება ოთხ თვეში ამოიწურება"*.

ამის შემდეგ აგილარმა კლუბის ზოგად პრობლემებზე ისაუბრა: *„თქვენ ფიქრობთ, რომ „რივერ პლეიტი" მხოლოდ ფეხბურთია? ჩვენი კლუბი არგენტინის ყველაზე დიდი კულტურულ-სპორტული ცენტრია. მაგალითისათვის გეტყვით, რომ ჩვენ უზარმაზარი ბიბლიოთეკა გაგვაჩნია. საფეხბურთო კლუბის გარდა, საჭიროა საფეხბურთო სკოლის შენახვაც, იქ მოთამაშე ნიჭიერ ბიჭებს სტიპენდიები სჭირდებათ. ჩვენი საქმიანობა მარტო ერთი კლუბით არ იფარგლება. ძირითადი გუნდის გარდა ჩვენ ათასი საფიქრალი და სანერვიულო გვაქვს."*.

ჟურნალისტებმა მას „მილიონარიოსის"კრიზისზე დაწვრილებით საუბარი სთხოვეს. აი, რა უპასუხა პრეზიდენტმა: *„შვიდი თვის წინ „რივერ პლეიტი" არგენტინის ჩემპიონი იყო. ჩემი პრეზიდენტობის დროს კლუბი ოთხჯერ დაეუფლა ოქროს მედლებს, იმდენჯერვე, რამდენჯერაც „ბოკა ხუნიორსი". თითოჯერ ჩემპიონები იყვნენ „ლანუსი", „სან ლორენსო", „ინდეპენდიენტე" და „ნიუელს ოლდ ბოისი". ოთხი ჩემპიონობა ცოტაა? 1975 წელს ჩვენც და „ბოკასაც" 12-12 ტიტული გვქონდა. ახლა ჩვენ 33 გვაქვს, მათ კი - 23. ჩვენმა იუნიორებმა და ახალგაზრდებმა ჩემი პრეზიდენტობის დროს უამრავი ტურნირი მოიგეს. სპორტული კლუბი „რივერ პლეიტი" გუნდებს სპორტის 70 სახეობაში ფლობს და ყველა მათგანი ერთხელ მაინც გამხდარა ჩემპიონი. ჩვენს კლუბს 64 ათასი სოსიო ჰყავს. ერთი თვის წინ ფიფამ ჩვენი კლუბი სამხრეთი ამერიკის ბოლო ოცი წლის საუკეთესო კლუბად დაასახელა. „რივერ პლეიტი" დიდი კლუბია. თქვენ კი კრიზისზე მესაუბრებით."*

ინტერი

ახალი კონტრაქტი ადრიანოს

თუ **ადრიანო** სეზონის დარჩენილ მატჩებს მაღალ დონეზე ჩაატარებს, ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. ბრაზილიელ თავდამსხმელს სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გასულ სეზონში მისი და **რობერტო მანჩინის** ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ ფეხბურთელი იჯარით სამშობლოში მიავლინეს. **ჟოზე მოურინიომ** ის მილანში დააბრუნა, მაგრამ მასაც მალე უმტყუნა ნერვებმა და ადრიანო სკამზე დასვა. ბოლო დროს თავდამსხმელი ჭკვიანად იქცევა. ის ცდილობს, დისციპლინა აღარ დაარღვიოს. ადრიანო მონდომებით ვარჯიშობს და ეს მის თამაშსაც ეტყობა. გასულ უქმეებზე მილანურ დერბიში ბრაზილიელმა საუცხოოდ ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა. ის ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება. მოურინიოს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და კარგი თამაშის საპასუხოდ კონტრაქტის გაგრძელებას დაჰპირდა.

ჟოზე მოურინიო ადრიანოს მილანის კარში გატანილ გოლს ულოცავს

ადრიანოს დღევანდელ ხელშეკრულება 2010 წლის ივნისში უმთავრდება. თუ "ინტერი" ამ ზაფხულს არაფერს ილონებს, გაისად იანვარში მას დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებების გამართვის უფლება მიეცემა, გაისად ზაფხულს კი უკომპენსაციოდ დატოვებს იტალიურ კლუბს. ადრიანო "ინტერის" პრეზიდენტის, **მასიმო მორატის** ერთ-ერთი ფავორიტია. მორატი ყველაფერს ილონებს, რათა ის შეინარჩუნოს. ადრიანოსთან დაკავშირებით მისი და მოურინიოს მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ინტერი" "კალიარიში" იჯარით გაშვებული **რობერტო აკვაფრესკას** დაბრუნებას აპირებს. საიჯარო კონტრაქტის ამოწურვისთანავე, მიმდინარე სეზონის. მიწურულს, აკვაფრესკა კვლავ მილანში დაბრუნდა და მომავალი სეზონიდან "ნერაძურის" შემადგენლობაში ითამაშებს.

ამბები

ბულარდმა სეზონი დაასრულა

"ჰალ სიტის" ნახევამცველი **ჯიმი ბულარდი** მძიმედ დაშავდა. მან სეზონი ნაადრევად დაასრულა. ბულარდი ჰალელთა ყველა დროის უძვირფასესი მოთამაშეა. იანვრის ტრანსფერებისას 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ კლუბმა "ფულჰემს" 5 მილიონი გირვანქა მიუთვალა. ნახევარმცველმა 4.5 წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მაგრამ ეს თანამშრომლობა წარუმატებელი აღმოჩნდა. "ჰალ სიტიში" გადასვლისას ბულარდი დაშავებული იყო. მუხლის ტრავმის გამო მას "ვესტ ჰემთან" სადებიუტო მატჩი გაუცდა (28 იანვარს). ჯიმიმ ახალი კლუბის შემადგენლობაში მხოლოდ 37 წუთი ითამაშა. უახლოეს დღეებში ის ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება და განთქმულ ქირურგს, **რიჩარდ სტედმანს** მოინახულებს.

ბულარდს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. 2006 წელს, "ფულჰემში" ყოფნისას, ის ისე მძიმედ დაიმტვრა, რომ 16 თვე ლაზარეთში გაატარა. ბულარდი „ფულჰემის" გულშემატკივართა ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ლონდონელებს ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოურიგდა და "ჰალ სიტის" მიაშურა. **ფილ ბრაუნის** შეგირდები კრიზისში არიან. მოგეხსენებათ, "ჰალმა" სეზონი რიხით დაიწყო. მას პრემიერლიგის მრისხანე დებიუტანტიც კი შეარქვეს, მაგრამ ბოლო 16 მატჩიდან მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და გასავარდნი ზონისაგან ექვსი ქულალა აშორებს. „ჰალ სიტისათვის" უმთავრესი ამოცანა პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

ჰესელინქის ახალი კონტრაქტი

იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკამ "სელტიკთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. 30 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი კლუბში 2010 წლის ივნისამდე დარჩება. ჰესელინკი "სელტიკში" 2006 წლის ზაფხულში, "ეინდჰოვენიდან", სულ რაღაც 3.75 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა. გასული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "დანდი იუნაიტედთან" მატჩისას, ჰესელინკის სავურმა "სელტიკს" ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტული მოუტანა. საერთო ჯამში, თავდამსხმელი "კათოლიკებს" 20 გოლით შეეწია. ამიტომ მან რამდენიმე ევროპული კლუბის ყურადღება მიიპყრო. ჰესელინკის შეძენა ყველაზე მეტად "ფეიენოორდსა" და "ლაციოს" სურდათ, თუმცა გლაზგოელებმა ფეხბურთელის დარჩენის საკითხი ხელის ერთი მოსმით გადაწყვიტეს. აქვე გეტყვით, რომ "სელტიკი" ახალ კონტრაქტებს გაუფორმებს კიდევ ორ გამოცდილ ფეხბურთელს - **გარი კოლდველსა და ლი ნეილორს**.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

კლაას იან ჰუნტელაარი

ტრიბუნაზე დავჯდები და ჩემს მეგობრებს ვუქომაგებ

ჰოლანდიელი ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენამ ძალიან დაამწუხრა, მაგრამ ახლა მშვიდადაა და ლასანა დიარას წარმატებას უსურვებს...


კლაას იან ჰუნტელაარი

რამდენიმე დღის წინ „რეალის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა კლაას იან ჰუნტელაარმა სკანდალური პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ სისტემატიურად სათადარიგოთა სკამზე ჯდომის გამო სამეფო კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. ჰუნტელაარი იმის გამოც წუხდა, რომ ხელმძღვანელობამ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა და მოტყუებული დარჩა. ამ უმძიმესი ბრალდების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ჰოლანდიელმა დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა და ახლა სულ სხვანაირად ალაპარაკდა. ამის მიზეზის დადგენა ძნელია, ზოგი ამბობს, რომ ჰუნტელაარს დირექტორატის წევრები მკაცრად დაელაპარაკნენ, ორი დღის მოსული ხარ და რა ამბავი ატეხეო. ზოგი კი ამტკიცებს, რომ ფეხბურთელს უფრო ხშირად თამაშის გარანტია მისცეს და ამის გამო დაშოშმინდა. სხვათა შორის, თავად თავდამსხმელი ამტკიცებს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუდან" წასვლის სურვილი ლიად არსად გამოუთქვამს და „დიარიო ასს" დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. „დიარიო ასის" კორესპონდენტმა ფეხბურთელს შეახსენა, რომ მისი წინა განცხადების აუდიო ფაილი სარედაქციო არქივში ინახება და თუ სურვილი ექნებოდა, იმავე დღეს მოასმენინებდა. ჟურნალისტის ამ წონად რეპლიკას ფეხბურთელმა დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, კლაას იან ჰუნტელაარი ახლა ბევრად უფრო მშვიდად საუბრობს და მორჩილად აცხადებს, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენას შევეგუეო. ამასობაში კი, მან სამეფო კლუბის მაისურით პირველი გოლი გაიტანა. მისთვის ეს სასიხარულო ფაქტი ხიხონის „სპორტინგთან" გასვლით შეხვედრაში მოხდა.

- „რეალში" გატანილმა პირველმა გოლმა როგორი განწყობილება შეგიქმნათ? დარწმუნებული ვარ, ნავსის გატეხვით დიდ შვებას იგრძნობდით...

- ძალიან გამიხარდა, რადგან ჩემთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გოლი იყო. ამ ბურთის შეგდება, რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა, თუმცა ბუნებრივია, მხოლოდ ერთი გოლით ვერ დავკმაყოფილდები. ჩემი მიზანი რაც შეიძლება ბევრი გოლის გატანაა.

- ცნობილი გახდა, რომ ჩვენს გაზეთს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებთ. როგორ, სამეფო კლუბიდან წასვლის სურვილი არასოდეს გამოგითქვამთ?

- არა, ეს ტყუილია. წარმოდგენა არ მაქვს, „დიარიო ასმა" ეს ინფორმაცია საიდან მოიტანა. ამ ახალ ინტერვიუზე სწორედ იმისთვის დაგთანხმდით, რომ გავრცელებული დეზინფორმაცია უარვყო.

- უკაცრავად, მაგრამ ახლა თვალებში მიყურებთ და მატყუებთ. თქვენი განცხადების აუდიო ჩანაწერი სარედაქციო არქივში ინახება. პირადად თქვენ განაცხადეთ, რომ სამეფო კლუბში 15 წუთით სათამაშოდ არ ჩამოსულხართ. მაშინ ისიც თქვით, ჩემპიონთა ლიგაში თამაშს შემპირდნენ, მაგრამ განაცხადში არ შემიყვანეს და თავს მოტყუებულად ვგრძნობო. ბოლოს დასძინეთ, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, „რეალიდან" წასვლაზე ვიფიქრებო. ვიმეორებ, თქვენი განცხადებები ჩვენს არქივში აუდიო ფაილის სახით ინახება. თუ გნებავთ, დღესვე მოგასმენინებთ.

- იშვიათად თამაშის გამო წუხილი მართლა გამოვთქვი. მგონი, ლოგიკურია, რომ ხშირად თამაში და გოლების გატანა მსურს. წინა ტურში მოედანზე 90 წუთი გავატარე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მე მხოლოდ თამაში მინდა, სხვას არაფერს ვითხოვ.

- კარგი, ამ თემაზე აღარ ვიკამათოთ. ჩვენ თქვენთვის არაფერი დაგვიბრალებია. თემას შევცვლი და გკითხავთ, „ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებას სად უყურებთ?

- რა თქმა უნდა, სტადიონზე. აქ ორი აზრი არ არსებობს. ტელევიზორთან რა დამსვამს, როცა სამეფო კლუბის ფეხბურთელი ვარ და სრული უფლება მაქვს, სტადიონზე მოვკალათდე და ჩემს მეგობრებს ვუქომაგო. ის არ მეყოფა, რომ ვერ ვთამაშობ, ახლა სტადიონზე მისვლაც ამიკრძალეთ (იცინის).

- ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენაზე ისეთი სევდიანი თვალებით საუბრობთ, დარწმუნებული ვარ, შეხვედრის ტრიბუნებიდან ყურებაც ძალიან გაგიჭირდებათ...

- ყოველ შემთხვევაში, იოლი არ იქნება. გულწრფელად გეტყვით, ასეთი მძიმე დარტყმა ცხოვრებაში არ მიმიღია. თავიდან ძალიან გამიჭირდა იმის გაცნობიერება, რომ სამეფო კლუბს ჩემპიონთა ლიგაში ვერ დავეხმარებოდი. პირველი დღეები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა, თუმცა დროთა განმავლობაში ტკივილმა გამიარა. ახლაც მწყდება გული, მაგრამ უკვე ყველაფერი გათავისებული მაქვს. ცხოვრებაში ათასი რამ ხდება. ასე რომ, სამყაროსთვის ტრაგედია სულაც არ არის, რომ კლაას იან ჰუნტელაარი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს.

- მადრიდის „რეალს" ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად სერიოზული ჰანდიკაპის ამოქაჩვა მართებს. „აიაქსში" თამაშისას ანალოგიური პრობლემა ხომ არ გადაგილახავთ?

- ერთ სეზონში ჩემპიონატის ლიდერს 12 ქულით ჩამოვრჩებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ჰანდიკაპი სოლიდური იყო, ის მაინც ამოვქაჩეთ და ჩემპიონები გავხდით. საგულისხმოა, რომ წინა ტურის წინ „ბარსელონაც" 12 ქულით გვისწრებდა, მაგრამ ჩამორჩენა 10 ქულამდე შემცირდა. სეზონის დასრულებამდე 15 ტურია დარჩენილი. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რომ „ბარსას" აუცილებლად ვაჯობებთ, თუმცა შანსი ნამდვილად გვაქვს. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არსებული შანსისთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა ნაადრევად არ შევწყვიტოთ. სამწუხაროდ, ფავორიტი ისევ „ბარსელონაა", მაგრამ ფინიშზე პირველად ყოველთვის ფავორიტები როდი მიდიან.

- ხუანდე რამოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

- სამეფო კლუბის მთავარ მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მართალია, ჩემპიონთა ლიგის მიღმა მისი გადაწყვეტილების მიღმა აღმოვჩნდი, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და ძალიან კარგად მესმის, რომ გუნდს ახლა ნახევარდაცვაში უფრო უჭირს. სენიორ რამოსის ძალიან კარგად მესმის. ის ვალდებულია, საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს და კლუბის კეთილდღეობისთვის ყველაფერი გააკეთოს. მხოლოდ დრო გამოაჩენს მან რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მე რა თქმა უნდა, მთელი გულით მსურს, რომ ლასანა დიარამ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით იასპარეზოს და გუნდს დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმაროს... თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება, რომ ჩემი თამაში უფრო საჭირო იყო, ნიშნის მოგებით საუბარს არ დავიწყებ. მუშაობის პროცესი შეცდომისგან არასოდეს იქნება დაზღვეული. ახლა ყველამ იმაზე უნდა ვიოცნებოთ, რომ სამეფო კლუბმა ჩემპიონთა ლიგაში უშეცდომოდ იასპარეზოს.

- ამ რამდენიმე დღის წინ სამეფო კლუბის საპატიო პრეზიდენტმა დონ ალფრედო დი სტეფანომ როისტონ დრენტეს შეუთვალა, თმა შეიჭერი, გონს მოდი და წესიერად ითამაშეო. ხომ არ გვეტყვით, დრენტე ახლა როგორ განწყობაზეა?

- დრენტე ჩემი მეგობარია, მაგრამ მხოლოდ იმის გამო არა, რომ ის ჰოლანდიელია. სამწუხაროდ, როისტონს სამეფო კლუბის გულშემატკივრებთან გარკვეული პრობლემები შეექმნა. ჩემთვის ამის მიზეზი სრულიად უცნობია. ვერ ვხვდები, რა არ მოსწონს ფანების ერთ ნაწილს. დრენტე თავდადებული ადამიანია და ყოველთვის მაქსიმალური შემართებით თამაშობს. თუ რამე არ გამოსდის, ძალიან განიცდის ხოლმე. მანახეთ თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც საკუთარ საქმეს უშეცდომოდ აკეთებს. დარწმუნებული ვარ, ის ქომაგები, რომლებიც ჩემს მეგობარს უსტვენენ საკუთარ პროფესიაში გაცილებით მეტ შეცდომას უშვებენ. არ მინდა ვიფიქრო, რომ რასისტულ გამოხდომებთან გვაქვს საქმე. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ ამ მხრივ ესპანეთში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში შავკანიან ადამიანებს საკმაოდ ბევრი პრობლემა ექმნებათ.

- დონ ალფრედო დი სტეფანოს განცხადებაზე რა კომენტარს გააკეთებთ? მისი აზრით, თმის შეჭრის შემთხვევაში, დრენტე ბევრად უკეთ ითამაშებს.

- ეს დონ ალფრედოს მოსაზრებაა და მე კომენტარს ვერ გავაკეთებ. პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როისტონს გრძელი თმა ექნება, თუ მოკლე. დარწმუნებული ვარ, რომ ვარცხნილობა დრენტეს თამაშში ხელს არ უშლის. შესაბამისად, ვერც თმის შეჭრა შეუწყობს ხელს.

- კონტაქრტის გაფორმებისას განაცხადეთ, ახლა ყველაზე დიდ პრობლემას ესპანურის არცოდნა მიქმნისო. უნდა მოგილოცოთ, მას შემდეგ ძალიან ცოტა დრო გავიდა, მაგრამ უკვე საკმაოდ კარგად საუბრობთ. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი გამაგებინეთ. როგორ მოახერხეთ?

- ვიცი, საუბარში ბევრ შეცდომას ვუშვებ. ზმნას კარგად ვერ ვაულლებ, დროებსაც ვურევ, მაგრამ პროგრესი მაინც აშკარაა. აქ რომ ჩამოვედი ესპანურად გამარჯობის გარდა ვერაფერს ვამბობდი. პირადი მასწავლებელი მყავს აყვანილი. მისი დახმარებით კასტილიურ ენას ძალიან მალე სრულფასოვნად ავითვისებ.

სამუელ ეტოო

ბარსელონა

ეტოო მილანში, თუ მანჩესტერში?

ლაპორტა კამერუნელ ფორვარდს კამპ ნოუზე ძალით ვერ დატოვებს

რამდენიმე დღის წინ ესპანურ პრესაში სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა. ჟურნალისტები წერდნენ, რომ **სამუელ ეტოო** „მილანის" ხელმძღვანელობასთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ამ თემას ყველაზე დიდი გამოხმაურება კატალონიურ „დიარიო სპორტში" მოჰყვა. ბარსელონური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით აპელირებს და საკუთარი არხებით მოპოვებულ ინფორმაციასაც გვაწვდის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ კამერუნელი ფორვარდის აგენტი მილანში იმყოფებოდა და **ადრიანო გალიანის** შეხვდა. კულუარული ინფორმაციით, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სამუელი „სან სიროზე" გააგრძელებს კარიერას. ეტოოს მენეჯერი დარწმუნებულია, რომ „ბარსელონა" მის კლიენტს ხელს არ შეუშლის.

თუ დილით კამერუნელის მილანში გადაბარგების შესაძლებლობაზე საუბრობდნენ, საღამოს „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტიც ახსენეს. ესპანელი ჟურნალისტები „წითელ ეშმაკებზე" ისეთივე სერიოზულობით ლაპარაკობენ, როგორც ეტოოს „მილანში" გადასვლის შესაძლებლობას ამტკიცებდნენ. ძნელი სათქმელია, ერთი კაცი ორ გუნდში როგორ უნდა მოხვდეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. თუმცა ის კი ფაქტია, რომ ეტოო „ბარსელონიდან" წასვლის შესაძლებლობას აქტიურად განიხილავს. ბუნებრივია, შექმნილ აჟიოტაჟს კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა გვერდს ვერ აუვლიდა. საზოგადოებას უმაღლესი ხელისუფლების მოსაზრება აინტერესებდა. „ბარსას" პრესსამსახურმა თავდაპირველად **ჩიკი ბეგირისტაინის** პრესკონფერენციის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, მაგრამ საღამოს სიტუაცია შეიცვალა და ჟურნალისტებს პირადად პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** გაესაუბრა:

„ალბათ, ყველამ იცით, რომ სამუელ ეტოოს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და ძალიან ვაფასებდი. ახლაც ასეა. სამუელს ჩემი პატივისცემა დღესაც არ აკლია. უკლებლივ ყველა ჟურნალისტმა, გულშემატკივარმა და კლუბის თანამშრომელმა ვიცით, რომ ეტოო კონფორმისტი არასდროს ყოფილა. შესაძლოა, მას ვინმე ზედმეტად კონფლიქტურ ადამიანადაც მიიჩნევდეს, მაგრამ ეტოო ის არის, რაც არის. ძალიან მინდა, მან კვლავ „ბარსელონაში" ითამაშოს, მაგრამ თუ მას აქ დარჩენა არ სურს, ძალით, რა თქმა უნდა, არ დავტოვებთ. ჩვენ მზად ვართ მას კონტრაქტი გავუხანგრძლივოთ და პირობები გავუუმჯობესოთ. იმედია, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. თუ არა და, ჩვენს ფეხბურთელს პრობლემას არ შევუქმნით. შეუძლებელია, ადამიანი აიძულო ის უნდოდეს, რაც რეალურად არ სურს".

იმავე პრესკონფერენციაზე ჟოან ლაპორტა კატალონიურ ტელეკომპანია TV3-თან არსებულ დაპირისპირებასაც შეეხო. შეგახსენებთ, აღნიშნულმა სამაუწყებლო კომპანიამ „ბარსას" საშინაო შეხვედრების ტრანსლაციის სანაცვლოდ გადასახდელი თანხიდან 30 მილიონი ევრო დააკლო. ამის გამო ლაპორტა იძულებული გახდა, ბანკიდან კრედიტი გამოეტანა. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება საბიუჯეტო რყევების თავიდან აცილების აუცილებლობით ახსნა. საზოგადოებას, ბუნებრივია, აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს TV3-თან მოლაპარაკებები. სენიორ ლაპორტამ ამასთან დაკავშირებით ასეთი რამ განაცხადა: *„ჩვენ სანერვიულო არაფერი გვაქვს. ხელში იურიდიული დოკუმენტი გვიჭირავს, რომელიც ჩვენს უდანაშაულობას და სიმართლეს ამტკიცებს. როგორც იცით, კრედიტი ბიუჯეტის შესრულების მიზნით ავიღეთ. ბანკს ამ თანხას ნებისმიერ შემთხვევაში TV3-ი დაუბრუნებს. ტელეკომპანიის ხელმძღვანელებს ყოველდღიურად ვესაუბრები და ისინი შეცდომას აღიარებენ, თუმცა დროს მთხოვენ. სიმართლე გითხრათ, თანხის გასტუმრების გადავადება პირველ რიგში მათ ინტერესში არ შედის, რადგან ბანკისთვის დამატებითი პროცენტის გადახდა მოუწევთ. მოკლედ, ეს არ არის ჩვენი პრობლემა და თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობ".*

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

მილანს [illegible]! დიეგო ვერ ეყოფა!

ინძაგი გერმანელების რისხვაა

1/16-ფინალის ოთხშაბათის მატჩებში ერთი მეტად საინტერესო სენსაცია გამოცხვა: ხარკოვის „მეტალისტმა" იტალიურ „სამპდორიას" გენუაში 1:0 მოუგო. ასევე სენსაციური გახლდათ ფრანგული „სტ. ეტიენის" ღირსეული გამარჯვება „ოლიმპიაკოსთან" გასვლით მატჩში - 3:1. სხვა მხრივ განსაკუთრებული და არალოგიკური არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით „ოლბორგის" საკმაოდ მყარ გამარჯვებას „დეპორტივოსთან" ანგარიშით 3:0. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოთხშაბათს დაფიქსირებული ყველა სხვა შედეგი მეტ-ნაკლებად ლოგიკური იყო. გამოსარჩევია „ჰამბურგისა" და პორტუგალიური „ბრაგას" ასევე მყარი გამარჯვებები - გერმანელებმა სტუმრად ჰოლანდიურ „ნიიმეგენს" იოლად გადაურბინეს (3:0) და ფაქტობრივად, მერვედფინალში არიან, „ბრაგამ" კი იმავე ანგარიშით შინ ლიეჟის „სტანდარდი" დაჩაგრა...

დინამო (კ)-ვალენსია	1:1
ზენიტი-შტუტგარტი	2:1
ოლიმპიაკოსი-სტ. ეტიენი	1:3
ასტონ ვილა-ცსკა	1:1
ვერდერი-მილანი	1:1
პსჟ-ვოლფსბურგი	2:0
ნიიმეგენი-ჰამბურგი	0:3
სამპდორია-მეტალისტი	0:1
ბორდო-გალათასარაი	0:0
ოლბორგი-დეპორტივო	3:0
ბრაგა-სტანდარდი	3:0

გუშინდელი მატჩები მე-15 გვერდზე

ყველაზე დიდ ინტერესს, რალა თქმა უნდა, ბრემენის „ვერდერისა" და „მილანის" დაპირისპირება იწვევდა. **კარლო ანჩელოტის** გუნდში ვერ ვნახეთ ვერც ტრავმირებული **კაკა**, ვერც **პატო** და **დევიდ ბექჰემიც** თამაშში მხოლოდ მატჩის მიწურულს ჩაერთო. „კარლეტომ" სუპერბიჭებიდან ძირითადში მხოლოდ **რონალდინიო** ათამაშა, რომელსაც შემტევი ნახევარმცველის რანგში **კლარენს ზეედორფი** ეხმარებოდა. ისინი პასებით თავდასხმაში ეულად გამწესებულ **ფილიპო ინძაგის** ამარაგებდნენ, რომელმაც თავისი მისია ხუთიანზე შეასრულა და გოლი გაიტანა, რითაც დაამტკიცა, რომ აშკარად მეტ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებს. შეგახსენებთ, რომ სუპერპიპომ მილანურ დერბიშიც იდეალურად ითამაშა მას მერე, რაც მოედანზე შეუშვეს. ანჩელოტიმ დაცვაშიც შეიტანა კორექტივები - ცენტრი **სენდეროსი-ფავალის** დუეტით გაამაგრა, მარჯვნივ **ბონერა** ათამაშა, მარცხნივ კი **ძამბროტა**. ჰო, კარს ამჯერად **დიდა** იცავდა, **კახა კალაძემ** კი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა (**პაოლო მალდინისთან** ერთად).

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ბრემენში მძიმე ვითარებაა. „ვერდერი" ბუნდესლიგაში წელს ძალიან წარუმატებლად ასპარეზობს - **თომას შააფის** გუნდს კრიზისი აქვს. მატჩის წინ ბრემენელ ფანთა დიდი ნაწილი უკვე ამრეზილი იყო ბრაზილიელ ვარსკვლავ **დიეგოზე**, რომელიც კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ სეზონს ატარებს. თამამად ვიტყვით, რომ „მილანთან" თამაშის შემდეგ ბრემენში დიეგო ხელმეორედ შეუყვარდათ, რადგან ბრაზილიელი საუკეთესო იყო მოედანზე - ეს დიეგოს საღამო გახლდათ! ანგარიში სწორედ მან გაათანაბრა, მაგრამ გოლი რომც არ გაეტანა, მთელი მატჩის განმავლობაში იმდენად გენიალურად გამოიყურებოდა, რომ სხვა ეპითეტებს მაინც არ დაიმსახურებდა.

„ვერდერმა" მრისხანე მეტოქეს თავისებური, შემტევი ფეხბურთი დაუპირისპირა და რომ არა შანსების გამოყენების ძალიან ცუდი მაჩვენებელი, „მუსიკოსები" „როსონერის" დაამარცხებდნენ კიდეც. თუნდაც ამ მაგალითის მოყვანა რად ღირს: მსაჯის მიერ დამატებულ დროში **კლაუდიო პისარომ** ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი დიდას კარს 5 მეტრიდან ზემოდან გადააცილა. „მილანმა" კი თავიდანვე ისარგებლა ბრემენელთა საჩუქრით. 36-ე წუთზე **ფრიტცმა** საკუთარი საჯარიმოს წინ ბურთი **ფლამინის** ჩააბარა - ასეთი შეცდომა დამწყებ ფეხბურთელებსაც აღარ მოსდით. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ ბრემენელები მაშინვე დაისაჯნენ: ფლამინიმ ჩააწოდა, ინძაგი ბურთს ტრადიციულად ადგილზე დახვდა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ მილანელები უკვე მხოლოდ კონტრშეტევებს სჯერდებოდნენ. 66-ე წუთზე ინძაგიმ ბურთი ძელს მოარტყა. ეს იყო და ეს, სხვა მომენტები ანჩელოტის ბიჭებს, ფაქტობრივად, აღარ ჰქონიათ. ბრემენელები კი რეგულარულად სცოდავდნენ: **ციოლისს** 4-ჯერ მართებდა გოლის გატანა და დიეგომ და **უგო ალმეიდამაც** კარგი შანსები ვერ გამოიყენეს.

„ჩემი გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამით მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთ. ის, რომ „მილანის" დამარცხება ვერ შევძელით, ჩვენი ფეხბურთელების მიერ დაშვებული უამრავი ინდივიდუალური შეცდომის ბრალია. მიუხედავად არასახარბიელო შედეგისა, ჩვენი მიზანი „მილანის" გამოგდება და მერვედფინალში გასვლაა, რაც ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ," - განაცხადა დიეგომ საფინალო სასტვენის შემდეგ.

აღსანიშნავია ერთი კომიკური მომენტი: 55-ე წუთზე „ვერდერის" ფეხბურთელ ციოლისს სათადარიგოთა სკამიდან ახალი მაისურა ესროლეს და მანაც მყის გამოიცვალა ფორმა. გერმანული ტელეკომპანია „ცე დე ეფის" კომენტატორი გაკვირვებული ამბობდა, ვერ გავიგე, რატომ გამოაცვლევინესო. სინამდვილეში მოხდა ის, რომ ციოლისი მანამდე ურეკლამო მაისურით თამაშობდა. „ვერდერმა" ვერ მოიგო, მაგრამ შანსი შეინარჩუნა. თუმცა ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ „მუსიკოსებმა" „სან სიროზე" მოგება ან 1:1-ზე მაღალი ფრის მიღწევა შეძლონ.

ხარკოვის „მეტალისტი" ექსპერტებმა „სამპდორიასთან" დუელში თავიდანვე აუტსაიდერად შერაცხეს, მაგრამ როგორც ჩანს, მწარედ შეცდნენ. უკრაინელებმა გენუაში მოიგეს, მაგრამ ალბათ მაინც არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას, რადგან „სამპდორიას" ნამდვილად ხელეწიფება ხარკოვში მოგება. თავიდან ორივე გუნდი ფრთხილად თამაშობდა, რაც განსაკუთრებით იტალიელების მხრიდან იყო გასაკვირი. თუმცა პირველი ტაიმის მიწურულს ეშხიანი ბურთაობა გაჩაღდა და უკრაინელებმა თავიანთი პირველივე რეალური შანსი გოლად აქციეს: 45-ე წუთზე „მეტალისტი" **დენის ოლეინიკმა** დააწინაურა. „სამპდორიამ" ყველასათვის გასაკვირად, არც მეორე ტაიმში მოუმატა ისე, როგორც საჭირო იყო. მართალია, გენუელები ცუდად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ასე რომ, თუკი იტალიელებს მერვედფინალში გასვლა სურთ, ხარკოვში „სამპდორიას" მეტი შემართება მართებს.

„ჰამბურგი" ნიიმეგენთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, თამამად ვიტყვით, ორივე ფეხით მერვედფინალშია. **მარტინ იოლის** სამწყსო ჰოლანდიურ გუნდთან მთელი 90 წუთის განმავლობაში დომინანტის როლში გახლდათ, რაც ანგარიშშიც აისახა. ანგარიში **პიოტრ ტროხოვსკიმ** ჭკვიანურად შესრულებული ჯარიმით გახსნა და ამ გოლში ლომის წვლილი მიუძღვის **მლადენ პეტრიჩს**, რომელმაც „ნიიმეგენის" მეკარეს მოხერხებულად, თუმცა წესების დაურღვევლად შეუშალა ხელი. მეორე გოლი **ალექს სილვას** ანგარიშზეა. მეორე ტაიმის სტარტზე ჰოლანდიელმა ფანებმა მსაჯს თავში სანთებელა მოარტყეს და გაუტეხეს, თუმცა ამ ფაქტს მატჩის გაგრძელებისთვის ხელი არ შეუშლია. საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე, **ივიცა ოლიჩი პეტრიჩის** გენიალური პასის წყალობით მეკარესთან პირისპირ გავიდა და მას ბურთი ფეხებს შუა მოხდენილად გაუძვრინა - 0:3.

„შტუტგარტი" უეფას თასის მოქმედ მფლობელ „ზენიტთან" სტუმრად დამარცხდა, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რაც გერმანულ კლუბს საპასუხო მატჩისთვის მერვედფინალში გასვლის შესანიშნავ შანსს უტოვებს - რუსებმა შვაბები 2:1 დაამარცხეს. მოედნის საფარი ტრადიციულად საშინელ ვითარებაში იყო, ამინდიც ტიპური რუსული და ზენიტელები თავს იდეალურად გრძნობდნენ, რასაც ვერ ვიტყვით შტუტგარტელებზე. რუსები მეორე წუთზე დაწინაურდნენ, ანგარიში ექსჰანოვერელმა **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** გახსნა. **მარკუს ბაბელის** გუნდს საკუთარი თამაშის პოვნა ძალიან უჭირდა, მაგრამ შვაბებმა ანგარიში მაინც გაათანაბრეს და უნდა ითქვას, რომ ძალიან გაუმართლათ - ეს **მარიო გომესმა** მოახერხა. პირველი ტაიმის დამატებულ დროში რუსები **ანატოლი ტიმოშჩუკმა** დააწინაურა, რომელიც მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნის" ღირსებას დაიცავს. მეორე ტაიმში „ზენიტმა" მასირებული იერიშები წამოიწყო და რუსები ყველაფერს აკეთებდნენ უკეთესი შედეგის მისაღწევად, მაგრამ ნაწილობრივ **იენს ლემანის** და ნაწილობრივ გერმანელების იღბლიანობის დამსახურებაა ის, რომ „ზენიტმა" მესამე გოლი ველარ გაიტანა.

კიევის „დინამომ" „ვალენსიას" უმასპინძლა და ესპანელები ევროპის ჩემპიონმა **დავიდ სილვამ** დააწინაურა, მაგრამ კიეველებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს - **ალბიოლმა** ავტოგოლი მიითვალა. საბოლოოდ 1:1 და ფავორიტად შერაცხული „ვალენსია" სტატუსს ამართლებს. ასეთივე ანგარიშს მიაღწია მოსკოვის ცსკა-მ ბირმინგემში, „ასტონ ვილასთან". გერმანულმა „ვოლფსბურგმა" პარიზში სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და პსჟ-სთან 0:2 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი „მგლების" მეკარე **ბენალიოს** სინდისზეა. „გალათასარაიმ" „ბორდოსთან" გასვლით მატჩში სასურველ შედეგს, უგოლო ფრეს მიაღწია და საპასუხო მატჩისთვის **მიხაელ სკიბეს** გუნდი უკეთეს სიტუაციაშია. სენსაცია გამოაცხო ფრანგულმა „სტ. ეტიენმაც", რომელმაც „ოლიმპიაკოსს" სტუმრად 3:1 მოუგო და მერვედფინალში თამაში, ფაქტობრივად, გაინაღდა.

გოტფრიდ ლენცი

გერმანია. ბუნდესლიგა. შალკე-დორტმუნდი

დორტმუნდის ლიდერი ალექსანდერ ფრაი ლევან კობიაშვილის „შალკეს" რისხვაა

დიდი დერბი დიდი ინტრიგით

ერთიც და, მიულერსა და რუტენს გელზენკირხენიდან გააძევებენ

„შალკესა" და დორტმუნდის „ბორუსიის" დაპირისპირება რურის დიდი დერბია და გერმანიაში ამაზე უფრო დამაინტრიგებელი და საინტერესო დაპირისპირება არ არსებობს. დღეს საფეხბურთო გერმანიის ყურადღება გელზენკირხენისკენ იქნება მიმართული, სადაც მოსისხლე მტრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან. ამ მატჩს ინტრიგა და ინტერესი არასდროს აკლდა, მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან დერბიმ **ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას** გუნდის მთავარი მწვრთნელისა და გენერალური მენეჯერის ბედი უნდა გადაწყვიტოს. თუ „შალკე" „დორტმუნდს" ვერ მოუგებს, **ფრედ რუტენი** და **ანდრეას მიულერი** ალბათ უმუშევრები დარჩებიან - ამ კვირაში უკვე ვნერდით, რომ პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისმა** მენეჯერსა და მწვრთნელს სწორედ ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს.

პირველი წრის შეხვედრაში „შალკე" „ვესტფალენშტადიონზე" 3:0-ს იგებდა და ის ის იყო, დორტმუნდელმა ფანებმა მოედანზე შევარდნასა და თავიანთი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებთან ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე დაიწყეს ფიქრი, რომ „ბორუსიამ" ამოქაჩვა დაიწყო და საბოლოოდ ის მატჩი 3:3 დასრულდა, რითაც საკუთარი ფანებისგან აგრესიის უდიდეს ტალღას გადაურჩნენ. აღსანიშნავია, რომ „შალკეს" კრიზისიც მას მერე დაიწყო. დღეს გელზენკირხენული კლუბის ფანები ტრადიციულად აღტკინებულები იქნებიან, რადგან მათთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ „შალკე" სატურნირო ცხრილში „დორტმუნდზე" წინ იყოს, რაც ახლა პირიქითაა. და თუ „ბორუსიამ" გელზენკირხენიდან სამი ქულის წაღება შეძლო, მიულერი და რუტენი ველარ გადარჩებიან.

„შალკეში" სრულიად ქაოსური ვითარებაა - გუნდი ფაქტობრივად დაემშვიდობა ჩემპიონთა ლიგის საგზურს და არც უეფას თასზე მოხვედრის პერსპექტივა აქვს მაინცდამაინც რეალური. ფეხბურთელები მაღალ ხელფასებს იღებენ, მაგრამ მოედანზე ვერაფერს ახერხებენ. ფანებს კი მოთმინების ფიალა აევსოთ და ამას წინათ, საშინაო მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ევროს მონეტები დაუშინეს, რაც პროტესტის გამოხატვის პიკი გახლდათ. ფაქტი ერთია: „შალკეს" საკმაოდ ძვირადღირებულ გუნდს მომავალი არ აქვს. მას მერე, რაც **რუდი ასაუერმა** პოსტი დატოვა, გელზენკირხენულ კლუბს აღარ ჰყავს ისეთი ბოსი, რომელიც გუნდს ჯეროვნად გაუძღვება; ვინც სატრანსფერო პოლიტიკას აზრიანად წარმართავს და არ დაუშვებს, რომ გუნდში ქაოსი იყოს. ფაქტია, რომ მიულერს სადავეები ხელიდან გაექცა. როგორც ჩანს, ის არ იყო მზად იმისათვის, რომ გუნდის მენეჯერი გამხდარიყო და სპონსორ „გაზპრომისგან" მიღებული მილიონები აზრიანად დაებანდებინა. რუტენი კი უკვე წახდენილია და ფანებს ოდნავადაც აღარ სჯერათ, რომ მწვრთნელი „შალკეში" რაიმეს მიაღწევს. ფაქტია, რომ „შალკემ" სეზონი უკვე ჩააგდო და დღეს, „დორტმუნდთან" მიულერ-რუტენის ხანა ან დასრულდება, ან მცირე ხნით გადაიდება.

დორტმუნდელები კი მშვიდად არიან. მართალია, არც ამ გუნდს ულხინს, მაგრამ ზოგადად „ბორუსიაში" ყველა მოხარულია ხოლმე, როცა „შალკეში" საშინელი ვითარებაა. „შავ-ყვითლების" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ბედნიერია იმით, რომ „შალკეს" იმ დროს სტუმრობს, როცა კლუბში სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი. დორტმუნდელთა მთავარი იარაღი „შალკესთან" **ალექსანდერ ფრაია**, რომელსაც გელზენკირხენული კლუბის რისხვას უწოდებენ. 29 წლის შვეიცარიელმა თავდამსხმელმა „რურის დიდ დერბიში" მონაწილეობა ოთხჯერ მიიღო და მოსისხლე მტერს 4 გოლი გაუტანა - არცაა გასაკვირი, რომ გელზენკირხენში ყველაზე მეტად სწორედ ფრაის ვერ იტანენ, რომელიც დღეს ისევ შეეცდება დორტმუნდელი ფანების გახარებას - მათთვის ფრაი ღმერთია.

შვეიცარიელისთვის „შალკე" „საყვარელი მეტოქეა" და როგორც ყოველთვის, ალექსმა არც ამ მატჩის წინ ისურვა კომენტარის გაკეთება - ბევრი ლაპარაკი არაფერს მოგვიტანს, ჩემი შემართება მოედანზე უნდა დავამტკიცოო. ფრაი ის კაცია, ვინც 2007 წელს „შალკეს" ბოლოსწინა ტურში ლიდერობა დააკარგვინა (ანგარიში გახსნა შეხვედრაში, რომელიც „ბორუსიამ" 2:0 მოიგო). პირველი წრის შეხვედრაში კი სულაც დუბლი შეუსრულა „ხუმარებს", რის შემდეგაც ის გელზენკირხენში „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადეს. დღეს შვეიცარიელი ფორვარდი შალკელების დეპრესიის გაღრმავებას შეეცდება.

„სანერვიულო არაფერი გვაქვს. მეტოქე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მათ უფრო აქვთ სანერვიულო. ჩვენ მშვიდად ვითამაშებთ და დარწმუნებული ვარ, რომ „შალკეს" გავამწარებთ. „ბორუსიამ" უბრალოდ თავისი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. წინა ტურში „ბაიერნთან" დავმარცხდით და ეს ჩვენთვის მხოლოდ მესამე წაგება იყო ამ სეზონში. „შალკესთან" მხოლოდ სამი ქულა დამაკმაყოფილებს," - ასეთია კლოპის წინასამატჩო განცხადება.

ვესტფალიელთა თავკაცი დღეს ვერც მარცხენა მცველ **ლის** გამოიყენებს (დისკვალიფიცირებულია), რომელსაც ახალგაზრდა **შმელცერი** შეცვლის და ვერც მარჯვენა გარემარბ **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის**. საეჭვოა **ტინგას** თამაშიც და მის ნაცვლად კლოპი **ფლორიან კრინგეს** გაამწესებს.

რუტენი კომენტარებს თავს არიდებს. ისევე, როგორც მიულერი, ისიც ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. არცაა გასაკვირი - მისი და მენეჯერის ყოველი განცხადება „შალკეს" ფანებში უკვე მხოლოდ აგრესიას იწვევს.

სავარაუდო შემადგენლობები

შალკე: ნოიერი - რაფინია, ჰიოვედესი, ბორდონი, კობიაშვილი - ვესტერმანი, ჯონსი, ენგელაარი - ფარფანი, კურანი, ასამოა.

ბორუსია: ვაიდენფელერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, სანტანა, შმელცერი - კ. ბოატენგი, ჰაინალი, კელი, კრინგე - ფრაი, ვალდესი.

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი.

გოტფრიდ ლენცი

ლიონი

ბენზემა ბარსას ელოდება

ფრანგი ფორვარდი მერვედფინალის შემდეგ გადაწყვეტს...

თებერვლის მიწურულს ჩემპიონთა ლიგა განახლდება. ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ფლეიოფს ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ველოდებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ ლამაზ სანახაობებს ვიხილავთ. ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგის განახლებას უშუალოდ მისი მონაწილე ფეხბურთელებიც ელოდებიან. განსაკუთრებული მოლოდინი კი **კარიმ ბენზემას** ჰქონია. გუშინ ფრანგმა ფორვარდმა „ეკიპს" ინტერვიუ მისცა და ძალიან საინტერესო რამ თქვა:

„ლიონიდან" წასვლა გადაწყვეტილი მაქვს. ზუსტად ვიცი, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადავალ. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ფანტასტიკური წინადადებები მაქვს. ვარიანტები ერთი მეორეზე უკეთესია. თავად განსაჯეთ, ჩემს აგენტს „რეალის", „ბარსელონის", „მილანისა" და „ინტერის" დირექტორები ელაპარაკებიან. ჰორიზონტზე „ჩელსიც" გამოჩნდა. დიდი დაფიქრება მმართებს. შეცდომა არ უნდა დავუშვა, რადგან ჩემი არჩევანი მომავალ 4-5 წელიწადთან იქნება დაკავშირებული..."

საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს არ დაუმალავს, რომ ყველაზე მეტად ესპანეთის ჩემპიონატი იზიდავს: *"გულწრფელად გეტყვით, ყველაზე მეტად პრიმერა დივიზიონში თამაში მინდა. ესპანეთში ყველაზე ძლიერი გუნდები „რეალი" და „ბარსელონა" არიან. მე ორივეს შემოთავაზება მაქვს. გადაწყვეტილებას სავარაუდოდ „ბარსელონასთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების შემდეგ მივიღებ. ალბათ, ხვდებით, ამას რატომ ვამბობ. კატალონიურ გრანდთან შეხვედრის შემდეგ მასზე სრული შთაბეჭდილება შემექმნება და გადაწყვეტილების მიღებაც გამიადვილდება. თუ დავრწმუნდი, რომ პეპ გვარდიოლას გუნდში თავს კარგად ვიგრძნობ, არჩევანს „ბარსას" სასარგებლოდ გავაკეთებ."*

ქარიმ ბენზემა

ილია ნიკოლაიშვილი

ვერდერი

პისარო ბრემენიდან წავა

კლაუდიო პისარო ვერდერს ალბათ დატოვებს

ჯერ კიდევ გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა ბრემენის „ვერდერი" გაისად რომელიმე ევროტურნირზე. სწორედ ამიტომ, „მუსიკოსების" თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** ჯერჯერობით „ვერდერის" შეფებთან ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას არ ჩქარობს. მისთვის ევროტურნირებზე ასპარეზობა უპირველესი პრიორიტეტია და თუ „ვერდერი" თუნდაც უეფას თასის საგზურს ვერ მოიპოვებს, პერუელი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს იტყვის. როგორც იცით, ის „ვერდერში" არენდის წესით თამაშობს და სეზონის ბოლოს წესით „ჩელსიში" უნდა დაბრუნდეს. ლონდონურ კლუბთან მას კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

„საჩქარო არაფერია. მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდო. „ვერდერი" ძალიან მიყვარს, მაგრამ ევროტურნირებზე თამაში უბრალოდ უპირველესი პრიორიტეტია," - ამბობს პისარო. ის უკვე ესაუბრა სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს**, მაგრამ როგორც ამბობს, კონკრეტული მოლაპარაკებები არ უწარმოებია. *„თუკი „მილანთან" საპასუხო მატჩში ორ გოლს გავიტან, ჩემით არაერთი გრანდი დაინტერესდება. დასამალი არაფერი მაქვს, სწორედ ამისთვის ვიბრძვი. მაგრამ თუკი „ვერდერი" ევროტურნირების საგზურს მოიპოვებს, აქ დარჩენაზე სერიოზულად დავფიქრდები"*, - აცხადებს პისარო.

მაგრამ ბრემენულ კლუბს ცუდი პერსპექტივა აქვს. **თომას შააფის** გუნდი 20 ტურის შემდეგ მეათე ადგილზეა, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში კი, შინ „მილანთან" 1:1 ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მუსიკოსები" ამ მეორეხარისხოვან ევროტურნირსაც ნაადრევად დაემშვიდობებიან. პისარო კი ზაფხულში ან „ჩელსიში" დაბრუნდება, ანაც, თუ გაუმართლა, სხვა არანაკლებ ხეირიან სამსახურს იშოვის. თვითონაც არ მალავს, რომ მისთვის ფული ყველაზე მთავარია...

გოტფრიდ ლენცი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რობერტო ბაჯო

უქომაგეთ ლამაზ ფეხბურთს!

18 თებერვალს რობერტო ბაჯო 42 წლის გახდა. ფეხბურთელი, რომელსაც მთელ მსოფლიოში უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა და დღესაც ჰყავს. მას ბევრი იტალიური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევს. მეტიც, ბევრი მოიძებნება ისეთიც, ვინც ბაჯოს მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელად დაგისახელებთ და არად დაგიდევთ თვით პელეს და მარადონას. „ცხენისკუდა“ ყოველთვის გამორჩეული იყო მოედანზე და გამორჩეულია მის მილმაც. გუშინ "კორიერემ" მისი ინტერვიუ გამოაქვეყნა. გირჩევთ, წაიკითხოთ – ბაჯო განვლილ კარიერაზე და სხვა საინტერესო თემებზე საუბრობს.

- რა არის თქვენთვის ფეხბურთი?

- ბანალური პასუხი უნდა გაგცეთ, ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია. ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა სამყარო სპორტის უპირველესი სახეობის გარეშე. ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი რამ, რაც კი ადამიანს შეუქმნია. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურე და გარკვეული კვალი დავტოვე კიდეც.

- ამბობენ, კარიერის დასრულების შემდეგ ბაჯო არგენტინაში გადასახლდა და იქ ცხოვრობსო......

- არგენტინაში ძალიან დიდ დროს ვატარებ, თუმცა ვცხოვრობ-თქო, ვერ ვიტყვი. სამხრეთამერიკაში თავს კომფორტულად ვგრძნობ, რადგან იქ ბუნებასთან უფრო ახლოს ვარ. არგენტინელები ძალიან კარგი ადამიანია და მათთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. უბრალო ხალხთან საათობით მისაუბრია ცხოვრებაზე და თუნდაც ფეხბურთზე. საერთოდ იქ ხომ გიჟდებიან სპორტზე.

- როგორც ვიცით, „ბოკა ხუნიორსის“ ფანკლუბის წევრი ხართ. რამ შეგაყვარათ ეს კლუბი?

- არგენტინაში რომ ჩავედი, პირველი რაც თვალში მომხვდა, ქუჩებში მოსიარულე „ბოკა ხუნიორსის“ გულშემატკივრები გახლდნენ. შემდეგ თამაშზე წავედი და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ლა ბომბონერაზე“ წარმოუდგენელი ატმოსფერო სუფევს, რომლის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. მას შემდეგ, „ბოკას“ ძალიან ბევრ თამაშს დავესწარი და ყოველთვის ნასიამოვნები დავრჩი. რაც შეეხება ჩემს ფან-კლუბში გაწევრიანებას, ეს თავისთავად მოხდა. გულშემატკივრებმა საპატიო ტიფოზის სიგელი გადმომცეს და ავტომატურად, „ბოკას“ ერთგულ ქომაგთა რიგებში ჩავეწერე.

- როგორ აღნიშნეთ დაბადების დღე?

- ტრადიციულად, ანუ მოკრძალებულად. პომპეზური სალამოები ჩემი სტიქია არაა. ასეთ დღესასწაულებს ყოველთვის ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნავ. ყურადღების ცენტრში ყოფნა მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე მსიამოვნებდა და ამას კარგა ხანია მოკლებული ვარ. ერთი სიტყვით, დღეობები დიდად არ მიყვარს. კარიერის დასრულების შემდეგ, არა ერთხელ შემომთავაზეს გამოსათხოვარი მატჩის გამართვა, მაგრამ ყველა წინადადებაზე უარი განვაცხადე. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ეროვნულ ნაკრებში მქონდა გაცილების მატჩი. ალბათ გახსოვთ, ეს ესპანეთის ნაკრებთან მოხდა.

- რა თქმა უნდა. არასდროს მოგდომებიათ ფეხბურთში დაბრუნება?

- მოედანზე გასვლა ძალიან მენატრება, თუმცა დაბრუნებაზე არასდროს მიფიქრია. ყველაფერს თავისი დრო აქვს და უნდა იცოდე, როდის შეეშვა ამა თუ იმ საქმეს. ჩემი აზრით, ისედაც დიდხანს ვითამაშე და გულშემატკივარს თავი შევაწყინე. ბურთს ხშირად ვაგორებ მეგობრებთან ერთად და კარგადაც ვერთობი. ახლახა აღმოვაჩინე, რომ რამდენიმე ჩემი მეგობარი ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობს.

- საფეხბურთო კარიერიდან რა გახსენდებათ ყველაზე კარგად?

- უბედნიერეს ადამიანადაც მიგრძვნია თავი და სასოწარკვეთილიც ვყოფილვარ. ფეხბურთი ემოციების ზღვაა, რომელსაც უნდა გაუმკლავდე. ყველაზე სასიამოვნოდ მაინც „ვიჩენცას“ იუნიორთა გუნდში გატარებული წლები მახსენდება. სახეზე გატყობთ, რომ გიკვირთ რასაც ვამბობ, მაგრამ ეს ასეა. ჩვენს თამაშებზე სამი ათასამდე გულშემატკივარი დადიოდა და მთელი გულით გვქომაგობდნენ. მაშინ შეყვარებული ვიყავი და ჩემი მომავალი მეუღლეც მუდამ სტადიონზე იყო. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი და თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. ის პერიოდი უზომოდ მენატრება.

- და ყველაზე დიდი იმედგაცრუება?

- იმედგაცრუება ტრავმებთან ასოცირდება. კარიერის დასაწყისში ძალიან მძიმე ტრავმა მივიღე და დიდი იყო შანსი, რომ ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. ვიწექი საავადმყოფოში და ვიტანჯებოდი. დეპრესია მქონდა და ვერაფრით ვეგუებოდი იმ აზრს, რომ შეიძლებოდა ფეხბურთის გარეშე დავრჩენილიყავი. სწორედ ამ დროს გავეცანი ბუდისტურ ლიტერატურას და რელიგიის შეცვლა გადავწყვიტე. ბუდისტურმა მცნებებმა ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა და ახალი ენერგიის მოძიებაში დამეხმარა.

- ვიფიქრე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაფუჭებულ თერთმეტმეტრიანს გაიხსენებდით.

- მართლაც საშინელი დღე იყო, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ყველაფერს მაინც სიყვარულით ვიხსენებ. ისე კი, იმ განცდას არაფერი დამავიწყებს. როდესაც ბურთი კარს ასცდა, თითქოს გონება დავკარგე. შემდეგ კარგა ხანს ვფიქრობდი, რომ იტალიაში ჩასვლას ვერ შევძლებდი. ძალიან ძნელია ატარო ამხელა პასუხისმგებლობა და გაიაზრო, რომ შენ უკან მილიონობით გულშემატკივარია. სწორედ ამაზე ვფიქრობდი დარტყმამდე და ეს იყო ჩემი უდიდესი შეცდომა.

- ეს აქამდე არ გითქვამთ.

- დიახ და ახლა ვამბობ. დარტყმამდე გამიელვა თავში იმან, რომ მთელი ქვეყანა ჩემს დარტყმას ელოდებოდა. ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც კარიერაში დამიშვია. გაცილებით უფრო ცივსისხლიანი უნდა ვყოფილიყავი და ასეთ რამეებზე არ მეფიქრა. ყველაზე საინტერესო რა არის იცით? ოთხი წლის შემდეგაც იგივე განმეორდა და ფიქრებს მაინც ავყევი. „ჩილესთან“ არც დარტყმა გამომივიდა დამაჯერებელი, მაგრამ საბედნიეროდ ბურთი კარის ბადეში გაეხვა. გოლის აღნიშვნისას სახეზე მეწერა, რომ დარტყმამდე ძალიან ვღელავდი.

- საინტერესოდ საუბრობთ. ნუთუ ასე ნერვიულობდით, მაშინ როცა ზურგს უდიდესი გამოცდილება გიმაგრებდათ?

- მე არ განვეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ყველაფერს მშვიდად და აუღელვებლად აკეთებენ. ემოცია გარეთ იშვიათად გამომქონდა, თუმცა შიგნიდან ყოველთვის დამუხტული ვიყავი. ჩემი კარიერა ისე წარიმართა, რომ სანერვიულო ნამდვილად არ დამლევია. ემოციებიც უდიდესი იყო, რომლის მსგავსიც არ ვიცი, სხვაგან სად უნდა გამომეცადა.

- იმდენად საინტერესოდ საუბრობთ, რომ იქნებ კიდევ ერთი ეპიზოდი გაიხსენოთ, რომელმაც ასეთი ემოცია მოგგვარათ.

- ნიგერიასთან მატჩი არასდროს დამავიწყდება. ამერიკის მუნდიალზე ოქროს ბურთის მფლობელის რანგში გავემგზავრე და კარგად მქონდა გაცნობიერებული თუ რამხელა იმედებს ამყარებდნენ ჩემზე. ჯგუფური ეტაპი ისე ჩამთავრდა, რომ თავი ვერაფრით წარმოვაჩინე და მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლი დამატეხა. მერვედფინალში სწორედ ნიგერიასთან მოგვიხდა დაპირისპირება და შეხვედრის ბოლო წუთებზე ანგარიში მათ მიჰყავდათ. როდესაც ტაბლოს ავხედე და დავინახე, რომ შეხვედრის დასრულებამდე წუთებიღა იყო დარჩენილი, ძალიან შემეშინდა. თავადაც ხვდებით, რომ იტალიაში დაბრუნება ძალიან გამიჭირდებოდა. ოქროს ბურთის მფლობელი, რომელმაც მუნდიალზე ვერაფერი აჩვენა. საბედნიეროდ, გოლის გატანა მოვახერხე და მხრებიდან დიდი ტვირთი ჩამოვიხსენი.

- რატომ გიჭირდათ ასე მწვრთნელებთან ურთიერთობა?

- საერთოდ, კონფლიქტური ადამიანი არ ვარ, მაგრამ მწვრთნელებს ვერაფერი გავუგე. ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ მე და მათ განსხვავებულად გვესმის ფეხბურთი. არასდროს შევდიოდი მათთან პოლემიკაში, თუმცა ხშირად უსამართლოდ მექცეოდნენ. მაგალითად, ვერაფერი გავუგე მარჩელო ლიპის და ერთხელ მასთან საკმაოდ უსიამოვნო საუბარიც მქონდა. მარჩელო დიდი მწვრთნელია და ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ცოტა რთული ხასიათი აქვს. უცნაური ადამიანია არიგო საკი, ვერ გაიგებ რა დროს რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

- რომელი მწვრთნელი გწყალობდათ ყველაზე მეტად?

- რა თქმა უნდა, კარლო მაცონე. მასთან მუშაობა და საეთოდ, ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა. ეს ადამიანი კომპლექსებისგან აბსოლუტურად დაცლილია. ერთხელ გაზეთში სტატია ასე დაასათაურეს: “ბრეშა სერია A-ში ბაჯომ დატოვა”. მოვიდა ჩემთან მაცონე, გადამეხვია და მითხრა: ეს სიმართლეა. მის ადგილას სხვა აუცილებლად ცუდ გუნებაზე დადგებოდა და მისი ღვაწლის დაუფასებლობაზე გაამახვილებდა ყურადღებას. თანაც, მაცონემ კარგად იცოდა, რომ “ბრეშას” წარმატებების მთავარი შემოქმედი სწორედ ის გახლდათ.

- მოგწონთ თანამედროვე იტალიური ფეხბურთი?

- იტალიური ფეხბურთი ძალიან გადატვირთულია ტაქტიკური სქემებით და ამაზე ადრეც არაერთხელ მითქვამს. ჩვენი მწვრთნელები ფეხბურთელებს იმპროვიზაციის საშუალებას უკლავენ და ჩარჩოებში აქცევენ. არადა, იტალიელები ტექნიკაში სამხრეთამერიკელებსაც კი არ ჩამოვრჩებით. შეხედეთ დელ პიეროს, ტოტის, კასანოს, შეიძლება მათი შებოჭვა? ვფიქრობ, რომ არა.

- როდის და რა როლში დაუბრუნდებით ფეხბურთს?

- ვერც კლუბის ადმინისტრაციაში ვიმუშავებ და ვერც გუნდის მთავარი მწვრთნელი გავხდები. ეს არაა ჩემი საქმე და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. შესაძლოა ბავშვებთან ვიმუშავო და მათ ჩემი გამოცდილება გავუზიარო, ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ.

- რას ეტყოდით თქვენს გულშემატკივრებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით?

- უგულშემატკივრეთ ლამაზ ფეხბურთს.

ლაშა ნიკლაური

ესპანიოლი



კარლოს კამენი

კამენი რასიზმმა დაღალა

კამერუნელი მეკარე სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა

ესპანურ ფეხბურთში რასიზმი ფაქტობრივად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სეზონი ისე არ ჩაივლის, რომ ამ სამარცხვინო მოვლენასთან დაკავშირებით რამდენიმე სკანდალი არ მოხდეს. ყველაზე დიდი უსიამოვნება **სამუელ ეტოოს** გამოუვლია. არ დარჩენილა სტადიონი, სადაც მისთვის მაიმუნი არ ეწოდებინათ და დამცინავი შეძახილებით შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ. ბუნებრივია, რასისტულად განწყობილი გულშემატკივრები მხოლოდ ეტოოს არ უქმნიან პრობლემებს. რასიზმის წინაშე სხვა პრიმერა დივიზიონელი ფეხბურთელებიც აღმოჩენილან. მაგალითად, „ესპანიოლის“ მეკარე **კარლოს კამენი**. გუშინ მან „ელ მუნდო დეპორტივოს“ ინტერვიუ მისცა და რასისტული გამოხდომების შესახებ გულისტკივილით ისაუბრა:

„არ მინდა ამ პრობლემით საზოგადოება ძალიან შევაწუხო, მაგრამ მეორე მხრივ არ შემიძლია პირში წყალი ჩავიგუბო. გასვლითი შეხვედრები ჩემთვის ორმაგად რთულია. პრაქტიკულად ყველა სტადიონზე შეურაცხყოფას მაყენებენ და აფრიკელ მაიმუნს მეძახიან. ვერ წარმოიდგენთ, ამას თავიდან როგორ განვიცდიდი, მაგრამ დროთა განმავლობაში იმუნიტეტი გამოვიმუშავე. ვცდილობ, სიმშვიდე არ დავკარგო. უფრო მეტიც, ასეთი შეურაცხყოფა მოტივაციას მიორმაგებს. ყველაფერზე ვბრაზდები და გაათმაგებული ენერგიით ვვარჯიშობ. რასიზმზე ძალიან ბევრი მიფიქრია. სხვა მიმართულებით რომ დაფიქრდე, შესაძლოა, გასაბრაზებელი ვერაფერი დაინახო. ვიღაც უცნობი ადამიანი, რომელსაც ალბათ განათლების პრობლემა აქვს, კანის ფერის გამო შეურაცხყოფას გაყენებს. თითქოს ეს არ უნდა გეწყინოს. ის ხომ უცხოა და საერთოდ არ გიცნობს, მაგრამ მაინც ძნელია, სისტემატური შეურაცხყოფის ატანა. ძალიან ბევრჯერ მიფიქრია, ყველაფერს მივატოვებ და ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ ვიცი, ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში დავიტანჯები. ფეხბურთის გარეშე ვერ გავძლებ. ისღა დამრჩენია, სიტუაციას შევეგუო და იმედი ვიქონიო, მომავალში სიტუაცია გაუმჯობესდება.“

კამენის გუნდში არსებულ სიტუაციაზეც მოუხდა საუბარი. მოგეხსენებათ, „ესპანიოლი“ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის უპირველესი კანდიდატია. კამერუნელი მეკარე აღიარებს, რომ „ესპანიოლს“ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება: *„სამწუხაროდ, განვლილი 23 ტურის განმავლობაში გუნდმა უამრავი ქულა დაკარგა და ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. არ დავმალავ, რომ სიტუაციის გამოსწორება ძალიან რთული იქნება. მართალია, ჩვენს კონკურენტებსაც სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. მიუხედავად ყველაფრისა, მე და ჩემი თანაგუნდელები ყველაფერს გავაკეთებთ, რათა „ესპანიოლი“ სეგუნდა დივიზიონში არ აღმოჩნდეს.“*

ილია ნიკოლაიშვილი

თანადგომა

გია ნაცვლიშვილი (მარცხნივ) და პაატა კურტანიძე მემორანდუმზე ხელმოწერისას

ავერსი და სეოკ-ი დაძმობილდნენ

საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის აქტიურ და სოლიდურ თანამდგომთა შორის ამიერიდან კომპანია „ავერსიც“ მოიხსენიება. გუშინ „ავერსის-კლინიკაში“ შპს „ავერსი-ფარმას“ დირექტორმა **პაატა კურტანიძემ**, „ავერსი-კლინიკის“ დირექტორმა **დიმიტრი ჯორბენაძემ** და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ოლიმპიური ნაკრების წევრთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას. კერძოდ, სეოკ-ის მოთხოვნით „ავერსი-ფარმა“ — უფასო მედიკამენტებით, „ავერსი-კლინიკა“ კი უფასო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფს ოლიმპიური ნაკრების სპორტსმენებს.

მემორანდუმის გაფორმებას ესწრებოდნენ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი**, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონები, პრიზიორები და პერსპექტიული ოლიმპიელები.

„ასეთი მემორანდუმი პირველად გაფორმდა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ფინანსური დახმარება. დღეიდან გვეძლევა შესაძლებლობა, საჭირო დროს მივიღოთ საჭირო რაოდენობის მედიკამენტები. ნაკრების წევრები უზრუნველყოფილი იქნებიან სისტემური სამედიცინო მომსახურებით, გამოკვლევების ჩატარებისა და მკურნალობის ჩათვლით. ასეთი თანადგომა მუდამ ოცნებად გვქონდა, დღეს ეს რეალობად იქცა“, — გვითხრა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა, პროფესორმა **ზურაბ კახაბრიშვილმა**.

თენგიზ თომაშვილი
კახა ბერიძის ფოტო

დოპინგი

ფრთხილად, გადაცდომა დამღუპველია!

დოპინგსაწინააღმდეგო ღონისძიებები არნახულად გამკაცრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გობეჯიშვილი

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში დიდი თავყრილობა შედგა. სეოკ-ის ხელმძღვანელთა ინიციატივით შეიკრიბა სპორტის ოლიმპიურ სახეობათა თითქმის ყველა ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი. შეხვედრის მიზეზი კი მეტად მნიშვნელოვანი იყო – მაღალი მიღწევების სპორტში დოპინგის კონტროლთან დაკავშირებული საკითხი.

მსოფლიოს ანტიდოპინგური ასოციაცია (WADA) სულ უფრო ამკაცრებს სპორტში აკრძალულ პრეპარატთა გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას. სოკ-ის პრეზიდენტი **ჟაკ როგი** პირადად აკონტროლებს, თუ როგორ თანამშრომლობენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები WADA-სთან.

შეხვედრა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **დავით გობეჯიშვილმა** გახსნა და ფედერაციებს მოუწოდა, საერთაშორისო დოპინგ მოთხოვნებში ღრმად და საფუძვლიანად გაერკვნენ, რათა ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან იქნეს აცილებული. პრაქტიკულად უნდა გამოირიცხოს ამა თუ იმ საერთაშორისო ტურნირზე, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე, რაც მთავარია, ოლიმპიურ თამაშებზე, დოპინგზე ქართველ სპორტსმენთა ჩავარდნა და მათი დისკვალიფიკაცია. მისი თქმით, WADA სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ-ახალ წესებს აყენებს და მოთხოვნებს ფეხი უნდა ავუწყოთ. სეოკ-შიც მოვიდა ახალი წესები და ყველა ფედერაციას დაეგზავნა შესაბამის წერილთან ერთად.

ამ მეტად მნიშვნელოვან შეკრებაზე ფედერაციებს დაურიგდათ ქართულ ენაზე ნათარგმნი ბროშურები — თუ როგორ უნდა იმოქმედონ დოპინგპრობლემათა თავიდან ასაცილებლად. სამწუხაროდ, შეკრებას არ ესწრებოდა ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენელი...

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გია გალდავამ** ფედერაციებს მოუწოდა, კარგად გაერკვნენ დიდი მიღწევების სპორტში დოპინგის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებში, რათა არ განმეორდეს ის სავალალო შედეგი, რაც თავისუფალ ჭიდაობაში **დავით მოძმანაშვილმა** იწვნია და ევროპის ჩემპიონის ტიტულთან ერთად პეკინის ოლიმპიადაც უკან დარჩა.

საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარემ **პავლე კასრაძემ** დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო ის მოთხოვნები, რასაც ვადა ითვალისწინებს. ყველაფერთან ერთად ლაპარაკია ე.წ. „ადამსის“ ელექტრონულ სისტემაზე, რომელიც ჯერ კიდევ პეკინის თამაშების წინ დაინერგა, მაგრამ მაშინ ისე მკაცრი არ იყო კონტროლი, მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში კი ამ მხრივ მოთხოვნები გაძლიერდება. ყველა სპორტსმენს წელიწადში ორჯერ უნდა ჩაუტარდეს „ადამსის“ ტესტირება, რაც უდიდეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. ერთი ათლეტის გასინჯვა მინიმუმ 250 ევრო ჯდება. შეხვედრაზე მოიყვანეს ნორვეგიის მაგალითიც. 2003-2004 წლებში, როდესაც WADA ჯერ კიდევ ისეთი აქტიური არ იყო, როგორიც დღეს, ნორვეგიელ სპორტსმენებზე 1700 ტესტი ჰქონდათ გაკეთებული.

დასასრულ, სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** აღნიშნა, რომ შეიძლება მსოფლიოს ანტიდოპინგურ ასოციაციას ბევრ ნიუანსში არ ეთანხმებოდე, მაგრამ ვალდებულნი ვართ, მათი მოთხოვნები გავითვალისწინოთ, რათა ქართველ სპორტსმენთა დოპინგზე ჩავარდნის შემთხვევები აღარ განმეორდესო.

გადაწყდა, რომ სპორტული ფედერაციები აქტიურად ითანამშრომლებენ ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგმება.

კახა ბერიძე

რეგიონი

იმერეთის ძიუდოს დავით ხახალეიშვილი უთავკაცებს

19 თებერვალს ქუთაისის მე-17 სპორტული სკოლა-პანსიონის ძიუდოს დარბაზში დიდი სტუმრიანობა იყო. იმერეთის გუბერნატორი **მიხეილ ჩოგოვაძე**, ქუთაისის მერი **ნუგზარ შამუგია** და სხვა თანამდებობის პირები ძიუდოისტთა ახალ ინიციატივებს ეცნობოდნენ. ცოტა ხნის წინათ სკოლა-პანსიონის დირექციამ ძიუდოს დარბაზში ერთი ტრიბუნა მთლიანად მოხსნა და მის ნაცვლად მეოთხე ტატამი გაშალა. ახალი ტრადიციის მიხედვით ამ დარბაზში, ყოველ ხუთშაბათს, ერთობლივი წვრთნები იმართება, რომელშიც იმერეთის ყველა რაიონია ჩართული. ამჯერად ქუთაისს სამტრედიელი და ზესტაფონელი ძიუდოისტები ეწვივნენ და ადგილობრივებთან ერთად სპარინგ-შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელებმა ახალგაზრდა ძიუდოისტების გარჯას დიდი აზარტით უცქირეს, თუმცა მათი სტუმრობის ერთადერთი მიზეზი ეს არ ყოფილა...

ამ დღეს დაარსდა იმერეთის ძიუდოს რეგიონული ფედერაცია და ჩატარდა ახალშექმნილი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ამ თანამდებობაზე ვეტერანი ძიუდოისტი, ბარსელონის ოლიმპიადის გამარჯვებული და არაერთი ტიტულის მფლობელი **დავით ხახალეიშვილი** წარადგინა. ყრილობაზე, რომელსაც ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე- პრეზიდენტი **დავით ბერძენიშვილი** უძღვებოდა, 27 დელეგატი იყო მიწვეული. სხდომას 22 დელეგატი დაესწრო და ყველა მათგანმა დავით ხახალეიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებად დაასახელა მე-17 სპორტული სკოლა-პანსიონის დირექტორი **თემურ ქიმუცაძე**, ცნობილი ვეტერანი ძიუდოისტი **ავთანდილ გუბელაძე** და ასევე ყოფილი სპორტსმენი **გიორგი ჟორჟოლიანი**, რომლებსაც დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. აღმასკომის შემადგენლობა კი 15 წევრით განისაზღვრა.

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გეგმებზე მოკლედ ისაუბრა: *„ჩემთვის ეს თანამდებობა, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა. ჩემი ძირითადი მიზანია, იმერეთში ძიუდოს კიდევ უფრო დიდი წარმატებები და წინსვლა ჰქონდეს. ჩვენ ხშირად დავდივართ სტუმრად სხვადასხვა ქვეყანაში და იქიდანაც აქვთ სურვილი, რომ ჩამოვიდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ დასახვედრად არც ბაზა გაგვაჩნია და არც ინფრასტრუქტურა. იმედია, ერთობლივი მუშაობით, იმერეთისა და ქუთაისის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ეროვნული ფედერაციის გვერდში დგომით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ და ქართული ძიუდოს განვითარებაში ჩვენს წვლილს შევიტანთ.“*

იმერეთის გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე ძიუდოისტებს დახმარებას დაჰპირდა და ამას ჩვენთან საუბარშიც გაუსვა ხაზი: *„დავით ხახალეიშვილს, როგორც კარგ პიროვნებასა და დიდ სპორტსმენს, ყველა იცნობს. იმერეთის ძიუდოს ფედერაციის დაარსება ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონში ძიუდოს განვითარებისთვის. ჩვენ აქტიურად ვეხმარებით სპორტსმენებს და შესაძლებლობის ფარგლებში სამომავლოდაც მათ გვერდით ვიქნებით.“*

ახალდაარსებული ორგანიზაციისა და მისი პრეზიდენტის შესახებ ძიუდოს

დავით ხახალეიშვილი

ეროვნული ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა დავით ბერძენიშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„როგორც იცით, საქართველოს ყველა რეგიონში ვაყალიბებთ ადგილობრივ ფედერაციებს, სადაც ისეთი ადამიანები შევარჩიეთ, რომლებსაც ძიუდოში სიტყვა ეთქმით და სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობენ. დავით ხახალეიშვილს წარმატებებს ვუსურვებ, დარწმუნებული ვარ, რომ დათო იმერეთის ფედერაციის საქმიანობას ღირსეულად წარუძღვება და ქართული ძიუდოსთვის ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს.“*

ყრილობას მოგვიანებით ოლიმპიური ჩემპიონი და გასული წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ირაკლი ცირეკიძე შეუერთდა, რომელმაც შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„ახალდაარსებულ ფედერაციას ღირსეული პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები ჰყავს. იმედია, მათი თაოსნობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდება და ძიუდო ყოველთვის წარმატებული სახეობა იქნება ჩვენს ქალაქში, რეგიონსა და მთლიანად საქართველოში.“*

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჭადრაკი

შენაცვლებითი ტაქტიკა

პალცოუფენზე მოთამაშე ორი ქართველი მოჭადრაკე - **ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** ერთობ უცნაური ტაქტიკით ასპარეზობენ: ერთ დღეს თუ ერთ-ერთი მათგანი გაირჯება კარგად, მეორეს მატება ნულის ტოლია, მომდევნო დღეს კი საპირისპირო სურათს ვხედავთ. გასაგებია, რომ ასეთი ზიგზაგით სიარული არც ერთ ჩვენებურს არ ეხატება გულზე, მაგრამ ამგვარი უცნაური „კანონზომიერება“ კი გამოჩნდა და ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო. უფრო რეალურად რომ განვსაჯოთ, ქართველ ქალბატონებს დიდოსტატ ვაჟებთან ჭიდილი უჭირთ და მარცხიც, ძირითადად, მათგან იწვნიეს. თუმცა ერთხელ ხოტენაშვილმა არცთუ ძლიერი გერმანელისგან მიიღო შამათი... ბელას ორი წაგება აქვს ხუთ ტურში და სამი - გამარჯვება. მესამეჯერ კმაყოფილმა სათამაშო დარბაზი გუშინ დატოვა, როცა თეთრებით მოუგო მოლდაველ **გეორგ დიოსეს**. სამწუხაროდ, იგივე ვერ შეძლო ბაციაშვილმა - მისი დამარცხება შავი ფერით მოახერხა ლიტველმა დიდოსტატმა **ალოიზიოს კვეინისმა**. მე-6 ტურის წინ ჩვენებურებს 3-3 ქულა აქვთ და ძირითად პრიზებს რომ ვერ შესწვდებიან, ცხადია, თუმცა ქალთა შორის თავის გამოჩენა ჯერაც ხელეწიფებათ. ტურნირის დასასრულამდე 4 ტური დარჩა. არც ამ ფრონტზეა ია-ვარდით მოფენილი გზა და ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ ჩვენებურებს, რაიმე პრიზს რომ შესწვდნენ. 4-4 ქულით ქალთა შორის უკრაინელი **ინა გაპონენკო**, მისივე თანამემამულე **მარია მუზიჩუკი** და სლოვენიის სახელით მოასპარეზე უკრაინელი **ანა მუზიჩუკი** დაწინაურდნენ. 3,5–3,5 ქულა აქვთ გერმანელ **ელიზაბეტ პეჰცს**, პოლონელ **ნატალია ზდებსკაიას**, ინდოელ **ტანია საჩდევს** და გერმანელ **მანუელა მადერს**.

მე-6 ტურში შედარებით სუსტი მეტოქეები შეხვდათ ქართველებს და იმედია, გამარჯვებით გაიკვალავენ გზას. ბელა ხოტენაშვილის მეტოქე დღეს გერმანელი **ტომას კასტეკია**, რომელიც 138-ეა განთესვით და დაბალი რეიტინგი აქვს - 2187. ზუსტად ამდენივე აქვს და განთესვით - 139-ეა რუმინელი **ბოგდან პოსეტარუ**. აქაც ვიხილეთ ერთი უმნიშვნელო დამთხვევა - ბელასაც და ნინოსაც ერთნაირი რეიტინგი აქვთ - 2350 და სასტარტო ცხრილშიც გვერდიგვერდ არიან - ხოტენაშვილი 62-ეა, ბაციაშვილი კი - 63 -ე.

რაც შეეხება „ტიტანთა“ ბრძოლას, მაქსიმალური ქულები არც ერთს არ შერჩა – მე-5 ტურში ლიდერებმა ერთმანეთში ქულები გაიყვეს, რითაც უმალ ისარგებლეს მდევრებმა და წამოეწივნენ წინ წასულთ. დღეისთვის ლიდერობას რვა მონაწილე იყოფს 4,5-4,5 ქულით.

ზვიად შათირიშვილი

სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ კახა შენგელიასთან

ყველაზე მეტად საკუთარი თავის შეცვლა მიჭირს

სპორტის სასახლეში ვესაუბრე უმაღლესი ლიგის მწვრთნელს, ჭაბუკთა გუნდის თავკაცს, სუპერლიგის კალათბურთელსა და საქართველოს ნაკრების წევრის მამას. ეს ყველაფერი ერთი კაცია – კახა შენგელია.

ახლა უფრო კონკრეტულად: იგი შსს-ს მოთამაშე-მწვრთნელია და საშუალოდ 18.2 ქულასა და 12 მოხსნას აგროვებს; ასევე, წვრთნის ახალგაზრდულ გუნდებს; ხოლო მისი ვაჟი, თორნიკე ვალენსიურ "პამესაში" რომ თამაშობს, ამის შეხსენება ალარ დაგჭირდებათ.

- კალათბურთში ორწლიანი უქმობის შემდეგ დაბრუნდით. რამ გადაგაწყვეტინათ მოედანზე გამოსვლა?

- ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ლევან მიქაბერიძე შემხვდა და მკითხა – ჩვენს გუნდში თამაშზე რა აზრის ხარო? რატომაც არა-მეთქი, მივუგე.

- რუსთავში, რამაზ გოგობერიშვილის გაცილების მატჩში კარგად გამოიყურებოდი. იმ თამაშის შემდეგ ხომ არ დაგიძახეს შსს-ში?

- მიქაბერიძეს გაცილების მატჩამდე ერთი დღით ადრე შევხვდი.

- თავიდან მხოლოდ მოთამაშე იყავი...

- ახლა მოთამაშეცა ვარ და მწვრთნელიც. იანვარში გუნდის გაძღოლა მთხოვეს და მეც დავთანხმდი. რამდენიმე წელიწადია ახალგაზრდული ასაკის გუნდებს ვავარჯიშებ და სამწვრთნელო გამოცდილებაც მაქვს.

- ბოლო ტურში "ენერჯის" პირველი პერიოდი 27:16 მოუგეთ...

- რუსთაველთა წინააღმდეგ კარგად ვითამაშეთ. თუმცა, კარგი გარჯითა და წაგებით ბედნიერი ნამდვილად არ ვარ. "ენერჯის" დამარცხება აქამდე ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა. მისი ძლევის, მით უმეტეს ჩემპიონობის ილუზია ნამდვილად არ გვაქვს. თუმცა ვცდილობთ, თამაში ეტაპობრივად გავაუმჯობესოთ.

- ბოლო მატჩში ქვემოქართლელებს ღირსეულად ებრძოლეთ, მანამდე "მაკაბი" დაამარცხეთ. შეიძლება იმის თქმა, რომ გუნდი ფორმაში შედის?

- შედეგიან თამაშს უფრო შეთამაშებას დავაბრალებდი. "ენერჯისთან" კარგი თამაში გვაძლევს იმედს, რომ მომავალ ტურშიც გამარჯვებაზე ვიფიქროთ.

- ბათუმში აპირებთ მოგებას?

- ვაპირებთ. ამის ძალა შეგვწევს. "ბათუმთანაც" შეიძლება მოგება და "დინამოსთანაც". დინამოელებთან, ბოლოს, თითქმის მოგებული მატჩი წავაგეთ.

- მოთამაშე-მწვრთნელების შემხედვარეს, ყოველთვის ერთი კითხვა მიჩნდება – საკუთარი თავის შეცვლა არ გიჭირთ?

- გამოვტყდები, ყველაზე მეტად ეგ მიჭირს, მაგრამ ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც გუნდს სჭირდება.

- შიდა ტრანსფერების განხორციელების ვადა ამოიწურა. მარტამდე მხოლოდ ლეგიონერების დამატებაა შესაძლებელი...

- მიმდინარე სეზონში ამ შემადგენლობით ვითამაშებთ. განაცხადში ყველა ადგილი შევსებულია. ჩემპიონობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, რაც ჩვენს ძალებს არ აღემატება. გუნდი ამ ჩემპიონატის დაწყებამდე 3-4 დღით ადრე შეიქმნა. ვიმედოვნებ, გაისად უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

- ამჟამინდელ პირველობას ორი სიტყვით როგორ შეაფასებთ?

- კარგია, რომ ჩემპიონატი ორგანიზებულად ტარდება. კარგია, რომ მან სპორტის სასახლეში გადმოინაცვლა, მაგრამ მე მაინც უკეთესი მინდა. იმედია, მალე ყველაფერი კარგად იქნება.

- შსს-ს პარალელურად კიდევ ვის ავარჯიშებთ?

- 1989-90 წელს დაბადებულთა გუნდით საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ვთამაშობ, ხოლო 1991-წლიანებს ჭაბუკთა პირველობაზე ვხელმძღვანელობ.

- თქვენმა 17 წლის ვაჟმა "პამესაში" არაერთი მატჩი ითამაშა...

- მასზე ვერაფერს ვიტყვი. წინ დიდი გზა აქვს, რომლის გასავლელად თავდაუზოგავი შრომა სჭირდება. დიდი კალათბურთის თამაში იოლი როდია. მოხარული ვარ, ისეთ კლუბში რომ იმყოფება, სადაც მზადებისთვის სათანადო პირობები აქვს. ვალენსიელები მხოლოდ კალათბურთელთა სპორტულ ცხოვრებაზე როდი ზრუნავენ – მათი ხარჯებით თორნიკე კოლეჯში სწავლობს.


კახა შენგელია

ზაზა ფაჩულია

ქართველი NBA-ში

ბიბი და საკრამენტო, ზაზა და ჰორფორდი

"ატლანტა ჰოქსმა" "საკრამენტო კინგსთან" გასვლითი შეხვედრა ჩაატარა და მეტოქეს 100 ქულის ჩაგდების უფლება მისცა, თავად კი 105 მიითვალა და სეზონში 32-ე გამარჯვება მოიპოვა.

ამ შეხვედრის შემდეგ ბევრი დაიწერა **მაიკ ბიბის** შესახებ, რომელიც შარშან ზამთარში "ატლანტაში" სწორედ "საკრამენტოდან" გადავიდა. "კინგსის" გუშინდელ დამარცხებაში მთავარი დამნაშავე სწორედ მაიკ ბიბი გახლდათ, რომელმაც ყოფილ თანაკლუბელებს 29 ქულა "უძღვნა".

ზაზა ფაჩულიას კი წინა მატჩებთან შედარებით სათამაშო დრო შეუმცირდა. გადავხედოთ "ატლანტას" სასტარტო ცენტრის, **ელ ჰორფორდის** მონაგარს და ზაზასთვის დროის შემცირების მიზეზსაც მივხვდებით. ჰორფორდმა 40 წუთში 18-18 ქულა-მოხსნა მიითვალა. ზაზამ 16 წუთში 6 ქულა ჩააგდო და ბურთი ხუთჯერ მოხსნა.

ჯორჯიელები მომდევნო მატჩს 20 თებერვალს ჩაატარებენ, "პორტლენდს" ეწვევიან.

საკრამენტო–ატლანტა	100:105
ზაზა ფაჩულია: 16 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა	
I პერიოდი	
07:31	ზაზამ სმიტი შეცვალა
07:30	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
07:01	მოხსნა: შეტ-0, დაც-2
05:38	ორქულიანი: 2ძ (13:14)
05:15	ფოლი: 1
04:21	ჩაჭრა: 1 (ჰეივსს ჩაუჭრა)
03:38	ორქულიანი: არაზუსტი
II პერიოდი	
11:49	ფოლი: 2
11:39	მოხსნა: შეტ-0, დაც-3
10:07	ორქულიანი: არაზუსტი
09:44	ზაზა ჰორფორდმა შეცვალა
III პერიოდი	
03:32	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
02:32	მოხსნა: შეტ-1, დაც-3
02:31	ორქულიანი: 2ძ (79:73)
02:07	ფოლი: 3
01:32	შეცდომა: 1
00:38	მოხსნა: შეტ-2, დაც-3
00:12	საჯარიმოები: 2\2 (6ძ, 83:77)
IV პერიოდი	
09:41	ზაზა ჰორფორდმა შეცვალა

კრიზისი

კიევიდან ყველა ლეგიონერი დაითხოვეს
...მარკოიშვილის გარდა

მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელეს უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტოებმა. იქაური კალათბურთის ფლაგმან "კიევიდან" ყველა ლეგიონერი დაითხოვეს, გარდა ერთისა. გუნდში უცხოელთაგან მხოლოდ **მანუჩარ მარკოიშვილი** დარჩა.

"კიევის" ოფიციალურ ვებგვერდზე კადრების შემცირების ოფიციალური მიზეზი არ სახელდება, თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ ეს ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით უნდა გაკეთებულიყო. გუნდის უფროსობას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ უკრაინის თასის ფინალში "კიევის" "აზოვმაშთან" წაგებამ უბიძგა. ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ "კიევს" წლეულს მიზნად მხოლოდ ჩემპიონობისთვის ბრძოლაღა შერჩა (ევროჩელენჯი, ალბათ, აღარ ახსოვთ) და პირველობის მოგება ადგილობრივი კადრებითაც შესაძლებელია.

 აი, ვინ დატოვა უკრაინული გუნდი: **კლეი თაკერი, ბრენტ რაითი, ჯეიმს პენი, კენან ბაირამოვიჩი, გორან იერეტინი, რაიან სტალი და იოვო სტანოევიჩი.** ჩვენთვის რომ ვთქვათ, რვა ლეგიონერი მართლაც ზედმეტია, თუმცა, თუ უკრაინელებს ევროელიტაში გარევა სურდათ, უცხოელთა გარეშე არაფერი გამოუვიდოდათ.

მანუჩარ მარკოიშვილი

შეგახსენებთ, რომ ევროჩელენჯის მეორე ეტაპზე "კიევს" 2 მოგების წილ 1 წაგება უწერია და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს... უფრო სწორად - ჰქონდა.

დაველოდოთ შაბათს და ვნახოთ, უკრაინელთა გარემოცვაში დარჩენილი მანუჩარ მარკოიშვილი რას დაუპირისპირებს იუჟნის "ხიმიკს". სხვათა შორის, ორი კვირის წინათ ქიმიკოსებმაც იგივე გააკეთეს, რაც კიეველებმა გუშინ – ლეგიონერები დაითხოვეს.

"კიევის" ამჟამინდელი შემადგენლობა ასეთია: **არტურ დროზდოვი, მანუჩარ მარკოიშვილი, ოლეგ სალტოვეცი, მაქსიმ პუსტოზვონოვი, ვიაჩესლავ კრავცოვი, დენის ლუკაშოვი, ალექსანდრ ლიპოვი, რუსლან ოტვერჩენკო, რომან დმიტრენკო, ალექსანდრ ტიშენკო, ვმიტრი მარჩენკო და ანატოლი ჩელოვანი.**

ერთ საინტერესო ამბავსაც გაგახსენებთ: ზაფხულში უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატში თამაშზე ური თქვა და ახალი ლიგა შექმნა. იცით, უარის მიზეზი რა იყო? – ისინი ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებას ითხოვდნენ, რისი წინააღმდეგი იყო "კიევი", "ხიმიკი", "აზოვმაში"...

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ინტერვიუ ამირან პაპინაშვილთან

ყველაფერი თელიანში დაიწყო... ქართული ჭიდაობით

ზაფხულობით თელიანში (კასპის რაიონი) ყოველ შაბათ-კვირას ზურნის ჭყვიტინი და დოლის ბრაგუნი ისმის. ნახერხმოყრილ სარბიელთან მეზობელი სოფლებიდანაც თავს იყრიან ქართული ჭიდაობის ქომაგები. მქუხარე ტაშითა და ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებენ ფალავნებს. ჭიდაობას უფროსები იწყებენ, მერე პატარების ჯერიც დგება.

იმ საღამოსაც ასე იყო. წრეში ფანდების კორიანტელი იდგა. მამამ შეაგულიანა - მიდი, იჭიდავეო. ისიც მარდად გადახტა.

- ბიჭო, ქარმა არ წაგილოს, - გაექილიკა ვილაც.

სულ რალაც 25 კილოს იწონიდა შვიდი წლის ბიჭი, თუმცა საკმაოდ ცქვიტი და მოხერხებული ჩანდა. მწარე ხუმრობისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ერთი მეორის მიყოლებით ბეჭებზე გააკრა თანატოლები.

- პირველი ადგილი დავიკავე და სიგელითაც დამაჯილდოეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ ფარატინა ქაღალდს დღემდე მოწიწებით ვინახავ, - იხსენებს **ამირან პაპინაშვილი**, რომელმაც წლეულს თბილისში ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი მოიგო 60 კილოში, პარიზის „დიდი სლემის" ტურნირზე კი მეორე ადგილი დაიკავა.

მამამ გაუკვალა გზა ჭიდაობისკენ. ბატონი ჯამბული, სამბოში საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი, მეექვსე კლასამდე ავარჯიშებდა ვაჟიშვილს.

- დედა ბათუმელია და მშობლებთან ერთად კარგა ხანს ზღვისპირეთში ვცხოვრობდი. წვრთნა სულიკო ფეიქრიშვილის ხელმძღვანელობით განვაგრძე.

- პირველად რომელ შეჯიბრებაზე მოირგე კიმონო?

- ნამდვილად არ მახსოვს. ის კი ვიცი, სადაც ვიჭიდავე, საპრიზო ადგილებს არ გავცილებივარ. მეათე კლასში ვიყავი, თბილისის სპორტსკოლამ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს რომ უმასპინძლა. 35 კილოში პირველი ადგილი დავიკავე. მაშინ შემომთავაზეს დედაქალაქში დაბრუნება. მე და ჩემი მწვრთნელი უყოყმანოდ დავთანხმდით.

მას შემდეგ ტურნირებშიც უფრო ხშირად გამოდის და ჯილდოებმაც საგრძნობლად იმატა. 2006 წელს ჭაბუკთა საქართველოს პირველობაზე ვერცხლის მედალი ერგო. მომდევნო წელსაც მეორე იყო - **ბეთქილ შუკვანთან** დათმო ფინალი. სამაგიეროდ, 18 წლისამ ჩეხეთში თანატოლთა საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო.

- იმ წელიწადს უფროსებში პირველად ვიასპარეზე. ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე სადებიუტო შეხვედრა ყაზახ ოლიმპიურ პრიზიორ დომბაისთან დავთმე. შებოჭილად ვგრძნობდი თავს. მარცხის შემდეგ ისეთი შვება ვიგრძენი, თითქოს დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდან. დამამშვიდებელ ჯგუფში საკმაოდ იოლად დავამარცხე ოთხი მეტოქე. საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე. წლის მიწურულს ეროვნულ ჩემპიონატშიც „ბრინჯაო" მხვდა.

შარშანდელი სეზონი ამირანმა უილბლოდ დაიწყო: თბილისის ტურნირზე სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონთან, გაბერძნებულ **აკაკი ხანიშვილთან** დამარცხდა, თუმცა ორი კვირის შემდეგ გერმანიის მსოფლიოს თასზე რევანში აიღო. ახალგაზრდებში საქართველოს პირველობა და ჩეხეთის ტურნირები მოიგო. მოსკოვში მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას მენისკი დაიზიანა. ოპერაციის მერე სარეაბილიტაციოდ მთელი თვე დასჭირდა. მართალია, ზაფხულშივე შეუდგა ვარჯიშს, მაგრამ ფორსირებულად სპორტული ფორმის აღდგენა გაუჭირდა და ეროვნულ ნაკრებს ყაზახეთში წინასაოლიმპიადო შეკრებაზე ვერ გაჰყვა. სამაგიეროდ, 23-წლამდელთა საქართველოს პირველობასა და ეროვნულ ჩემპიონატზე ტოლი არ ჰყავდა.

- შენს სპორტულ ბიოგრაფიაში ყველაზე წარმატებული, ალბათ, თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშება იყო...

- გეთანხმებით, რომ ნებისმიერ ტურნირში პირველი ადგილის დაკავება საამაყოა, მით უმეტეს - საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ, თუმცა პარიზული „ვერცხლიც" ჩემთვის მეტად საპატიოა, რადგან საფრანგეთის ტურნირში ბევრად უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. თავად განსაჯეთ: პირველ წრეში ძიგარო კანოს ტურნირის წლევანდელ გამარჯვებულ იაპონელს - კისეი აკიმოტოს ვძლიე, მერე მონღოლი ჩიმედიადენ ბოლდბაათარი ჩამოვიშორე გზიდან, მესამე წრეში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, უზბეკი რაშიდ საბიროვი დავამარცხე იპონით. ნახევარფინალში ავსტრიელ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს ლუდვიგ პაიშერს რომ გადავეყარე, ბევრს ეგონა, ჩემი წინსვლა იქ დამთავრდებოდა, მაგრამ მწვრთნელებმა და თანაგუნდელებმა გამამხნევეს - ლუდვიგი ძლიერი მოჭიდავე კი არის, თუმცა არა - უძლეველიო. მართალი გითხრათ, არც შემშინებია. დაძაბული პაექრობა იყო. იუკოთი ვაჯობე.

- ფრანგ დრაგინთან შეხვედრისას რა მოხდა? ამბობენ, პაპინაშვილი ფინალში არბიტრებმა „დაწვესო"...

- ყველაფრის მსაჯებისთვის გადაბრალება არ შეიძლება. თუ გინდა პირველი იყო, მთელი თავით უნდა სჯობდე მეტოქეს და არბიტრებს საბაბი არ მისცე. ისინი ხომ უცოდველები არ არიან. ერთ მომენტში დრაგინმა გდება სცადა, მსაჯებმა მაშინვე ვაზარით შეაფასეს, არადა, შეიძლებოდა, იუკოც არ მიეცათ, მე კი ნაღდი იპონი ვაზარად მიქციეს. ასეა თუ ისე, ფინალური ორთაბრძოლა დავთმე და მეორე ადგილს დავჯერდი. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მნიშვნელოვანი ტურნირების უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მომიწევს.

- შენს წონაში ნაკრების ფავორიტია სახელოვანი ნესტორ ხერგიანი. როგორ ფიქრობ, შეძლებ კონკურენციის დაძლევას და ევროპის ჩემპიონატისთვის ეროვნულ გუნდში ადგილის დაბევებას?

- ნესტორ ხერგიანი მართლაც გამოცდილი, ძლიერი მეტოქეა, ყველასთვის მისაბაძი ადამიანი. ჩვენ შეჯიბრებებზე არასდროს შევხვედრივართ, ვარჯიშებზეც იშვიათად გაგვიწევია ერთმანეთისთვის სპარინგპარტნიორობა. ამიტომ ამ წონაში არჩევანს მწვრთნელები პოლონეთის მსოფლიოს თასის გათამაშებისა და კონტინენტის პირველობამდე ბოლო საწვრთნელი შეკრების შედეგებით გააკეთებენ. ხმამაღლა ნათქვამი თუ არ გამომივა, მზად ვარ, საქართველოს სპორტული ღირსება დავიცვა, რაშიც თბილისისა და პარიზის ტურნირებმა და საფრანგეთში გავლილმა საწვრთნელმა შეკრებამ დამარწმუნა. ძალიან მინდა, საკუთარი ქომაგების თვალწინ თბილისში ევროპის ჩემპიონატზე ვიჭიდაო და საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებ. და მაინც, შეჯიბრებისთვის ტრიბუნებიდან თუ მომიწევს თვალყურის დევნება, უპირველესად ნესტორ ხერგიანის ქომაგი ვიქნები.

ამირან პაპინაშვილი პარიზის ტურნირზე

ვაჟა დანელია

რაგბი

ლეგიონერები

მეორე ეტაპზე თამაში სამმა დაიბევა

ქართველ მორაგბეთა კლუბებმა, რომლებიც საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში ასპარეზობენ, გამოტოვებული შეხვედრები გამართეს.

A ჯგუფში პარიზული დერბი შედგა. **ალექსანდრე მარგველაშვილის, გიორგი ნემსაძისა და ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონმა" **დავით დადუნაშვილის, შალვა სუთიაშვილის, რეზო გიგაურისა და მერაბ კვირიკაშვილის** „მასის" უმასპინძლა. სტუმრებმა მატჩი 25:15 მოიგეს. მჭედლიშვილმა დომონელთა რიგებში თავიდან ბოლომდე ითამაშა. მარგველაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო. ნემსაძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა და 8 წუთში არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა.

მასელი ქართველებიდან თავიდან ბოლომდე ითამაშეს დადუნაშვილმა და სუთიაშვილმა. გიგაური სათადარიგოთა შორის ირიცხებოდა, მაგრამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. კვირიკაშვილი განაცხადში არ იყო.

ამჟამად 13 ტურის შემდეგ, როცა რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა, „მასი" 40 ქულით მეორე ადგილზეა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება გაინაღდა, სადაც გუნდები ერთმანეთს პლეიოფში მოხვედრისათვის გაეჯიბრებიან. აქვე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს **დავით ბოლღაშვილისა და სოსო ნიკოლაენკოს** „ლილიც", რომელიც 28 ქულით მეხუთე ადგილზეა. ბოლო ტურში „ლილი" შინ უმასპინძლებს მესამეადგილოსან „დიჟონს".

„დომონს" ასპარეზობის გაგრძელება დივიზიონში დარჩენისათვის მოუწევს.

B ჯგუფში **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანი" 37 ქულით მესამე ადგილზეა და ბოლო ტურში შინ აუტსაიდერ „ჟენევიეს" დაუპირისპირდება. ერთი ქულით ნაკლები აქვს და მეოთხეა **სანდრო ესაკიასა და ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერი". ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ითამაშებს უშუალო კონკურენტ „ვანთან", რომელსაც ორი ქულით უსწრებს.

მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება განაღდებული აქვს **ილია ზედგინიძის** „ექსს", რომელიც 39 ქულით D ჯგუფის ლიდერია. ექსელებმა გამოტოვებულ მატჩში შინ წააგეს „ნიცთან" - 6:12. ზედგინიძე განაცხადში არ იყო.

E ჯგუფში არაფერი ემუქრება **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, იგორ ბარბაქაძისა და ირაკლი გუნდიშვილის** „პერიგოს" შემდეგ ეტაპზე გასვლას. მიუხედავად იმისა, რომ პერიგოელებმა გამოტოვებულ შეხვედრაში სტუმრად წააგეს „ტიროსთან" - 8:9, მაინც სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე არიან 40 ქულით.

35 ქულით მესამე ადგილზეა **შოთა მელიქიძისა და გრიგოლ მაღალდაძის** „კაორი". ბოლო ტურში კაორელები სტუმრად დაუპირისპირდებიან უშუალო კონკურენტ „მარმანდს", რომელსაც 32 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა.

F ჯგუფში მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ბრძოლას განაგრძობს **დავით გასვიანის** „ლე ბუგე". ჩვენებურის ეს გუნდი გამოტოვებულ შეხვედრაში სტუმრად დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ლანამეზანთან" - 6:12. გასვიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. ბოლო ტურში „ლე ბუგე" შინ მიიღებს „ვალანსს", რომელიც მეორე ადგილზეა და შემდეგ ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვს. გასვიანის გუნდი, კი ამჟამად 28 ქულით მე-5 ადგილზეა.

ბესიკ ჯანგავაძე

კრივი

გლდანში ახალგაზრდები იბრძვიან

გუშინ გლდანის კრივის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო 1991-92 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირმა გულშემატკივართა საკმაო ინტერესი გამოიწვია, ორთაბრძოლები დაძაბულად მიმდინარეობს და თითქმის ყველა წყვილში გამარჯვებული მინიმალური უპირატესობით გამოვლინდა.

საქართველოს ჩემპიონატში 17 ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობენ. 11 წონით კატეგორიაში გამარჯვებისთვის 107 მოკრივე იბრძვის. გუშინ პირველი წრის შეხვედრები 6 წონით კატეგორიაში გაიმართა.

57 კგ

ჯამბულ გოგიტიძე* **(აჭარა)** – გელა შაინიძე (აჭარა)

დავით ტაბატაძე (თბილისი) – თორნიკე ქათამაძე (რუსთავი)

ლექსო ჭინჭარაძე (თბილისი) – რამაზ მნაცაკანიანი (თბილისი)

60 კგ

დავით ხვისტანი (ქუთაისი) – გიორგი წიწიკაშვილი (რუსთავი)

გიორგი სტოიანოვიჩი (თბილისი) – გენადი მაისურაძე (თბილისი)

ზაზა ამირიძე (თბილისი) – აკაკი ხიზამბარელი (გორი)

გიგა ბუკია (ფოთი) – რაფიკ კულახსანიანი (ახალციხე)

ზვიად გოგია (ქუთაისი) – გიორგი ნიკლაური (დუშეთი)

გიორგი არდოტელი (გამარჯვება) – გიორგი დვალიშვილი (გორი)

არტიომ ელიზბარიანი (ახალქალაქი) – ქირმან დვალიშვილი (ზესტაფონი)

თამაზ ყაულაშვილი (თბილისი) – გიორგი იოსელიანი (გარდაბანი)

64 კგ

ვლადიმერ ლაბაჩოვი (თბილისი) – დავით ზაკუტაშვილი (ქარელი)

გიგა არეშიძე (ქუთაისი) – ლერი ვიბლიანი (თეთრიწყარო)

ლადო არჩუაძე (გორი) – ემანოზ ლომსაძე (რუსთავი)

ნერსეს ანტონიანი (ახალქალაქი) – ალექსანდრე გოგოლაძე (ქუთაისი)

ბექა ხერგიანი (გარდაბანი) – ნუკრი სომხიშვილი (გორი)

გიორგი ჯაფარიძე (ჭიათურა) – გოგიტა ალბოროვი (რუსთავი)

69 კგ

არტურ ბალიევი (თბილისი) – დემნა ბუკია (ფოთი)

გიორგი ბეროშვილი (გურჯაანი) – დიმიტრი მაღრაძე (ბორჯომი)

ბესიკ წკრიალაშვილი (გორი) – გიორგი ჭინჭარაული (გამარჯვება)

ბერდია უტიაშვილი (გურჯაანი) – ბინათ გარანოვი (გარდაბანი)

ირაკლი ჭეიშვილი (ჭიათურა) – დავით მინდიკაური (გამარჯვება)

დავით თავაძე (ფოთი) – ზურაბ ზაკუტაშვილი (ბორჯომი)

გიორგი გიორგაძე (თბილისი) – გიორგი მურზაშვილი (გორი)

75 კგ

დავით პერტია (ფოთი) – შალვა მელექსიშვილი (გურჯაანი)

რამაზ ნადირაშვილი (გურჯაანი) – ბადრი გიგოლაშვილი (გორი) ორივე მოიხსნა

მალხაზ ჯობავა (თბილისი) – თემურ ყორყოლიანი (ქუთაისი)

ილია ცაავა (ფოთი) – ბესიკ კახიძე (აჭარა)

ბესიკ ნოზაძე (თბილისი) – გოჩა ბადურაშვილი (ახმეტა)

ლერი კაკრიაშვილი (გარდაბანი) – მერაბ გაჩეჩილაძე (ფოთი)

გიორგი გულბანი (გარდაბანი) – ელდარ სარქისოვი (თელავი)

81 კგ

გიორგი ბერქაშვილი (თბილისი) – ვალერი ხურცია (ქუთაისი)

** მუქი შრიფტით აღნიშნულნი არიან გამარჯვებული მოკრივეები*

საქართველოს ჩემპიონატი 22 თებერვალს დასრულდება. ორთაბრძოლები 13 საათზე იწყება.

ლევან ჯანეზაშვილი
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

ჩახნაშვილის პირველი გასროლა

ზაგრების საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი $) მერვედფინალში 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილისა** (1222) და სლოვაკი **ლუკაშ ლაჩკოს** (336) ორთაბრძოლა ვერ დასრულდა, ნიკამ მეორე სეტში ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა და მეოთხედფინალში მე-5 ნომრად განთესილი ფავორიტი გავიდა. იმ დროისთვის ანგარიში 1:6, 1:4 იყო. მოკლედ, ბასილაშვილი უიმედოდ აგებდა.

ამერიკის ქალაქ სურპრაიზში მიმდინარე ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) პირველივე წრეში სიურპრიზი შემოგვთავაზა 26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (223) – მან იოლად დასძლია მე-4 ნომრად განთესილი არგენტინელი **ხორგელინა კრავეროს** (182) წინააღმდეგობა – 6:3, 6:1. მერვედფინალში მაკას მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული 17 წლის ამერიკელი **გეილ ბროდსკი** (411) იქნება. ჩახნაშვილმა სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ტურნირის წყვილთა თანრიგში მაკა არგენტინელ **მარია ირიგოიენს** (381) შეუწყვილდა, ეს გუნდი ტურნირში მე-3 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ ორ სეტში აჯობეს ბრიტანელი **კურტისის** და ავსტრალიელი **მურის** დუეტს – 6:2, 7:6 (1). მერვედფინალში გავიდა ურეიტინგო **მაგდა ოქრუაშვილისა** და რუსი **ოლგა ბულიტჩევას** „უაილდ ქარდით" მიწვეული დუეტიც, მათ მე-4 ნომრად განთესილებს, ბერძენ **დანილიდუს** და გერმანელ **ფორის** აჯობეს – 6:3, 7:5. ორივე დუეტი, სადაც ჩვენებურები ასპარეზობენ, ტურნირის მეოთხედფინალშია.

პორტუგალიის ქალაქ პორტიმაუში (10 ათასი $) ძირითადი ბადის პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული **მანანა შაფაქიძე** (697) ტურნირის პირველ ჩოგანს, რუს **ნინა ბრატჩიკოვას** (212) შეხვდა და დამარცხდა – 2:6, 4:6. შაფაქიძე წყვილთა თანრიგსაც დაემშვიდობა, სადაც უკრაინელ **იულია პილნიკთან** ერთად ასპარეზობდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

მძლეოსნობა

დეფარმა რეკორდით დაიწყო



ტრიუმფალურად დაიწყო 2009 წლის სეზონი ცნობილმა ეთიოპიელმა სტაიერმა **მესერეტ დეფარმა**. სტოკჰოლმში გამართულ IAAF-ის გრანპრიზე პეკინის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა 5000 მეტრი დისტანცია 14 წუთსა და 24.37 წამში გაირბინა და მთელი სამი წამით გააუმჯობესა თავისი თანამემამულის **ტირუნეშ დიბაბას** მსოფლიოს რეკორდი (დახურული არენებისთვის), რომელიც ორი წლის წინ იყო დამყარებული.

სტოკჰოლმის დარბაზში შეკრებილი პუბლიკა მთელი დისტანციის განმავლობაში ფეხზე ამდგარი ამხნევებდა დეფარს, რომელიც ყველა საკონტროლო ნიშნულზე ორი წამით უსწრებდა დიბაბას მსოფლიოს რეკორდის გრაფიკს.

ამ ბოლო სტარტის ჩათვლით, მესერეტ დეფარი 2003 წლის მარტიდან (!) მოყოლებული არ აგებს დარბაზში ჩატარებულ ტურნირებს. ამჟამად ეთიოპიელს 5000 მეტრ დისტანციაზე ზედიზედ 20 გამარჯვება დაუგროვდა.

ოლიმპიზმი

ოლიმპიელების სიკვდილი

გუშინ პორტუგალიაში გარდაიცვალა უროს ტყორცნაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი **კამილა სკოლიმოვსკაია**. პოლონელი ათლეტი 26 წლის იყო.

სკოლიმოვსკაია პოლონეთის მძლეოსანთა ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში შეკრებაზე იმყოფებოდა. როგორც "როიტერი" იტყობინება, სპორტსმენმა ვარჯიშის დროს თავი შეუძლოდ იგრძნო. ის უახლოეს კლინიკაში მიიყვანეს, სადაც რეანიმაციის განყოფილებაში გარდაიცვალა.

პოლონელი უროს მტყორცნელი 1982 წლის 4 ნოემბერს ვარშავაში დაიბადა. მან ოლიმპიური ოქროს მედალი 2000 წელს, სიდნეის თამაშებზე 17 წლის ასაკში მოიპოვა. კამილას მამა - **რობერტ სკოლიმოვსკი** ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია.

ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის გარდა, სკოლიმოვსკაია ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა (2002) და ბრინჯაოს (2006) მედლების მფლობელია. ის აგრეთვე იუნიორთა შორის პლანეტის ჩემპიონი (1999) იყო. კამილას ეკუთვნის უროს ტყორცნაში პოლონეთის რეკორდი - 76 მეტრი და 83 სანტიმეტრი.

■ ■ ■

ამ დღეებში კიდევ ერთი ცნობილი ოლიმპიელი გარდაიცვალა. პლაჟის ფრენბურთში ატლანტის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, 46 წლის **მაიკ უიტმარშმა** თავი მოიკლა. ის თავისი მეგობრის გარაჟში მხუთავი აირით გაიგუდა.

"შოკირებულნი ვართ მაიკ უიტმარშის მოულოდნელი და ტრაგიკული დაღუპვით, - განაცხადა ამერიკის პლაჟის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **დუგ ბილმა**. - *მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ბრწყინვალე სპორტსმენი და შესანიშნავი ადამიანი".*

ახალგაზრდობაში უიტმარში წარმატებით თამაშობდა სან დიეგოს უნივერსიტეტის ახალგაზრდულ გუნდში. მას მეუღლე და ორი გოგონა დარჩა. თვითმკვლელობის მიზეზებზე ამერიკული პრესა არაფერს წერს.



ჩოგბურთი

ჩოგბურთი მაყურებლის გარეშე

დევისის თასის პირველ წრეში შვედეთისა და ისრაელის ნაკრებთა მატჩის ორგანიზატორებმა შეხვედრის მაყურებლების გარეშე ჩატარება გადაწყვიტეს. ეს მატჩი 6-8 მარტს მალმოს "ბალტიკ ჰოლში" გაიმართება.

მალმოს არენა 4 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ გულშემატკივრებისთვის იქ შესვლა აკრძალული იქნება. შვედები არ გამორიცხავენ, რომ ტრიბუნებზე მოხვდებიან ისრაელის საწინააღმდეგო დემონსტრაციის წევრები, რასაც მატჩის მსვლელობისას, შესაძლოა, პროვოკაცია მოჰყვეს. ამის გამო, ქალაქის მთავრობამ ბილეთების გაყიდვაზე უარი განაცხადა.

რუსეცკი არ დაბრუნდება

ცნობილმა ბრიტანელმა ჩოგბურთელმა **გრეგ რუსეცკიმ** პროფესიულ ტურში დაბრუნება გადაიფიქრა. 35 წლის გრეგმა ასეთი გადაწყვეტილება მსოფლიოს მეოთხე ჩოგან **ენდი მიურეისა** და დევისის თასზე ბრიტანეთის ნაკრების კაპიტან **ჯონ ლოიდის** გამო მიიღო, რომლებმაც სკეპტიკურად შეაფასეს რუსეცკის დიდ სპორტში დაბრუნების შანსი.

"მორჩა, აღარ დავბრუნდები. შეგიძლიათ ამის შესახებ ყველას გააგებინოთ", - მოჰყავს ვეტერანი ჩოგბურთელის სიტყვები გაზეთ "გარდიანს".

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

შარლოტი-ინდიანა 103:94

32:25, 21:23, 26:21, 24:25

შ: ჯ. უოლასი (25+10 მოხსნა+7 პასი), ფელტონი (16), რადმანოვიჩი (15), დიაო (14+3 დაფარება), ოკაფორი (12+12 მოხსნა+4 დაფარება), რ. ბელი (11).

ი: მერფი (18+16 მოხსნა), ჯეკი (18+8 მოხსნა), მ. დენიელსი (14), გრეინჯერი (12), ნესტეროვიჩი (10).

ტორონტო-კლივლენდი 76:93

23:24, 18:23, 15:24, 20:22

ტ: ჯ. გრემი (15), კალდერონი (13), ბარნიანი (11), მერიონი (10+6 პასი).

კ: ილგაუსკასი (22), ლ. ჯეიმსი (20+9 მოხსნა+9 პასი), მ. უილიამსი (17), შჩერბიაკი (11), ვარეჟაო (5+14 მოხსნა+3 დაფარება).

მაიამი-მინესოტა 104:111

31:20, 18:26, 24:36, 31:29

მაი: უეიდი (37+12 პასი+4 ჩაჭრა), პასლემი (17), ჯ. ო'ნილი (13), ჩელმერსი (12+3 ჩაჭრა).

მინ: ტელფეირი (30+8 პასი), გომესი (20+7 მოხსნა), ლავი (16+9 მოხსნა), ფოიე (14), კ. სმიტი (10), კარდინალი (7+10 მოხსნა), მ. მილერი (7+9 მოხსნა+9 პასი).

მილუოკი-ჩიკაგო 104:113

22:23, 29:26, 24:30, 29:34

მ: რ. ჯეფერსონი (32), ვილანუევა (17+12 მოხსნა), სეშენსი (12), ჩ. ბელი (10).

ჩ: ჰინრიხი (31+4 ჩაჭრა), დენგი (21+8 მოხსნა), ლ. როუზი (18+9 პასი), ბ. გორდონი (18).

ნიუ ორლეანი-ორლანდო 117:85

35:20, 21:23, 30:19, 31:23

ნ-ო: პოლი (36+10 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (15+8 მოხსნა), დ. უესტი (14), ილაი (11+8 მოხსნა), დ. ბრაუნი (11), სტოიაკოვიჩი (10).

ო: ლუისი (17+8 პასი), რედიკი (14), დ. ჰოვარდი (12+8 მოხსნა).

ფილადელფია-დენვერი 89:101

25:13, 22:24, 21:34, 21:30

ფ: ა. მილერი (17+7 მოხსნა), ლ. უილიამსი (15), დალემბერი (12+10 მოხსნა+3 დაფარება), ტ. იანგი (12), სპეიტსი (11+10 მოხსნა), იგუოდალა (10).

დ: ენტონი (26+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბილაპსი (22), ნენე (17+7 მოხსნა), მარტინი (11).

დალასი-ნიუ ჯერსი 113:98

28:28, 24:27, 40:15, 21:28

დ: ჯ. ჰოვარდი (24+10 მოხსნა), კიდი (23+10 პასი), ნოვიცკი (23+9 მოხსნა), ა. რაიტი (20), დამპიე (10).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (18+7 პასი), ბ. ლოპესი (16+7 მოხსნა), ვ. კარტერი (15), ჯ. ჰეიესი (15), დულინგი (14).

პორტლენდი-მემფისი 94:90

30:27, 27:26, 18:19, 19:18

პ: როი (24+9 პასი), ოლდრიჯი (15), ბატუმი (11), პრჟიბილა (6+15 მოხსნა+3 დაფარება).

მ: [illegible] (20), [illegible] (19), [illegible] (15+10 პასი), მ. გასოლი (9+10 მოხსნა).

საკრამენტო-ატლანტა 100:105

27:30, 32:25, 18:28, 23:22

ს: მარტინი (32+11 მოხსნა), უდრიხი (18), გარსია (15), პოვსი (10+14 მოხსნა), ბ. ჯექსონი (10).

ა: ბიბი (29+3 ჩაჭრა), ჯო ჯონსონი (20+6 პასი), ჰორფორდი (18+18 მოხსნა), ჯ. სმიტი (12+3 დაფარება).

გ. სტეიტი-ლეიკერსი 121:129

34:30, 34:32, 24:28, 29:39

გ-ს: ს. ჯექსონი (24+9 პასი), მაგეტი (24), კროუფორდი (23), ელისი (15), ე. რენდოლფი (14+12 მოხსნა), ტურიაფი (13+7 მოხსნა+3 დაფარება).

ლ: ბრაიანტი (30+9 პასი+3 ჩაჭრა), ოდომი (22+7 მოხსნა), პ. გასოლი (24+13 მოხსნა), არიზა (17), ჯ. პაუელი (16+7 მოხსნა), ფიშერი (12).

კლიპერსი-ფინიქსი 119:142

27:30, 26:37, 37:34, 29:41

კ: ტორნტონი (33), ე. გორდონი (23+6 პასი), ფ. ჯონსი (20), ბ. დევისი (14+7 პასი), რ. დევისი (10), დ. ჯორდანი (9+11 მოხსნა).

ფ: სტაუდმაიერი (42+11 მოხსნა), ნეში (21+12 პასი), ჯ. რიჩარდსონი (17+7 მოხსნა), შ. ო'ნილი (16), ბარბოზა (13), დრაგიჩი (12).

ტრეიდები

ხარები მეფეებს გაურიგდნენ

გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი მასშტაბური გაცვლა განხორციელდა. "ჩიკაგო ბულზმა" თავისი ოთხი ფორვარდი - **ანდრეს ნოჩიონი, დრიუ გუდენი, მაიკლ რაფინი** და **სედრიკ სიმონსი** "საკრამენტოში" გაუშვა, სანაცვლოდ კი გამოცდილი ცენტრი **ბრედ მილერი** და ფორვარდი **ჯონ სალმონსი** მიიღო.

ამ ტრეიდის მთავარი მონაწილეები ნოჩიონი, გუდენი, მილერი და სალმონსი არიან. არგენტინელი ნოჩიონი ამ სეზონში 10.4 ქულასა და 4.2 მოხსნას აგროვებს, გუდენის სტატისტიკა კი ასე გამოიყურება - 13.1 ქულა და 8.6 მოხსნა.

სხვათა შორის, ბრედ მილერი კარიერის დასაწყისში ორი სეზონი თამაშობდა "ჩიკაგოს" შემადგენლობაში. ამჟამად ეს ცენტრი ტრავმირებულია და 31 იანვრის შემდეგ არ გასულა მოედანზე. ბრედი წლევანდელ რეგულარულში 11.9 ქულას და 8.0 მოხსნას ითვლის, სალმონსის ქულათა მონაგარი კი 18.3-ს შეადგენს.



■ ■ ■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" თავისი სათადარიგო ცენტრის **კრის მიმის** "მემფისში" გაშვება გადაწყვიტა. კალიფორნიულმა კლუბმა ამ კალათბურთელში 2013 წლის დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

მიმი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2000 წლიდან თამაშობს - ის "ჩიკაგომ" დრაფტის მეშვიდე ნომრად აირჩია და შემდეგ "კლივლენდში" გაცვალა.

კრის მიმის კარიერული მონაგარი 7.5 ქულასა და 5.3 მოხსნას უდრის, წელს კი მისი სტატისტიკა უფრო მოკრძალებულია - 2 ქულა და 1.9 მოხსნა.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში "ნიუ ორლეან ჰორნეტსა" და "ოკლაჰომა სიტის" შორის განხორციელებული გაცვლის შესახებ გამცნეთ. თუმცა მოთამაშეთა მიერ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, ტრეიდი გაუქმებულად გამოაცხადეს. შესაბამისად, **კრის უილკოქსი** და **ჯო სმიტი** უკან "ოკლაჰომაში" დაბრუნდნენ, "ნიუ ორლეანმა" კი **ტაისონ ჩენდლერი** დაიბრუნა.

ჩაშლილი გაცვლის მიზეზი ჩენდლერი გახლავთ, რომელმაც სამედიცინო ტესტი ვერ გაიარა. სხვათა შორის, ამ ცენტრმა მარცხენა მუხლის ტრავმის გამო ბოლო 12 შეხვედრა გამოტოვა.

ტრეიდები

ზაკი ორი მატჩით დასაჯეს



NBA-ის სადისციპლინო კომიტეტმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ფორვარდი **ზაკ რენდოლფი**. ასეთი სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ რენდოლფმა "ფინიქს სანზის" ფორვარდ **ლუის ამუნდსონს** სახეში იდაყვი უთავაზა და მეტოქეს კინაღამ მძიმე ტრავმა მიაყენა.

ამ უხეშობისთვის ზაკმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ის პირველი მეოთხედის დასრულებამდე 32 წამით ადრე გააგდეს მოედნიდან. რენდოლფმა, რომელიც საშუალოდ მატჩში 21.9 ქულას აგროვებს, უკვე გამოტოვა ერთი ტური, კვირას კი "პორტლენდის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოქმედი ჩემპიონი "ბოსტონ სელტიქსი" უახლოესი ორი თვის განმავლობაში სათადარიგო მცველის **ტონი ალენის** გარეშე ითამაშებს. კალათბურთელმა ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას ცერა თითის ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთება მოუწევს, რის შემდეგაც სარეაბილიტაციო კურსი 8 კვირა გაგრძელდება.

ალენი ამ სეზონში თავის გუნდს 7.8 ქულითა და 2.1 მოხსნით ეხმარება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

რეინჯერსი-აილენდერსი 3:1

1:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 დეივსი-9 (დრური-20, პრუხა-5), 1:1 შტრაიტი-10 (კომო-7, ოკსოპო-10), 2:1 გომესი-11 (დრური-21, ლუნდკვისტი-2), 3:1 სიოსტრიომი-5 (დრური-22, რედენი-18).

კოლამბუსი-სენტ ლუისი 4:3

2:0, 2:1, 0:2

გოლები: 1:0 ტიუტინი-8 (ჯეისონ უილიამსი-15, ნეში-29), 2:0 მალორტა-8, 2:1 ვინჩესტერი-10 (ბეკსი-15), 3:1 ნეში-24 (მალორტა-15, ბეკმანი-5), 4:1 ე. მიურეი-7 (ტიუტინი-19, პეკა-13), 4:2 სტინი-7, 4:3 ოში-8 (ე. მაკდონალდი-16, სტინი-14).

ვაშინგტონი-მონრეალი 4:3 (ბ)

2:2, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ჰიგინსი-8 (მარკოვი-36, დ'აგოსტინი-6), 1:1 ოვეჩკინი-42, 2:1 ბექსტრიომი-14 (ფიოდოროვი-16, გრინი-29), 2:2 ა. კოსტიცინი-21 (მარკოვი-37, შნაიდერი-12), 2:3 პლეკანეცი-12 (მარკოვი-38, ა. კოსტიცინი-14), 3:3 შტეკელი-7 (პოტი-8, ლეიჩი-19).

ბულიტები გაიტანეს: სიომინი (ვაშინგტონი), ბექსტრიომი (ვაშინგტონი).

დეტროიტი-ნეშვილი 6:2

2:1, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 ჰუდლერი-20 (ფრანცენი-13, კრონვალი-33), 2:0 ზეტერბერგი-21 (დაციუკი-47, რაფალსკი-39), 2:1 სალივანი-1 (ბონკი-13, დუმონი-29), 3:1 ლიდსტრიომი-11 (კრონვალი-34, კლიარი-20), 3:2 სალივანი-2 (დუმონი-30, არნოტი-17), 4:2 ფრანცენი-23 (ზეტერბერგი-30, ლიდსტრიომი-31), 5:2 ლიდსტრიომი-12 დაციუკი-48, რაფალსკი-40), 6:2 ფრანცენი-24 (ფილპულა-24, ჰუდლერი-29).

ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 3:4

0:1, 1:1, 2:2

გოლები: 0:1 სტოლი-15 (კალდერი-14, გრინი-8), 0:2 ო'სალივანი-14 (გრინი-9, კოპიტარი-30), 1:2 სელანე-18 (გეტცლაფი-46, ს. ნიდერმაიერი-31), 2:2 გეტცლაფი-19 (პერი-30, პრონგერი-25), 2:3 დ. ბრაუნი-22 (ბოინსი-28, სტოლი-20), 2:4 კოპიტარი-19 (დ. ბრაუნი-24, სტოლი-21), 3:4 კუნიტცი-15 (გეტცლაფი-47, ბრუკბანკი-1).

ბიათლონი | მსოფლიოს ჩემპიონატი

ოქროს საფრანგეთი

ბიათლონის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში მეშვიდე დისციპლინა შერეული ესტაფეტა (ორ-ორი ქალი და მამაკაცი ბიატლონისტისგან შემდგარი გუნდი) იყო, რომელიც შედარებით ახალი სახეობაა და ის ჯერ არ შედის ოლიმპიურ პროგრამაში. მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად შერეული ესტაფეტა 2005 წელს შეიტანეს და ვარაუდობენ, რომ 2014 წელს, სოჭის ოლიმპიადაზე აქ მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდება.

გუშინდელი ესტაფეტის ძირითად ფავორიტად ნორვეგიის ნაკრები ითვლებოდა, რომელმაც მთავარი კონკურენტის - გერმანიისგან განსხვავებით თავისი უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა - მათ შორის პიონჩანგში სამი ოქროს მომგები **ოლე ეინარ ბიორნდალენი**. გერმანიის რიგებში კი ვერ ვიხილეთ **კატი ვილჰელმი**, რომელსაც წლევანდელ პირველობაზე ასევე სამი მედალი აქვს მიღებული (ორი ოქრო, ერთი ვერცხლი). კატიმ დარჩენილი ორი დისციპლინისთვის ძალების დაზოგვა გადაწყვიტა.

ნორვეგიამ ბრწყინვალედ დაიწყო ესტაფეტა და მისმა პირველმა ნომერმა **ტორა ბერგერმა** კომფორტული ჰანდიკაპი შეუქმნა თავის გუნდს, მაგრამ ოქროზე ნორვეგიელთა იმედები **ანე ინგსტადბერგმა** დაასამარა. მან იმდენი მოახერხა, რომ ათი სამიზნის დასახურად განკუთვნილი 16 ტყვია ვერ იმყოფინა და ერთი საჯარიმო წრის გავლა მოუწია. ნორვეგიელებმა ამ ჩამორჩენას ველარ უშველეს და ბიორნდალენის მონდომების წყალობით მხოლოდ საუკეთესო ოთხეულში შეაღწიეს.

რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, ის ბოლო მომენტამდე იბრძოდა ოქროსთვის, მაგრამ მოულოდნელად დაწინაურებულ საფრანგეთისა და შვედეთის ნაკრებთა მდევრის როლში მოგვევლინა.

ყველაფერი ბოლო სასროლეთზე გადაწყდა. **ფურკადმა** (საფრანგეთი), **ბერგმანმა** (შვედეთი) და **გრაისმა** (გერმანია) ფაქტობრივად ერთდროულად მოიმარჯვეს შაშხანები. გრაისს კონკურენტებზე ერთით მეტი ტყვიის გამოყენება დასჭირდა და ამის გამო წინ გაჭრილ მეტოქეებს ველარ დაეწია. რაც შეეხება საფრანგეთისა და შვედეთის ბრძოლას, აქ ყველაფერი ფურკადის ბრწყინვალე ფიზიკურმა მომზადებამ გადაწყვიტა. წინა სამ დისციპლინაში ფრანგი საუკეთესო ექვსეულში ხვდებოდა, რაც მის კარგ ფორმაზე მეტყველებდა. ფურკადმა ისეთი ტემპი აკრიფა, რომ ბერგმანს ბოლო ორ კილომეტრზე თითქმის ექვსი წამი მოუგო და საფრანგეთმა დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი.

შერეული ესტაფეტა. 4x6 კმ

1. **საფრანგეთი** (მარი-ლორ ბრიუნე, სილვი ბეკარი, ვენსან დეფრანი, სიმონ ფურკადი) - 1:10:30.08 (0+6); 2. **შვედეთი** (ჰელენა იონსონი, ანა-კარინ ოლოფსონი, დევიდ ეკჰოლმი, კარლ იუჰან ბერგმანი) - +6.2 (0+3); 3. **გერმანია** (ანდრეა ჰინკელი, სიმონა ჰაუსვალდი, არნდ პაიფერი, მიხაელ გრაისი) - +8.9 (0+11); 4. **ნორვეგია** - +52.6 (1+10); 5. **რუსეთი** - +1:09.4 (0+11); 6. **ფინეთი** - +1:13.6 (0+6).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

ლეხი-უდინეზე 2:2

ლეხი: ტურინა - ვოიტკოვიაკი, ბოსაჩკი, არბოლედა, ჯურჯევიჩი - მურავსკი, ინიაცი - ლევანდოვსკი, სტილიჩი, ვილკი (67. ბანდროვსკი) - რენგიფო.

უდინეზე: ჰანდაროვიჩი - საპატა, ა. კოდა, დომიცი, პასკუალე - ისლა (73. ობოდო), ინლერი, გ. დ'აგოსტინო, ასამოა - კვალიარელა, სანჩესი (85. პეპე).

გოლები: 0:1 კვალიარელა (50), 0:2 არბოლედა (55-საკ. კარში), 1:2 რენგიფო (81), 2:2 არბოლედა (84)

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა:** 12(8)-9(5); **კუთხური:** 8-2; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 4-13; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

მაყურებელი: 17 000

შახტარი-ტოტენჰემი 2:0

შახტარი: პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, იშჩენკო, რატი - ჟადსონი, ფერნანდინიო, ლევანდოვსკი, ვილიანი - ილსინიო (68. ლუის ადრიანო), გლადკი (78. სელეზნიოვი).

ტოტენჰემი: გომეში - გიუნტერი, ჰადლსტოუნი, მ. დოუსონი, შამბონდა - ჯენასი, ზოკორა, პარე (89. ბოსტოკი) - ბენტლი, ჯოვანი (69. ბენტი) - ფ. კემპბელი.

გოლები: 1:0 სელეზნიოვი (79), 2:0 ჟადსონი (88)

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა:** 21(10)-6(3); **კუთხური:** 3-0; **თამაშგარე:** 0-0; **ჯარიმა:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

მაყურებელი: 25 000

კოპენჰაგენი-მანჩესტერ სიტი 2:2

კოპენჰაგენი: ი. კრისტერსენი - პოსპეჩი, ლაურსენი, ანტონსონი, ვენდტი - კვისტი (60. ვინგაარდი), ფ. კრისტენსენი, ნორეგაარდი (70. გრონკიაერი), ჰატჩინსონი - აილტონ ალმეიდა, სესარ სატინი (59. ნ'დოიე).

მანჩესტერ სიტი: გივენი - ონუოჰა, რიჩარდსი, დანი, ბრიჯი - ირლანდი, კომპანი, საბალეტა - რაიტ-ფილიპსი, რობინიო (89. კაისედო) - ბელამი.

გოლები: 0:1 ონუოჰა (29), 1:1 აილტონ ალმეიდა (56), 1:2 ირლანდი (61), 2:2 ვინგაარდი (90)

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა:** 15(7)-14(9); **კუთხური:** 12-2; **თამაშგარე:** 1-8; **ჯარიმა:** 8-9; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

მაყურებელი: 30 159

ფიორენტინა-აიაქსი 0:1

ფიორენტინა: ფრეი - ძაური, გამბერინი, დაინელი, პასკუალი - მონტოლივო, ფელიპე მელო, გობი (58. კუჟმანოვიჩი) - სემიოლი (57. იოვეტიჩი), ჟილარდინო, მუტუ.

აიაქსი: სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ოლეგერი, ვერმაელენი, შილდერი (77. სნო) - ანიტა, ლინდგრენი, ემანუელსონი - კენედი, სუარესი, სულეიმანი (58. ლეონარდო).

გოლი: 0:1 კენედი (60)

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა:** 15(6)-6(3); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 18-17; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

მაყურებელი: 19 018

მარსელი-ტვენტე 0:1

მარსელი: მანდანდა - მაერსი, ზუბარი, ჰილტონი, ტაივო - კაბორე (31. ბენ არფა), მ'ბამი, ვალბუენა (80. ზენდენი), ბენ. შეირუ - ბ. კონე, ნიანგი (65. სამასა).

ტვენტე: ბოშკერი - სტამი, დუგლასი, რაიკოვიჩი, ბრააფჰეიდი - ბრამა, პერესი (90. იანსენი), ტიოტე - არნაუტოვიჩი (53. დენებოომი), ნ'კუფო, ელია (90+4. ჰოიბახი).

გოლი: 0:1 არნაუტოვიჩი (22)

გაფრთხილება: 3-4; **დარტყმა:** 10(5)-6(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 0-0; **ჯარიმა:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 36%-63%

მაყურებელი: 37 000

შახტარი-ტოტენჰემი. მწვავე მომენტი დონეცკელთა კართან

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ამხანაგური მატჩი	
ბრანი-სტრიომსგოდსეტი	1:3
ბრონდბიუ-ჰერფიოლგე	3:1
ოდენსე-კრილია	3:2
გიოტებორგი-ფრედრიკსტადი	6:2
ჰოლანდია	
II დივიზიონი	
ფორტუნა-დენ ბოში	1:0
შოტლანდიის თასი	
სტ. მირენი-მოზერველი	1:0
კალათბურთი	
ესპანეთის თასი	
1/4 ფინალი	
რეალი-ბარსელონა	75:83
ტაუგრესი-ვალენსია	82:66
იტალიის თასი	
1/4 ფინალი	
ტერამო-აველინო	76:70
ვირტუსი-რომა	85:76
საფრანგეთის თასი	
1/4 ფინალი	
გრაველენი-რუანი	61:63
ლე მანი-ჰავრი	82:79
გერმანია	
გეტინგენი-ოლდენბურგი	79:66
საბერძნეთი	
პაოკ-არისი	50:57
ჰოკეი	
კჰლ	
მეტალურგი (მ)-მვდ	1:4
ვიტიაზი-ტორპედო	3:5
დინამო (მ)-ნეფტეხიმიკი	1:4
სპარტაკი-მეტალურგი (ნ)	2:1
ავსტრია	
აკრონი-ზალცბურგი	6:2
გრაცი-ვენა	2:1
ინსბრუკი-კლაგენფიურტი	3:2
ლინცი-ვილახი	2:1
გერმანია	
ვოლფსბურგი-კასელი	1:3
დუისბურგი-ფრანკფურტი	4:8
ნორვეგია	
ვოლერენგა-ლორენსკოგი	5:0
კომეტი-ფურუსეტი	5:1
სპარტა-ფრისკ ასკერი	6:1
სტავანგერი-ლილეჰამერი	1:1
სტორჰამარი-სტიორნენი	8:1

ფინეთი	
იოკერიტი-კალპა	1:2
კარპატი-ჰიფკ	2:3
საიპა-[illegible]	4:2
ტაპარა-პელიკანსი	2:2
ჰპკ-ტპს	4:4
ესეტი-ილვესი	2:0
ჩეხეთი	
ვიტკოვიცე-ტრშინეცი	0:0
ულინი-სპარტა	3:1
ზნოიმო-სლავია	3:1
კარლოვი ვარი-ბოლესლავი	4:2
ლიტვინოვი-კლადნო	1:1
პლზენი-პარდუბიცე	4:1
ბუდეიოვიცე-ლიბერეცი	4:3
შვედეთი	
ბრიუნესი-სიოდერტალე	3:1
ლინჩოპინგი-ლულეო	1:3
როგლე-მოდო	6:2
ტიმრა-აიკ	8:0
ჰვ71-ფრიოლუნდა	2:2
იურგორდენი-ფერიესტადი	3:4
ჩოგბურთი	
ATP. ბუენოს აირესი	
მ. გონსალესი-დაბული	6:3, 6:1
მონაკო-ვასალო არგელო	6:4, 2:6, 6:2
ATP. მარსელი	
ბენეტო-ბასტლი	6:1, 2:6, 6:1
ჯოკოვიჩი-ჰერნიხი	7:5, 6:4
სიმონი-შუტლერი	6:4, 4:6, 6:2
ცონგა-ბოლელი	6:3, 6:2
მატიო-ლოდრა	3:6, 6:7
ATP. მემფისი	
კუნიცინი-პეტცშნერი	3:6, 6:4, 6:4
შტეპანეკი-კუბეკი	6:2, 6:4
ფიში-კ. როხუსი	2:6, 4:6
დელ პოტრო-გულბისი	6:3, 6:4
ჰიუიტი-გუჩიონე	6:2, 7:6
სერა-სელა	6:7, 6:7
WTA. დუბაი	
კანეპი-ვესნინა	6:3, 7:5
ზვონარევა-რაზანო	6:7, 5:7
ვ. უილიამსი-დემენტიევა	6:3, 6:3
ს. უილიამსი-ივანოვიჩი	6:4, 6:4
WTA. ბოგოტა	
იოჰანსონი-მაროსი	6:4, 6:1
მარტინესი-პარა სანტონხა	6:4, 6:3
დულკო-დე ლოს რიოსი	5:7, 6:1, 6:3
WTA. მემფისი	
აზარენკა-პარმენტიე	6:4, 6:2
საფაროვა-ლისიცკი	3:6, 4:6
კეოტავონგი-ერაკოვიჩი	6:2, 1:6, 6:2

TV პროგრამა

20 თებერვალი. პარასკევი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

08:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:35 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ნიცა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
15:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:25 უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-შტუტგარტი.
21:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:00 საფეხბურთო კლუბი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:10 საფეხბურთო კლუბი.
03:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
03:35 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
05:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-რივერ პლეიტი.

EUROSPORT

11:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS100. ქალები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 15 კმ. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - კრისტიანო რონალდო.
21:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები.
22:15 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ნიუპორტი (LIVE).
01:55 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი.
02:00 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VII ეტაპი. სოლვანგი. აშშ (LIVE).
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ჰარბინი. ჩინეთი (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ჰოკეი. ახალგაზრდული ევროპული ოლიმპიური ფესტივალი. ფინალი. პოლონეთი (LIVE).
18:15 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ნორვეგია.
19:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. უნივერსიადა. K90. ჰარბინი. ჩინეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 სნოუბორდი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:15 ახალი ამბები.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XVII ტური. სტად ფრანსე-ტულონი (LIVE).
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

მედლები რომ ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი როგორ გამოიყურება იმ ჩემპიონატების სია, სადაც მედლების სისტემის შემთხვევაში გამარჯვებული შეიცვლებოდა:

სეზონი	მედლებით ჩემპიონი	ჩემპიონი
1958	სტირლინგი მოსი	მაიკ ჰოთორნი
1964	ჯიმ კლარკი	ჯონ სერტისი
1967	ჯიმ კლარკი	დენი ჰულმი
1977	მარიო ანდრეტი	ნიკი ლაუდა
1979	ალან ჯონსი	ჯოდი შექტერი
1981	ალენ პროსტი	ნელსონ პიკე
1982	დიდიე პირონი	კეკე როსბერგი
1983	ალენ პროსტი	ნელსონ პიკე
1984	ალენ პროსტი	ნიკი ლაუდა
1986	ნაიჯელ მენსელი	ალენ პროსტი
1987	ნაიჯელ მენსელი	ნელსონ პიკე
1989	აირტონ სენა	ალენ პროსტი
2008	ფელიპე მასა	ლუის ჰემილტონი

ტიტულების რიცხვი (მედლები)

ტიტული		სეზონები						
შუმახერი	7	1994	1995	2000	2001	2002	2003	2004
ფანხიო	5	1951	1954	1955	1956	1957		
პროსტი	5	1981	1983	1984	1985	1993		
კლარკი	4	1963	1964	1965	1967			
სენა	4	1988	1989	1990	1991			
ბრებემი	3	1959	1960	1966				
სტიუარტი	3	1969	1971	1973				
მენსელი	3	1986	1987	1992				

ტიტულების რიცხვი (მოქმედი)

ტიტული		სეზონები						
შუმახერი	7	1994	1995	2000	2001	2002	2003	2004
ფანხიო	5	1951	1954	1955	1956	1957		
პროსტი	4	1985	1986	1989	1993			
კლარკი	3	1959	1960	1966				
სენა	3	1969	1971	1973				
ბრებემი	3	1975	1977	1984				
სტიუარტი	3	1981	1983	1987				
მენსელი	3	1988	1990	1991				

ფორმულა 1-ის ისტორიაში რამდენიმე მაგალითი არსებობს, როცა ამა თუ იმ გარემოების გამო ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) ქულათა დარიცხვის სისტემას ცვლიდა.

მაშინვე ჩნდებოდნენ სტატისტიკის მოყვარულები, რომლებიც სეზონის შედეგების თვლას იწყებდნენ და ამისთვის ქულათა დარიცხვის ძველ და ახალ სისტემას იყენებდნენ. როგორც წესი, საბოლოო შედეგები ხშირად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ოფიციალურ ოქმებში იყო დაფიქსირებული.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ინტერესის გამო კეთდებოდა და არანაირი პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნდა. ამჯერად კი თავად FIA-მ გადათვალა წინა 49 ჩემპიონატის შედეგები და ამისთვის, ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელის **ბერნი ექლსტოუნის** მიერ შეთავაზებული სისტემა გამოიყენა.

ყველასთვის ცნობილია, რომ ბერნი პილოტების მედლებით დაჯილდოების წინადადებით გამოვიდა. რა თქმა უნდა, ფორმულა 1-ის კომერციული ბოსი, პირველ რიგში, საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებს. მას ჰგონია, რომ თუ პილოტები სანუკვარი "ოქროსთვის" ბრძოლას დაიწყებენ და ტაქტიკაზე ნაკლებად იზრუნებენ, ეტაპების სანახაობრივი მხარე გაცილებით მოიმატებს, ტრასაზე დაძაბულობა გაიზრდება, რაც ტელევიზიის რეიტინგზეც დადებითად იმოქმედებს.

შესაძლოა, ექსლტოუნის პროექტში სალი აზრის მარცვალი მართლაც არსებობს, მაგრამ ცხადია, რომ FIA არ ჩქარობს დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღებას და ჯერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლით არის დაკავებული. აი, რა დოკუმენტს გვთავაზობს ფედერაცია განსახილველად.

FIA-ს პრესრელიზი: მედლები ფორმულა 1-ში

FIA-მ გაანალიზა და გამოიკვლია როგორ შეიცვლებოდა წინა სეზონების ოფიციალური შედეგები იმ შემთხვევაში, თუ ამჟამად მოქმედი ქულათა დარიცხვის სისტემა მედლების სისტემით შეიცვლებოდა.

მედლების სისტემის მიხედვით, საპრიზო სამეულში მოხვედრილი პილოტები ოქროთი, ვერცხლითა და ბრინჯაოთი დაჯილდოვდებიან. სეზონის ბოლოს ის მრბოლელი, ვინც ყველაზე მეტ ოქროს დააგროვებს, ჩემპიონატის გამარჯვებულად გამოცხადდება. თუ ორი ან მეტი პილოტი თანაბარი რაოდენობით ოქროს მიიღებს, მათი ვერცხლის მედლები დაითვლება და ა. შ.

FIA-ის ანალიზი აჩვენებს, რომ ასეთი სისტემის შემოღების შემთხვევაში, შესამჩნევად შეიცვლებოდა სხვადასხვა წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის საბოლოო ოქმები. 59 განვლილი ჩემპიონატიდან მხოლოდ 22-ში დარჩებოდა უცვლელად საპრიზო სამეული, 37 სეზონის შედეგი კი განსხვავებული იქნებოდა. 13 შემთხვევაში შეიცვლებოდა ჩემპიონის ვინაობაც.

მედლების სისტემის შემთხვევაში, ჩვენ მივიღებდით სამ "ახალ" ჩემპიონს იმათგან, რომლებსაც არ ეღირსათ ტიტული ქულათა დარიცხვის განსხვავებულ სისტემათა გამო. საერთო ეფექტი დაახლოებით ასეთი იქნებოდა: მსოფლიოს ჩემპიონების რიცხვი შემცირდებოდა, ტიტულები კი პილოტების შედარებით პატარა ჯგუფზე გადანაწილდებოდა.

ძირითადი ცვლილებები, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ:

- ბერნი ექლსტოუნის ხელმძღვანელობის პერიოდში, "ბრებემის" პილოტებს არც ერთი ტიტული არ შეხვდებოდათ;
- **სტირლინგი მოსი** პირველი ბრიტანელი ჩემპიონი გახდებოდა;
- **მარიო ანდრეტი** და **ალან ჯონსი** არა თითო, არამედ ორ-ორ ტიტულს მოიგებდნენ;
- სამი მოგებული ჩემპიონატიდან **ნიკი ლაუდა** ორში დათმობდა პირველობას და მხოლოდ ერთ სეზონში გაიმარჯვებდა;
- სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნელსონ პიკე** ვერც ერთხელ გახდებოდა სეზონის ლაურეატი;
- 1981-84 წლების ოთხივე სეზონში შეიცვლებოდა მსოფლიოს ჩემპიონი;
- **ალენ პროსტი** მოიგებდა ხუთ ჩემპიონატს, მაგრამ სხვა წლებში. რეალურად მან 1985, 1986, 1989 და 1993 წლებში გაიმარჯვა. მედლების სისტემის მიხედვით კი ის მოიგებდა 1981, 1983, 1984, 1985 და 1993 წლების ჩემპიონატებს;
- **ნაიჯელ მენსელი** ერთის ნაცვლად სამგზის ჩემპიონი იქნებოდა (1992 წლის ტრიუმფალურ სეზონს 1986 და 1987 წლებში გამარჯვებას დაუმატებდა);
- **აირტონ სენა** მოიგებდა 1989 წლის ტიტულს და შესაბამისად, 1988-91 წლებში ზედიზედ ოთხჯერ გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ახალი ამბები

ჰონდას სამი დღე დარჩა

"ჰონდა რეისინგის" შეფმა **როს ბრაუნმა** შვეიცარიული "ბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოაცხადა, რომ მისმა გუნდმა არაუგვიანეს 23 თებერვლამდე უნდა იპოვოს მყიდველი. ამის შემდეგ, იაპონური საჯინიბოს შეფობა გარიგებაზე თანხმობას გამოაცხადებს, ხოლო ყველა დოკუმენტი 28 თებერვლისთვის იქნება გაფორმებული.

23 თებერვალი ბოლო ვადაა, რომელიც კომპანია "მერსედესმა" დააწესა. გერმანული ავტოგიგანტი 2009 წლის სეზონში "ჰონდას" ძრავებით მომარაგებას აპირებს, ოღონდ ამას იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ იაპონური გუნდი გარკვეულ თანხას გადარიცხავს "მერსედესის" ანგარიშზე. გარდა ამისა, გერმანელები ფინანსურ გარანტიებსაც ითხოვენ. კერძოდ, უკვე ნახსენები გადარიცხვის გარდა, "მერსედესი" დარწმუნებული უნდა იყოს, რომ "ჰონდა" ძრავების სანაცვლოდ მომავალში 8 მილიონ ევროს გადაიხდის.

ტორო როსო იყიდება

კომპანია "რედ ბულის" მფლობელმა **დიტრიხ მატეშიცმა** განაცხადა, რომ თუ სერიოზული მყიდველი გამოჩნდება, მზად არის თავისი ორი საჯინიბოდან ერთ-ერთს - "ტორო როსოს" შეელიოს. როგორც ცნობილია, დღეს ეს გუნდი Red Bull Technology-ის მიერ შემუშავებულ შასის იყენებს, ხოლო ძრავებს მას "ფერარი" აწვდის. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესების თანახმად, მომავალში გუნდებმა დამოუკიდებლად უნდა იზრუნონ საკუთარი მანქანის შექმნაზე, ეს კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. მატეშიცი აღიარებს, რომ ფორმულა 1-ის ორი გუნდის შენახვა ზედმეტად ძვირი სიამოვნებაა.

"თუ ვინმე სერიოზულად დაინტერესდება გუნდის შეძენით, ჩვენ მზად ვართ, მოლაპარაკებების დასაწყებად. "ტორო როსო" იყიდება. წესები საშუალებას არ გვაძლევს ორი გუნდისთვის ერთი შანსი დავამზადოთ, ამიტომაც, აქედანვე უნდა დავფიქრდეთ ფორმულა 1-ში საკუთარ პერსპექტივებზე. "რენო", "ტოიოტა" და BMW-იც კი შეშფოთებულები არიან თავიანთი მომავლით. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფორმულა 1-ის ყველა გუნდი დაკავებულია თავისი ფინანსური სიტუაციის შეფასებით", - ამბობს მატეშიცი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი

ანამ პაემანი უარყო

სერბმა ვარსკვლავმა **ანა ივანოვიჩმა** პოპულარული ბრიტანელი მომღერლის **ჯეიმს ბლანტისგან** კონცერტზე დასასწრები ოფიციალური მიწვევა მიიღო. მუსიკოსის ჩანაფიქრით, საღამო ანასთან ვახშმით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჩოგბურთელმა ბლანტს უარი შეუთვალა.

მომღერალი ივანოვიჩის თავგადაკლული ფანია და დიდი ხანი ფიქრობდა როლან გაროსის ჩემპიონის პაემანზე მიპატიჟებას. და აი, ბლანტს ოცნების ასასრულებლად ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდა ხელთ - კონცერტი ბელგრადში 23 თებერვალს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გოგონას ტელეფონი გაეგო, დაერეკა და პაემანი დაენიშნა, მომღერალი უფრო მარტივად მოიქცა - მან ანასთან შეხვედრის ჩაწყობა კონცერტის ორგანიზატორებს სთხოვა.

ჯეიმსის მენეჯერებმა ივანოვიჩს ოფიციალური მიწვევა დუბაიში ჩაუტანეს, სადაც ჩოგბურთელი პირველი კატეგორიის ტურნირში იღებდა მონაწილეობას (გუშინ, ივანოვიჩმა **სერენა უილიამსთან** წააგო მეოთხედფინალი). ანამ თავაზიანი უარი შეუთვალა ბლანტს.

„ანა ივანოვიჩმა მიიღო მიწვევა და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა, რადგან ჯეიმს ბლანტის მუსიკის თაყვანისმცემელია, მაგრამ ის 23 თებერვალს ბელგრადში ვერ ჩავა, რადგან ახლა საკუთარი კარიერით არის დაკავებული“, - განაცხადა ჩოგბურთელის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

თავის მხრივ, ჯეიმსის მეგობრები აღნიშნავენ, რომ მომღერალი დეპრესიის წინა მდგომარეობაში იმყოფება.